The early date of compound-handled daggers is indicated by the presence of items characteristic of burials of an earlier period in all the complexes containing this dagger. Thus, e.g. in burial 44, discovered at the south section of Samtavro we find a fibula with a volute head (pl. I<sub>204</sub>), in a burial brought to light at Navtlughi,<sup>173</sup> an open-socketed spearhead and fibula with volute head,<sup>174</sup> and in the burial uncovered at Gostibe an open-socketed spearhead<sup>175</sup> (pl. I<sub>224</sub>). Unlike later spearheads, the sockets of the spearheads discovered at Navtlughi and Gostibe are arched by forging. As noted by Lomtadze, the early date of all-metal handled daggers must be suggested also by the design of these weapons.

Of sites synchronous with the burials of this layer the following should be noted on the territory of Eastern Georgia: the burials brought to light at v. Beshtasheni, on the right bank of the Geriakchai,<sup>176</sup> at Nadzaladevi, Navtlughi<sup>177</sup> and Shilda, and the so-called treasures found at Sasireti<sup>178</sup> and Kavtiskhevi.<sup>179</sup>

It has not been my purpose to discuss the early stage Late Bronze burials discovered at the Samtavro burial ground. I have noted only that I basically agree with the dates given by T. Chubinishvili for this layer (XV-XIV cent. B.C.).<sup>180</sup>

I should like to note here that in dating the Samtavro Late Bronze and Iron Age pit burials I take into account other synchronous sites as well. However, the size of the present paper was limited

<sup>161</sup> Ibid., p. 64.

<sup>162</sup> G. Nioradze, Archaeological explorations in the Mtkvari valley, *SSMM*, XIII-B, 1944, p. 183, pl. II, fig. d.

<sup>163</sup> B. A. Kuftin, *op. cit.*, p. 67

<sup>164</sup> Preserved at the State Museum of Georgia, see N 7.47:4.

<sup>165</sup> Pit burial 44 (south section).

<sup>166</sup> Pit burials 87, 88, 240.

<sup>167</sup> Pit burial 240.

<sup>168</sup> Pit burial 240.

<sup>169</sup> D. Koridze, Tbilisis arkeologiuri dzeglebi, pp. 155, 169, 170, pl. XXVII, B.

<sup>170</sup> Pit burials 219, 247, etc.

<sup>171</sup> Pit burials 87, 88, 240.

<sup>172</sup> Pit burials 87, 240, 44 (south section).

<sup>173</sup> Pit burials 240, 244 (south section).

<sup>174</sup> D. Koridze, Gviani brinjaos khandis..., pp. 155-156, pl. XXVII, figs 1, 5.

<sup>175</sup> T. Chubinishvili, Gostibes kheobis archeologiuri dzeglebi (Archaeological sites of the Gostibe valley), *SSMM*, p. 9, fig. 16.

<sup>176</sup> B. A. Kuftin, *op. cit.*, pp. 65-75.


<sup>177</sup> D. Koridze, Tbilisis arkeologiuri..., pp. 153-164; O. Tkeshelashvili, 1955 ts. Tbilisshi tsarmoebuli arkeologiuri dazvervebis angarishi (Report on the archaeological explorations conducted in Tbilisi in 1955), (manuscript).

<sup>178</sup> G. Nioradze, Der Verwahrfund von Kvemo-Sasirethi, S. 82-97.


<sup>179</sup> D. Koridze, *op. cit.*, pl. XXVII, figs 3-6.

<sup>180</sup> T. Chubinishvili, K istorii rannego etapa pozdnebronzovoi epokhi Shida Kartli (Towards the history of the culture of the early stage of the Late Bronze Age of Shida Kartli), author's abstract of thesis. Tbilisi, 1954, pp. 16-17.


13<sup>th</sup> - 12<sup>th</sup> c.c. BC




11<sup>th</sup> - 10<sup>th</sup> c.c. BC




9<sup>th</sup> c. - beginning of 8<sup>th</sup> c. B



8<sup>th</sup> c. - first half of 7<sup>th</sup> c. BC



second half of 7<sup>th</sup> c. - 6<sup>th</sup> c. BC



from the beginning, which precluded illustration of this material.

Inasmuch as my purpose was chronological delimitation of the pit burials discovered at the Samtavro burial ground, I naturally stressed the developments and material remains that enabled identification of individual chronological layers.

It should be noted also that, apart from distinguishing features, the layers discussed here have common features as well, linking not only adjacent but all given chronological groups. First I shall note the common custom of burial (with a rare exception, the deceased were buried with head oriented E, on the right or left side, in crouched position); besides, it should be noted that all layers discussed here yield items of one type, such as triangular arrowheads made of bronze plate, bronze forks, pottery of diverse type, etc.

The common features found between the layers discussed above stress once more the absence of a chronological gap between them and the unity of Samtavro culture.

Thus, as a result of a study of burials of the Late Bronze Age and the period of wide adoption of iron at the Samtavro burial ground, I have identified five chronologically alternating layers: 1) 13<sup>th</sup>-12<sup>th</sup> cent. B.C., 2) 11<sup>th</sup>-10<sup>th</sup> cent. B.C., 3) 9<sup>th</sup>-early 8<sup>th</sup> cent. B.C., 4) 8<sup>th</sup>-first half of the 7<sup>th</sup> cent. B.C., and 5) first half of the 7<sup>th</sup>-6<sup>th</sup> cent. B.C.<sup>181</sup>

It goes without saying that further research and discoveries will introduce many novelties in the dating of remains of the period of Late Bronze and wide adoption of iron. But I believe my work will be of some help to those interested in this problem.

### **Chronological table of remains of the Late Bronze Age and of the period of wide adoption of iron, discovered at the Samtavro burial ground and at other points of Eastern Georgia**

1-45, 51-99, 103-143, 147-186, 192-262 were discovered in the pit-burials of the Samtavro burial ground. 1. iron torque (b. 255); 2. bronze torque (b. 207); 3. bronze torque (b. 163, south section); 4. iron axe (b. 212); 5. iron axe (b. 250); 10. iron axe (b. 196); 11. iron knife (b. 130); 12. iron akinakes (b. 27); 13. jet beads (b. 206); 14. white paste beads (b. 236); 15. jet bead (b. 3); 16. amber beads (b. 50); 17. iron finger-ring (b 255); 18. silver temple ring, with a sard gem (b 57); 19. bronze finger-ring (b 255); 20-21. bronze finger-ring (b 255); 22. silver ear-ring with a sard gem (b 206); 23. silver temple ring (trace of b 28); 24. pink glass beads (b 206) and beads of greenish glass (b 84); 25. paste beads (b 84); 26. amber beads (b 293); 27. iron fibula with bronze head (b 28); 28. bronze fibula (trace of b 28); 29. bronze fibula (b 285); 30. bronze fibula (b 309); 31. fibula with iron head (b 65); 32. bow-shaped bronze fibula (b 1); 33. bronze bracelet (b 117); 34. bronze bracelet (b 206); 35. bronze ring for the shin (b 236); 36. bronze bracelet (b 104); 37. bronze buckle (b 293); 38. iron bayonet (b 99); 39. bronze bracelets (b 293); 40. bronze bracelet (b 319); 41-42. iron bits (?) (b 106); 43. iron items (b 106); 44. iron knife with a bone handle (b 186); 45. bronze chain (b 27); 46. silver temple ring (b 210); 47-50. are discovered in b 22, on the right bank of the river Bashkev-su, near v. Beshtasheni; 47. silver temple ring; 48. bronze bracelet; 49. bone arrowhead; 50. bronze arrowhead; 51. bronze arrowhead (b 71); 52. bone arrowhead (b 104); 53-54. iron arrowhead (b 104); 55. bronze arrowhead (b 104); 56-57. bronze arrowheads (b 194); 58. iron arrowhead (b 293); 59-61. bronze arrowheads (b 293); 62. bronze arrowhead (b 319); 63-64. bronze arrowheads (b 27); 65. bronze arrowhead (b 106); 66. bone arrowhead (b 106); 67. bronze boss (b 293); 68. iron sword (b 293); 69. iron dagger (b 243); 70. iron knife (b 106); 71. sard beads (b 104); 72. iron knife (b 31); 73. bronze bracelets (b 174); 74. 75. 76. bronze finger-ring (b 121); 77. iron finger-ring (b 303); 78. iron bracelets (b 123); 79. bronze axe (b 121); 80. bronze spearhead (b 276); 81. bronze axe (b 260); 82. iron dagger (b 88); 83. iron dagger (b 276); 84. iron dagger (b 225); 85. iron dagger (b 307); 86. iron dagger (b 123); 87. iron dagger Nos 1-36 ( site of discovery unknown); 88. iron dagger (trace of b 26); 89. iron dagger (b 79); 90. iron knife (b 174); 91. iron knife (b 276); 92-95.

<sup>181</sup> In identifying these layers I left out of consideration the ceramic material, for at this stage of study, with the exception of several clay vessels, I failed to notice characteristic features typical of this or that layer in the Samtavro pottery.

bronze arrowheads; 93. iron arrowhead; 94. bronze arrowhead (b 276); 96. iron sword (b 121); 97. iron sword (b 79); 98. iron sword (b 112); 99. iron sword (trace of b 121); 100. iron sword nos 6-33:7 (from v. Dmanisi); 101. iron sword (?) (site of discovery unknown, preserved at the Akhaltsikhe Museum, N 1338); 102. iron sword (from Akhaltsikhe district. Preserved at the Moscow Historical Museum, N 69 (20 b)); 103. iron bow-shaped fibula (b 174); 104. bronze spearhead (b 55); 105. bronze arrowhead (b 303); 106. bronze arrowhead N 3079 (from talus); 107. bronze arrowhead (b 202); 108-109. bronze arrowhead (b 121); 110. iron arrowhead (b 174); 111. iron sword N – 30:7 (from v. Patardzleuli); 112. iron sword (from Narekvavi); 113. bronze rosette (b 38); 114. bronze arrowhead (trace of b 26); 115. iron arrowhead (b 121); 116. iron sword (b 174); 117. iron sword (b 123); 118. iron dagger; 119. bronze armpit hoop; 120. bronze bracelets; 121. bronze bracelet; 122. iron sword (b 91, S section); 123. bronze arrowhead; 124. paste beads; 125. sard beads (b 114); 126. iron arrowhead; 127. bone arrowhead (b 284, S section); 128. bone arrowhead; 129. bronze tip (b 83); 130. bronze fibula; 131. bronze spearhead; 132. bronze spearhead (b 289); 133. iron dagger; 134. iron dagger with bronze handle; 135. iron axe; 136. bronze buckle (b 70); 137. iron arrowhead (b 311); 138. 139. iron spearhead (b 281); 140. iron dagger (b 177); 141. bronze pincers (b 83); 142. bronze handle of an iron dagger N 9 – 42:2 (discovered between Borjomi and Khashuri); 143. bronze seal (b 244); 144-145. (from a burial brought to light at v. Kushchi, in 1939), bronze arrowhead, 145. bronze handle of an iron sword; 146. iron dagger (from the stone cist of barrow III of Trialeti); 147. iron dagger (b 284, S section); 148-149. iron knives (b 51); 150-151. iron knives; 152. iron sword; 153. bronze dagger (b 211); 154. bronze sword (b 591, Bayern); 155. bronze sword (b 966); 156. iron knife (b 56); 157. bronze pincers; 158. bronze armpit plaque (b 51); 159. bone arrowhead (b 279); 160. bronze bow-shaped fibula (b 591, Bayern); 161. iron arrowheads; 162. bronze arrowheads (b 51); 163. bronze axe (b 208); 164-165. bronze axes (b 591, Bayern); 166. sard beads (b 152); 167. bone arrowhead (b 211); 168. iron arrowheads; 169. bone arrowheads; 170. bronze awl; 171. iron spearhead (b 51); 172. bronze arrowhead; 173-174. bronze arrowheads (b 211); 175. bronze armpit plaque (b 51); 176. root of antler (b 77); 177. bronze statue of deer (b 591, Bayern); 178. sard bead (b 56); 179. bronze spearheads (b 211); 180. bronze spearheads (b 29, S section); 181. bronze finial (b 51); 182. bronze

dagger (b 29, S section); 183. bronze dagger (b 39); 184. bronze dagger (b 275, S section); 184a. bronze fibula; 185. bronze bracelet (b 152); 186. kauri and sard and paste beads (b 39); 186a. bronze fibula (b 56); 187-191. Discovered near v. Beshtasheni, in stone cist 34 of a burial ground on the right bank of the river Baiburt; 187. bronze fibula; 187a. bronze armpit plaque; 188. bronze finial; 189. iron knife, with bronze hoop at the hilt and bronze lion's head on the handle; 190. iron knife with bronze rod; 191. sard bead; 192. bronze axe; 193. bronze chisel; 194. bronze arrowheads; 195. flint inset for sickle; 196. bone and sard beads (b 240); 197-198. sard beads (b 247); 199. bottom of antler (b 88); 200. bronze dagger (b 240); 201. bronze dagger (b 88); 202. bronze dagger; 203. bronze spearhead; 204. bronze fibula; 205. bronze fibula (b 44, S section); 206. bronze awl (b 247); 207. bronze fibula (b 88); 208, 209. bronze cutters (?) 210. bronze pincers (b 240); 211. bronze buckle (b 44, S section); 212. bronze spearhead (b 240); 213, 214, 217-222. Discovered at Lower Sasireti (17-30); 213. bronze dagger; 214. bronze axe; 217. bronze curb; 218. bronze axe; 219. bronze dagger; 220. bronze axe; 215. bronze dagger from burial I of Navtlughi (3-50:1); 216. bronze dagger from Kavtiskhevi (12-32:61); 221. bronze bit from Navtlughi (1955, preserved at the Tbilisi State Historical Museum); 222, 223. Discovered in a burial brought to light at v. Shilda; 222. bronze miniature dagger; 223. iron pendant (7-47); 224. bronze spearhead from Kvemo (Lower) Gostibe (8-30:3); 225. bronze spearhead from v. Metekhi (5-37:5); 226. bronze spearhead from Nadzaladevi (13-32:27); 227-230. Discovered near v. Beshtasheni, at the burial ground on the right bank of the Baiburt; 227, 233. bronze daggers (b 11); 228. bronze macehead; 235. bronze curb with antler bits; 236. iron knife (b 13); 229. bronze arrowheads (b 8); 230. bronze dagger (b 21); 231. bronze axe; 232. bronze dagger (b 20); 234. iron dagger (b 18).

დიდი თბილისის არქეოლოგიური ექსპედიციის არქეოლოგიური ექსპედიციის კონტაქტების და წარმოშობის ზოგიერთი საკითხი საქართველოს პრეისტორიულ კულტურათა ურთიერთობის პროცესში

თბილისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად (ხელმძღვ. რ. აბრამიშვილი) ერთ-ხელ კიდევ დადასტურდა, რომ თბილისის ყველა რაიონი საკმაოდ ადრეული ხანიდან მჭრიდროდ არის დასახლებული. ბუნებრივია, რომ ამ ძეგლების არქეოლოგიურ შესწავლას ქალაქმშენებლობასთან დაკავშირებული ინტენსიური სამუშაოების წარმოება აფერხებდა, რასაც საკვლევი ძეგლების დაზიანება და ხშირად განადგურება მოსდევდა. და თუ კვლევის შედეგები უმთავრესად მნიშვნელოვანი იყო, და ზოგჯერ სენსაციურიც, ეს ექსპედიციის ხელმძღვანელის ბ-ნ როსტომ აბრამიშვილისა და მისი საექსპედიციო კოლექტივის დაუღალავი შრომის შედეგია. უდიდეს მნიშვნელობას იძენს დასკვნები უადრესი ხანის ძეგლების შესახებ (დელისის ნასახლარი, თრელის და დრმახევისთავის მტკვარ-არაქსის ხანის ძეგლები). რომლებიც სრულიად ახლებურ ახსნას პოულობენ.

დელისის მნიშვნელობა იმ ნიადაგზეა ინტერპრეტირებული, რომ ეს მასალა პარალელურად პოულობს, ერთი მხრივ, ამიერკავკასიის დაახლოებით V-IV ათასწლეულის პირველი ნახევრის ე.წ. ადრესამიწადმოქმედო კულტურის ძეგლებთან (შულავერ-შომუთეფეს კულტურა), ხოლო, მეორე მხრივ, ქრონოლოგიურად ემიჯნება მტკვარ-არაქსის კულტურის უადრეს და ადრეულ მასალებს. [1, გვ. 8,32], რომელთა უძველესი ძეგლის ქვედა ქრონოლოგიური თარიღი – ძვ.წ. IV ათასწლეულის შუა ხანები, უნდა წარმოადგენდეს ძირითად საყრდენს დელისის ნასახლარის აბსოლუტური დათარიღების განსაზღვრისას [1, გვ. 32].

ამასთანავე, შულავერ-შომუთეფეს კერამიკისაგან (წოფი, მუდანის ველი და სხვა) რამდენადმე განსხვავებულ დელისის კერამიკას გარკვეული მსგავსება აქვს, როგორც ქვემო ქართლის, ასევე, ზემო იმერეთის ენეოლითურ მასალებთან, რაც შეიძლება აიხსნას არა მხოლოდ ქრონოლოგიური ფაქტორით, არამედ იმ გარემოებითაც, რომ დელისის ნასახლარი მდებარეობს ქვემო ქართლსა და ზემო იმერეთს შორის და ამის გამო აქ აისახა ამ ორი,

რამდენადმე, განსხვავებული სინქრონული კულტურის გავლენა [1, გვ. 32].

სახელდობრ, დელისის კერამიკის მოშავო-მონაცრისფერო ჭურჭელი ახლო დგას შულავერ-შომუთეფეს თიხის ნაწარმთან [6, გვ. 89, ტაბ. I<sub>1,2</sub>; 1, გვ. 31-32; 5, გვ. 32, სურ. 3,4,9,10; 3, გვ. 31,32]. იგივე კერამიკა თავისი ჭურჭლის ფორმებით, ზედაპირის დამუშავების ტექნიკით, ფაქტურით და კერძოთ გარკვეულ მსგავსებას პოულობს სამელე კლდის (ჭიათურის რ-ნი) ენეოლითურ კერამიკასთან [4, გვ. 8; 1, გვ. 31].

მსგავსი შედეგები მოგვცა დელისის მასალის ქვის ნაწარმის შესწავლამ. ლ. ნებიერიძის დასკვნით, ეს ნაწარმი თავისი საერთო ნიშნებით ეკუთვნის ენეოლითური პერიოდის იმ მონაკვეთს, როცა ქვის დამუშავების ტექნიკა საგრძნობლად ეცემა, ხოლო იარაღი გადაგვარებას განიცდის; ენეოლითისათვის ფართოდ დამახასიათებელ მიკროლამელებს აქ უკვე დაკარგული აქვს თავისი მნიშვნელობა. ძირითადად გვხვდება უსახური ანატკეც-ანამტვრევები და დაბალი ხარისხის ლამელისებური ანატკეცები; დაბალია აგრეთვე მეორადი დამუშავების ხარისხი – რეტუში უხეში, მსხვილფაცეტიანი და არათანმიმდევრული, დარღვეულია ქვის ხანის საფხეკებისთვის დამახასიათებელი სამუშაო პირის გაფორმების ყოველგვარი ტრადიცია. დელისის ნასახლარის ქვის ნაწარმში ადვილად გამოიკნობა განვლილი საფეხურისათვის (ნეოლითი, ადრეენეოლითი) დამახასიათებელი, მაგრამ აქ უკვე გადაგვარებული იარაღი. ქვის დამუშავების ეს პროცესი კიდევ უფრო შორსაა წასული ადრებრინჯაოს ხანაში [1, გვ. 32]. დიღმის მასივში, თრელიგორების ძირში დიდ ფართობზე დადგინდა მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი დასახლების სტრატეგრაფიული ფენები. კერამიკა წარმოდგენილია ამ კულტურის ადრეული ფორმებით (უმთავრესად ორყურა ჭურჭელი მაღალი და მომადლო ცილინდრული ყელით, მოყვითალოდ ან მოწითალოდ გამომწვარი. არის შავპრილა ზედაპირიანიც) [1, გვ. 34-47, სურ. 7-13, ტაბ. VI-XIII]. აქ, ამ, ხანის დასახლების სულ ცოტა სამი სტრატეგრაფიული კულტურული ფენა

ნის არსებობა ეჭვს არ იწვევდა. ქვედა ფენაში დადგინდა 6 სამეურნეო ორმო კერამიკის, ბათქაშის, ობსიდიანის უსახო ნატეხების, ცხოველის ძვლის ფრაგმენტის და ცეცხლის კვალის შემცველობით. აქვე ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვანი სტრატოგრაფიული ფაქტის დადგენას: სამეურნეო ორმოებში (ქვედა პორიზონტი) მტკვარ-არაქსულ კერამიკასთან ერთად, მოწითალოდ გამომწვარი, მცენარეულჩანართებიანი, სქელკედლიანი და ფენებად ნაძერწი თიხის ჭურჭელი, რომელიც ძირითადად ანგობირებულია, რიგ შემთხვევაში კი შეღებილია წითლად. რ. აბრამიშვილის დასკვნით, თრელის ქვედა ფენები ქრონოლოგიურად წინ უნდა უსწრებდეს მტკვარ-არაქსის კულტურის დღემდე ცნობილ ყველა ძეგლს, რადგან აქ ადრეულ მტკვარ-არაქსულთან ერთად აღმოჩნდა წინამორბედი ხანის ამიერკავკასიური კულტურისთვის დამახასიათებელი ბზენარევი თიხის ჭურჭელი. ამდენად, თრელის ქვედა ფენების ქვედა ქრონოლოგიურ საზღვრად ავტორმა ძვ.წ. IV ათასწლეულის შუა ხანები, ზედა საზღვრად კი მესამე მეოთხედი [1, გვ. 44] მიიჩნია. თრელის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ორი სამარხიდან ერთი (№ 26) წარმოადგენდა ნაფლეთი ქვებით შემოფლებულ ძალზე დაზიანებულ ყორდანს, რომელშიც აღმოჩნდა მარჯვენა გვერდზე დაკრძალული მცირეწლოვანი ბავშვის ჩონჩხი, მოხრილი კიდურებით. სამარხი უინვენტარია. ჩონჩხი და გარშემო არე – რკინის უანგით (ოქრით), წითლად იყო შეღებილი. სტრატოგრაფიული და რიტუალური მონაცემები (ოქრა) იმაზე მიუთითებს, რომ სამარხი მტკვარ-არაქსის კულტურის ნასახლარის შუა პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს – ძვ.წ. IV-III ათასწლეულს.

მეორე სამარხი – №54, მშენებლობის დროს ძლიერ დაზიანებული, სავარაუდოთ, ასევე ორმოიან ყორდანს წარმოადგენდა. სამარხი გადახურული ყოფილა ხის ძელებით. იატაკზე მოფენილი იყო ჩონჩხის ცალკეული ძელები, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლის სპეციფიკური ფორმა და შავპრიალა ზედაპირი მოვარდისფრო სარჩულით ადრებრინჯაოს ხანის გვიან საფეხურს უნდა მიეკუთვნებოდეს. ამ ფაქტსაც გამთხრელები იმის დადასტურებად მიიჩნევენ, რომ თრელიგორების მტკვარ-არაქსის მრავალფენიანი ნამოსახლარი შეიცავს ადრეული, მომდევნო პერიოდების დამაკავშირებელ ელემენტებს

[1, გვ. 45-47]. თრელიგორების სიტუაციის ანალოგიური, დადასტურდა დმანისის მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობის დიდ ტერიტორიაზე, ადგილ ღრმახევისთავის მიდამოებში (მდ. მაშავერაზე), სადაც გათხრების დაწყება დაევალა თბილისის არქეოლოგიურ ექსპედიციას.

ღრმახევისთავზე გათხრილი მტკვარ-არაქსის კულტურის ორმოებიდან (გაითხარა 100 სამეურნეო ორმო) გამოიყოფა ორი ე.წ. "ქრონოლოგიური" ჯგუფი. თუმცა მასალის მიხედვით მათ სინქრონულად მიიჩნევენ. ადრეული ჯგუფის ორმოებისათვის ასევე დამახასიათებელია მცენარეულჩანართებიანი თიხის ჭურჭელი და ადრეული მტკვარ-არაქსული კერამიკა. მათგან პირველს ახასიათებს ღია ჩაღისფერი კეცი, ცუდი გამომწვა, ადვილად შლადობა, თიხაში უხეში მინარეგები, ანგობირებული ზედაპირი. ჭურჭლის უმეტესობა დიდი ზომისაა, ცილინდრული ფორმის. ამ კერამიკის ზოგიერთი ფორმა და დეტალი დამახასიათებელია მუდანის ველის ენოლოგიური ხანის და წოფისა და დელისის ნასახლარების კერამიკისათვის, თეთრი წყაროს ნასახლარის ფენაში, მტკვარ-არაქსის ადრეულ კერამიკასთან ერთად, ასევე დადასტურებულია ბზენარევი კერამიკის არსებობა [3, ტაბ. XIX-XX].

ავტორები საზგასმით აღნიშნავენ თრელის და ღრმახევისთავის ადრეული ჯგუფის ორმოების კავშირს მტკვარ-არაქსულ კულტურასთან ძვ.წ. IV ათასწლ. შუა ხანების ფარგლებში [2, გვ. 12-13] და საფუძვლიანდ მიიჩნევენ ო. ჯაფარიძის ვარაუდს იმის თაობაზე, რომ ქვემო ქართლი და მისი მიმდებარე რაიონები იყო ერთერთი არე, სადაც მტკვარ-არაქსის კულტურის ფორმირება უნდა დაწყებულიყო [1, გვ. 44].

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს ბ-ნ როსტომ აბრამიშვილის უდიდესი მეცნიერულ-თეორიული და პრაქტიკული ღვაწლი საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის საქმეში. მან ჭეშმარიტად მთელი სკოლა შექმნა და აღზარდა სპეციალისტების შესანიშნავი კადრები, რომლებიც დღეს უფროს კოლეგებთან ერთად, არა მარტო სამეცნიერო ტიტულებით, არამედ ფართო მეცნიერულ-თეორიული დამსახურებითაც არიან წარმოდგენილნი.

E. Gogadze

THE ARCHAEOLOGICAL EXPEDITION  
OF TBILISI.  
SOME QUESTIONS OF CONTACTS AND  
ORIGIN IN THE PROCESS OF  
INTERRELATIONS OF PREHISTORIC  
CULTURES OF GEORGIA

(Summary)

Major importance attaches to the study of ancient sites, carried on by the Archaeological Expedition of Tbilisi under the direction of R. M. Abramishvili on the territory of Tbilisi and on some sites of Eastern Georgia, synchronous to them. Of these the principal are:

1. The Delisi settlement, assigned by researchers to the early farming culture of Eastern Transcaucasia (the 5<sup>th</sup> - first half of the 4<sup>th</sup> millennium B.C.). This date, determined by the excavators, is argued by their recognition of the 4<sup>th</sup> millennium B.C. as the *terminus ante quem* of the Kura-Araxes culture. The Delisi material has parallels with the material of the Shulaveri-Shomu tepe, Tsopi, and other cultures.

This material has been found to evince a definite similarity with Aeneolithic remains of Zemo (Upper) Imereti. This is accounted for not only by the chronological factor but also by the situation of the Delisi settlement between these two regions (Kvemo (Lower) Kartli and Imereti), hence the influence here of the two somewhat differing cultures.

Similar results have been obtained also on the basis of a study of the stone items of the Delisi settlement (L. Nebieridze). The latter author concludes that, by its features, this material belongs to the segment of the Aeneolithic period during which treatment of stone declines considerably, and the tools are degraded. This process continues into the Bronze Age.

2. Three stratified layers of Kura-Araxes culture were identified over a vast area, at the foot of the Treligorebi hills in the Dighomi residential area.

Six "economic pits" were found at the lower layer, yielding pottery, rammed clay plastering, fragments of obsidian and animal bones and traces of fire.

Kura-Araxes pottery is represented here by ancient and early forms (mainly tall cylindrical vessels with two handles, fired yellow or red; vessels with black-polished surface are also in evidence.

Along with Kura-Araxes pottery vessels were discovered in the economic pits of the lower horizon of Treligorebi with vegetable admixture (straw) in the clay paste. These are thick-walled vessels of layered moulding, largely of reddish firing, occasionally painted red. In this connection, R. Abramishvili believes that the material of the lower layers of Trelis must chronologically precede

all the hitherto known remains of Kura-Araxes culture, for pottery characteristic of the preceding period of Transcaucasia is present here alongside Kura-Araxes pottery.

3. The situation was found to be analogous over a vast area of the construction of the Dmanisi poultry farm, in the Ghmakhevistavi hamlet (on the river Mashavera). Here excavations were entrusted to the Tbilisi Archaeological Expedition. Of the 100 "household pits", excavated here, two so-called "chronological groups" were identified: however, according to the material, those groups are generally considered to be synchronous. The early pottery of Ghmakhevistavi is also characterized by earthenware pottery with vegetable inclusions and by early Kura-Araxes pottery. The former group is characterized by light-yellow clay, weak firing, looseness of clay and coarse admixtures in the paste; the surface is engobed, most of the vessels are large-sized, of cylindrical shape; these details occur in the Aeneolithic pottery from the Mughan valley, Tsopi and the Delisi settlement, in layer A of the Tetrtsqaro settlement.

Against the background of controversial views advanced by researchers on the origin of the Kura-Araxes culture, the author of the present paper, following the discovery of the Trelis and Ghmakhevistavi sites, considers O. M. Japaridze's view more substantiated, viz. that the territory of Kvemo (Lower) Kartli with its adjacent regions must have been one of the areas where the Kura-Araxes culture must have taken shape.

Finally, note should be taken of the major contribution made by R. M. Abramishvili to the study of the archaeological sites of Georgia of the Late Bronze Age, creating a genuine scientific-theoretical school.

ლიტერატურა

1. აბრამიშვილი რ. დელისის ნასახლარი, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, I. ტბ., 1978, გვ. 28-33.

2. აბრამიშვილი რ., გიგუაშვილი ნ., კახიანი კ. ღრმასხვისთავის არქეოლოგიური ძეგლები. ტბ., 1980.

3. გობეჯიშვილი გ. თეთრი წყაროს ნასახლარი, ტბ., 1978.

4. Глonti Л., Джавахишвили А., Киквидзе Я., Джавахишвили Г., Тушабрамишвили Д. Некоторые итоги полевых работ 1964 года Урбнисской и Квирильской археологических экспедиций, ВГМГ, XXV-В, 1968, გვ. 3-15.

5. Кушнарева К. Х., Чубинишвили Т. Н. Древние культуры Южного Кавказа, Л., 1970.

6. Нариманов И. Г., Махмудов Ф. Р. Энеолитические памятники на Мугани. Известия АН Азербайджанской ССР серия истории, философии и права, №2, Баку, 1967.



არგვეთის ნასახლარი და დასავლეთ საქართველოს მტკვარ-არაქსული  
ძებლების პერიოდიზაციის საკითხი

არგვეთის ნასახლარი მიკვლეულია 1963 წელს საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ როსტომ აბრამიშვილის ხელმძღვანელობით. როსტომ აბრამიშვილმა ჩაატარა ძეგლზე მცირე გათხრები 1963-64 წწ. თავიდანვე სწორად განსაზღვრა ნასახლარის ასაკი ადრებრინჯაოს ხანით და იგი მტკვარ-არაქსის კულტურას მიაკუთვნა. შემდეგ მან დიდსულოვნად შემოგვთავაზა ძეგლი და მის მიერ მოპოვებული მასალა შემდგომში კვლევა-ძიებისათვის.

არგვეთის გათხრები განახლდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიციის მიერ 1981-1990 წლებში გ. ფხაკაძის ხელმძღვანელობით.

ნასახლარი საჩხერის რაიონში, სოფ. არგვეთში მდებარეობს, რიონ-ყვირილის აუზში. იგი ჯერ-ჯერობით ერთადერთი სტრატოგრაფიული ძეგლია, რის გამოც მის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს დას. საქართველოს მტკვარ-არაქსული ძეგლების ქრონოლოგია-პერიოდიზაციისა და ურთიერთობის საკითხების საკვლევადა.

არგვეთის ნასახლარი განლაგებულია მდ. ღაშურის მარცხენა ნაპირზე, ბორცვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდზე. ამ ადგილს მოსახლეობა "გორაკებს" უწოდებს. ექსპედიციას ჩამოსახლარის ძირითადი ნაწილი უკვე მდინარის მიერ ჩამორეცხილ-განადგურებული დახვდა, მაგრამ პერიფერიული ნაწილის გათხრა-შესწავლა მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა.

ძეგლის ძირითადი კულტურული ფენა ადრებრინჯაოს ხანას განეკუთვნება. ეს ფენა ორ საამშენებლო ჰორიზონტს შეიცავს, სტერილური შრის გარეშე. კულტურული ფენის სიმძლავრე 1,50-1,60 მეტრია.

ორივე ჰორიზონტში დაფიქსირებულია ქვის საძირკველზე ნაშენი მრგვალი და ოთხკუთხა ნაგებობათა ნაშთები, მოწნული და თიხით მოლესილი კედლებითა და თიხატკეპნილი იატაკით. ზედა ჰორიზონტი ნაწილობრივ დანგრეულია გვიანანტიკური და ელინისტური ხანის სამარხებით. ამ ჰორიზონტზე გაიწმინდა 6 ნაგებობის ნაშთი, ქვედაზე კი, რომელიც უშუალოდ უძველეს გრუნტზე დევს, 8 ნაგებობა.

შენობები ტიპური მტკვარ-არაქსულია, ფართოდ ცნობილი საქართველოს, სომხე-

თის, აზერბაიჯანის, ირანისა და ანატოლიის ძეგლებიდან (ოხნი, ბოლნისი, სამშვილდე, ამირანის გორა, ელარი, შენგავითი, ქიულ-თეფე, სიგიტმა, ნარშუნ-თეფე, ქარაზი, იანიქ-თეფე და სხვა) [3, გვ. 59-72].

სათავსოებში აღმოჩნდა მრგვალი თიხის კერები: სამშვერილიანი, ბორდიურიანი და ცალშვერილიანი, ასევე რქისებური და კოჭისებური სადგრები და პოლიუმები.

ორივე ჰორიზონტის კერამიკული მასალა ტიპური მტკვარ-არაქსული ნაკეთობითაა წარმოდგენილი. აქ არის შავი და მოწაბლისფერო პითოსები, ქოთნები, ყელჩაღარული ბადიები, მხარწიბოიანი კოჭები ნახევარსფერული, ან პირსა და მხარზე მიძერწილი ყურებით. ზედა სამშენებლო ჰორიზონტში მტკვარ-არაქსულ ნაწარმთან ერთად ჩნდება განსხვავებული ტიპის ჭურჭელი: ქილის, დერგის, კასრის ფორმისა, ზედაპირზე პარალელური ხაზებით (მოსწორების კვალი), ლენტისებური ყურებით, შვერილებით, რელიეფური, ზოგჯერ დაჭდეული სარტყლით მხრის გარშემო. ეს პროდუქცია დამახასიათებელი ნაწარმია კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ხანის კულტურისათვის (ონამშირე, გუმიხთა, ფინორი) და მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ არგვეთის ნასახლარის არსებობის ბოლო ეტაპზე კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს კულტურა ვრცელდება აღმოსავლეთისაკენ, რიონ-ყვირილის აუზში და გარკვეულ პერიოდში ფინალურ მტკვარ-არაქსთან თანაარსებობს [4, გვ. 9].

არგვეთის ნასახლარის ორივე ჰორიზონტის თარიღი განსაზღვრულია C14, ესენია TB 416 2340+60 დაკალიბრებით 2876 წ - ქვედა ჰორიზონტისათვის და TB 417 2110+40 დაკალიბრებით 2530 წ - ზედა ჰორიზონტისათვის, ე.ი. ძვ.წ. III ათასწ. I ნახევარი.

არგვეთის ნასახლარის გარდა, ამ რეგიონში, მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებიდან ცნობილია დაბლაგომის ნასახლარი და საჩხერის ყორღანული სამაროვანი. მათგან არგვეთის ნასახლარი ერთადერთი სტრატოგრაფიული და დათარიღებული ძეგლია, რომელმაც საშუალება მოგვცა მოგვეხდინა დანარჩენი ძეგლების პერიოდიზაციისა და ქრონოლოგიის განსაზღვრა.

დაბლაგომი, პირველი მტკვარ-არაქსული დასახლებაა, რომელიც დასავლეთ საქართველოში იყო გათხრილი (1936 წ.). მთა ნაცხეარის აღმოსავლეთ ფერდობის ძირას 165 სმ. სიმაღლის ადრებრინჯაოს ხანის კულტურული ფენა აღმოჩნდა. თიხატყეპნილი იატაკისა და ანაბეჭდიანი ბათქაშის მიხედვით გამოხრელი პროფ. ბ. კუფტინი აქ მოწნულ და თიხით მოლესილ ნაგებობას გულისხმობდა. მასალას მხოლოდ ქვა და კერამიკა შეადგენდა.

სტრატოგრაფიული მონაცემების უქონლობის გამო ბ. კუფტინმა, სამეშაო პიპოთეზის სახით, ტიპოლოგიურად, კერამიკული ნაწარმის მონაცვლეობის საფუძველზე, ნასახლარზე სამი ჰორიზონტი გამოყო. მათგან ქვედა ორი ტიპური მტკვარ-არაქსული შავი და წითელპრილა ჭურჭლით იყო წარმოდგენილი, ზედა მესამეში კი - ამ სახის მასალასთან ერთად აღმოჩნდა კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარებისათვის დამახასიათებელი კერამიკაც (ოჩამჩირე, დიხაგუძე IV ფენა), რაც იმ ეტაპზე ამ ორი კულტურის ურთიერთობის მანევრებად იქნა მიჩნეული. [8, გვ. 129-139].

დაბლაგომის მასალების თავიდან გადასინჯვამ ცხადი ვახადა, რომ ბ. კუფტინის მიერ ტიპოლოგიურად გამოყოფილი ქვედა ორი, მტკვარ-არაქსული ჰორიზონტი, მასალების სრული ერთგვაროვნების გამო, სინამდვილეში ერთი ფენაა და ერთ ჰორიზონტად უნდა იქნას განხილული; ხოლო ზედა, მეორე, (ბ. კუფტინის მიერ გამოყოფილი მესამე ჰორიზონტი) გამოირჩევა მისგან, რადგან დამატებით კოლხეთის უძველეს ნასახლართა მასალას შეიცავს. ამიტომ ჩვენ სავსებით მისაღებად მიგვაჩნია დაბლაგომში მხოლოდ ორი ჰორიზონტის დაფიქსირება.

არგვეთის ნასახლარის გათხრებმა სავსებით დაადასტურა ჩვენი მოსაზრების მართებულება. ამ ორი ძეგლის კერამიკული ნაწარმის ურთიერთ შედარება-შეჯერებამ ნათელყო მათი სინქრონულობა. დაბლაგომის მტკვარ-არაქსული ჰორიზონტი სავსებით შეესაბამება არგვეთის ნასახლარის ქვედა სამშენებლო ჰორიზონტს, ხოლო დაბლაგომის ზედა ჰორიზონტი კოლხეთის დაბლობისათვის დამახასიათებელი კერამიკით შეესაბამება არგვეთის ზედა სამშენებლო ჰორიზონტს. ძეგლი მთლიანად თავსდება ძვ.წ. III ათასწ. I ნახევარში.

მტკვარ-არაქსული კულტურის ძეგლია სანხერის ცნობილი ყორღანული სამაროვ-

ანიც, რომელშიც თავიდანვე მკვლევართა მიერ სამი ქრონოლოგიური ჯგუფი იყო გამოყოფილი. ამ ძეგლის თარიღი მთლიანობაში განსაზღვრული იყო ძვ.წ. XXIV-XIX სს-ით [6, გვ. 192-198]. თუმცა უკვე თრიალეთის ადრეული ყორღანების გენეზისისა და პერიოდიზაციის განხილვის დროს ე. გოგაძემ გამოთქვა მოსაზრება სანხერის მასალების მეტ არქაულობაზე თრიალეთურთან შედარებით [1, გვ. 237-241]. შემდგომში შიდა ქართლში გამოვლენილი მტკვარ-არაქსის კულტურის საკვანძო ძეგლების, ქვაცხელა-ხიზანანთ გორის, შესწავლის შედეგად კვლავ დაისვა საკითხი სანხერის ყორღანების თარიღის გადახედვის შესახებ. სანხერის სამაროვნის მასალებთან ქვაცხელას ნასახლარისა და ტველეპიაწყაროს სამაროვნის კერამიკული ჭურჭლისა და ლითონის ინვენტარის (იარაღი, სამკაული) დიდი მსგავსების საფუძველზე აკად. აღ. ჯავახიშვილი შესაძლებლად მიიჩნევდა ამ ძეგლთა სინქრონიზაციას [5, გვ. 41-43, ტაბ. 34-36]. მან სანხერის ყორღანების ადრეული ჯგუფის სამარხები გაუთანაბრა ქვაცხელა-ხიზანანთ გორის C ფენას (ძვ.წ. XXVIII ს.), ხოლო მოგვიანო ჯგუფი ქვაცხელა-ხიზანანთ გორის B ფენას. პასიეთის №1 ყორღანი ბედენური იერის ჭურჭლით მან ადრებრინჯაოს ბოლოს მიაკუთვნა [7, გვ. 265-266]. ასეთი პერიოდიზაცია ჩვენ სრულიად მართებულად მიგვაჩნია ხაშურის ნაცარგორისა და კავთისხევის ციხიაგორის ახალი მონაცემების გაათვალისწინებით [2, გვ. 73-75]. დაბლაგომი-არგვეთის კერამიკული ფორმების დიდი მსგავსება სანხერის მასალებთან საშუალებას გვაძლევს დაუშვათ მათი თანადროულობა, დაბლაგომი-არგვეთის ქვედა ჰორიზონტი შევადართო სანხერის ყორღანული სამაროვნის ადრეულ ჯგუფს და ქვაცხელა-ხიზანანთგორის C ფენას, ხოლო დაბლაგომი-არგვეთის ზედა ჰორიზონტი სანხერის სამაროვნის მოგვიანო ჯგუფს და ქვაცხელა-ხიზანანთგორის B ფენას. ასეთი ვარაუდი შემაგრებულია არგვეთისა და ქვაცხელას რადიოკარბონული თარიღებით ძვ.წ. XXVIII - ძვ.წ. XXV სს. [3, გვ. 80].

დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონში დღემდე აღმოჩენილი და შესწავლილი ძეგლები მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებულ და ფინალურ ეტაპებს განეკუთვნება.

	რიონ-ყვირილას აუზი	აღმ. საქართველო	კოლხეთის დაბლობი
2300 2400	პასიეთი, ყორღანი №1	ბედენი, I ეტაპი	ფინორი 8
2500	არგვეთი, ზედა ჰორიზონტი დაბლაგომი, ზედა ჰორიზონტი; სახსერის მოგვიანო სამარხები	ქვაცხელა- ხიზანაანთ გორა B	თნამჩირე
2800	დაბლა-გომი, ქვედა ჰორიზონტი არგვეთი, ქვედა ჰორიზონტი; სახსერის ადრეული სამარხები	ქვაცხელა- ხიზანაანთ გორა C	

### G. Pkhakadze

#### THE ARGVETI SETTLEMENT AND AN ATTEMPT AT PERIODIZATION OF THE KURA-ARAXES SITES OF WESTERN GEORGIA

##### (Summary)

The Argveti settlement was discovered in 1963 by R. Abramisvili (Expedition of the Georgian State Museum) and defined by him as an Early Bronze Age settlement. In 1981-1990 excavations were carried out by the Centre for Archeological Studies.

The settlement is situated in the village of Argveti, on the left bank of the river Lashura, Sachkhere district.

The settlement belongs to the Kura-Araxes culture and represents two building horizons.

The fixed stratigraphy of the Argveti settlement allows periodization of Kura-Araxes sites of Western Georgia: Dablagomi, Sachkhere, taking into consideration, at the same time, the materials of the key sites of Kura-Araxes culture of Shida Kartli (Kvatskhela-Khizanaantgora).

The lower horizon of Argveti settlement represents the developed stage of Kura-Araxes culture, being contemporary with the lower horizon of Dablagomi settlement and early group of Sachkhere burials and corresponding to level C of Kvatskhela-Khizanaantgora, dated by C to the Argveti 28<sup>th</sup> cent B.C.

The upper horizon represents the final stage of Kura-Araxes culture, is contemporary with the upper horizon of Dablagomi and the late group of Sachkhere burials and corresponds to level B Kvatskhela-Khizanaantgora. It is determined by C data to the Argveti 25<sup>th</sup> cent. B.C.

##### ლიტერატურა

1. გოგაძე ე. თრიალეთური კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, თბ., 1972.
2. მახარაძე ზ. ციხიაგორის მტკვარ-არაქსელის ნამოსახლარი, თბ., 1994.
3. ფხაკაძე გ. დასავლეთ ამიერკავკასია ძვ.წ. III ათასწლეულში, თბ., 1993.
4. ფხაკაძე გ. მტკვარ-არაქსისა და დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის კულტურების შეხვედრები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. "არქეოლოგიის საკითხები" I, თბ., 1978.
5. ჯავახიშვილი აღ., დლონტი ლ. ურბნისი I, ქვაცხელების (ტვლეპია-ქოხის) ნამოსახლარზე 1954-1961 წწ. ჩატარებული გათხრები. თბ., 1962.
6. ჯაფარიძე თ. ქართველ ტომთა ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბ.; 1961
7. Джавахишвили А. И. Строительное дело и архитектура поселения Южного Кавказа V-III тыс. до. н.э., 1973.
8. Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды II, Тб., 1950.

## გიორგი გოგოჭური, მეტია ღლონტი

### პირიქითა ხევსურეთის მტკვარ-არაქსის კულტურის კვლევები

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი არქეოლოგიურად გასული საუკუნის 70-იან წლებამდე სათანადოდ არ იყო შესწავლილი. მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა მას შემდეგ, რაც არაგვის ხეობაში დაიწყო ჟინვალის კომპლექსური ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. მშენებლობასთან დაკავშირებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში შეიქმნა ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძ. - ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფ. რ. რამიშვილი). ექსპედიციის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა მშენებლობის ზონაში არსებული არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენა-შესწავლა.

ჟინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სადაზვერო სამუშაოები ჩაატარა არაგვის, თერგის, ასისა და არღუნის ხეობებში, რის შედეგადაც გამოვლენილი იქნა მანამდე უცნობი მრავალი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი. გამოვლენილი მატერიალური კულტურა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის აქ მოსახლე უძველესი ტომების ყოფაცხოვრებასა თუ სამეურნეო საქმიანობაზე.

მდინარე არღუნის სათავეები, რომელიც გეოგრაფიულად ჩრდილოეთ კავკასიას მიეკუთვნება, საქართველოს ოდინდელ ისტორიულ მიწა-წყალს წარმოადგენს. ეს პატარა კუთხე თავის მხრივ იყოფა შატღლეთისკარისა და მუცო-არდოტის მცირე ხეობებად. ამ ხეობებში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები მიეკუთვნება ადრებრინჯაოს, გვიანბრინჯაო-ადრერკინის, ადრე და განვითარებული შუასაუკუნეების ეპოქებს. შემთხვევითი აღმოჩენებით და ზედაპირული დაზვერვებით დადგინდა, რომ არღუნის სათავეები ინტენსიურად ყოფილა ათვისებული ადრებრინჯაოს ხანაში. ამ ფაქტის უტყუარი დადასტურებაა გიორგიწმინდის, შატღლისა და მუცოს მიდამოებში მიკვლეული მტკვარ-არაქსული კულტურის ნამოსახლარები და სამაროვნები.

ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარში ქვემო ქართლისა და მის მიმდებარე რაიონებში ყალიბდება თავისებური სამიწათმოქმედო კულტურა, რომელიც სამეცნიერო

ლიტერატურაში მტკვარ-არაქსის კულტურის სახელითაა ცნობილი. შემდეგში ეს კულტურა ფართოდ ვრცელდება, როგორც სამხრეთით - აღმოსავლეთ ანატოლია, ურმიის ტბისპირეთი, სირია, პალესტინა, ისე ჩრდილოეთით - დაღესტანი, ჩაჩნეთ-ინგუშეთი და ოსეთი [11. გვ. 62, 96].

მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების შუა და ფინალურ სტადიაზე ამ კულტურის მატარებელი ტომები თანდათანობით ითვისებენ კავკასიონის მთავარი ქედის როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ კალთებს. მტკვარ-არაქსული ძეგლები არღუნის ხეობის სათავეების ვარდა აღმოჩენილია ფშაქში - ვაკისსოფელში [14. გვ. 90]; მთიულეთში - ხადას ხეობაში, როსტიაანებში [1] და ყაზბეგის რ-ში, ტყარშეტში [3. გვ. 34-35].

მდინარე არღუნის სათავეებში ადრებრინჯაოს ხანის ძეგლები მიკვლეულია სოფ. გიორგიწმინდაში - სამ პუნქტში: ადგილ ციხეთგორზე, ნასისხლარსა და ბერთ საყდრის გორზე. შატღლში ახალი დასახლების დასაყდრით მდებარე ფერდობზე და მუცოში თანამედროვე სასაფლაოს ტერიტორიაზე. ჩამოთვლილი ძეგლებიდან შედარებით სრულყოფილი ინფორმაცია მოგვეპოვება გიორგიწმინდის ციხეთგორისა და მუცოს სამაროვნებზე.

პირიქითა ხევსურეთში ადრებრინჯაოს ხანის ძეგლი პირველად 1985 წელს აღმოჩნდა ბარისახო-შატღლის სამანქანე გზის შეკეთებისას. სოფ. გიორგიწმინდის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ციხეთგორის სამხრეთი ფერდობის გაჭრის შედეგად წარმოქმნილმა მეწყერმა გააშიშვლა ბუნებრივ ეხებში გამართული სამარხები. აღმოჩენის ადგილზე, ჟინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ იმავე წელს გაწმინდა სამი დაზიანებული სამარხი, ხოლო მომდევნო წელს გაითხარა კიდევ ხუთი სამარხი [14. გვ. 82; 15. გვ. 90; 16. გვ. 535; 17. გვ. 449].

სამაროვანი მდებარეობს სამეურნეოდ სრულიად უვარგის ციცაბო კლდოვან ფერდობზე. რელიეფი იმდენად დამრეცია, რომ სამარხებთან თავისუფლად მისვლა თითქმის შეუძლებელია. სამარხების გასამართავად ოსტატურად გამოუყენებიათ ბუნებრივი

ეხები. აკლდამებისა და სამარხების კედლები ნაშენებია ფიქალი ქვით ტალახზე, ცალფა ან ორფა წყობით. გადახურვისთვის გამოყენებულია ფიქალი ქვის მოზრდილი ფილები. განსაკუთრებით საგულდაგულოდაა ამოყვანილი ფასადები, რომლებიც შემდგომში, როგორც ჩანს, საგანგებოდ იფარებოდა მიწით. რამდენიმე სამარხი-ნაგებობა ორიარუსიანი ყოფილა, სადაც ქვედა იარუსის გადახურვა ზედა იარუსის იატაკს წარმოადგენდა (ტაბ. I).

გიორგიწმინდის სამაროვანზე წარმოდგენილი სამარხები ამოშენებულკედლიან, ნახევრად მიწისზედა სამარხებისა და აკლდამების ტიპს მიეკუთვნება. ერთ შემთხვევაში გვაქვს სამარხი აკლდამა. იგი საკმაოდ მოზრდილი ზომისაა, დანარჩენი სამარხები კი ჩვეულებრივია. სამარხთა დამხრობა არასტანდარტულია, ისინი მიმართულია სამხრეთ-დასავლეთით ანდა ჩრდილო-აღმოსავლეთით. მიცვალებულის პოზა დადგინდა ორ სამარხში (№1 და №4) - მოხრილი მდგომარეობა მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთით. დანარჩენ სამარხებში ძელები ცუდად იყო დაცული, ანდა ჩონჩხების მხოლოდ ნაწილები იყო წარმოდგენილი, უმთავრესად ჩნდებოდა თავის ქალები. სამაროვანზე გაითხარა როგორც ინდივიდუალური (№№ 1,4,6,7), ასევე კოლექტიური სამარხები (№№ 2,3,5,5").

საინტერესო ფაქტი დადასტურდა №7 სამარხში, სადაც მოზრდილ დერგში აღმოჩნდა ჩვილი ბავშვის ჩონჩხი, რაც დაკრძალვის თავისებური რიტუალის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. შედარებისათვის შეიძლება აღინიშნოს, რომ დაღესტანში, გინჩის სამაროვანზე, მოზრდილ თიხის ჭურჭლებში დაკრძალულნი იყვნენ ბავშვები [12, გვ. 90]. მტკვარ-არაქსული კულტურის ძეგლებზე დღემდე ცნობილი არ ყოფილა მრავალარუსიანი სამარხები. გიორგიწმინდის სამაროვანზე დაფიქსირებული ორიარუსიანი სამარხების არსებობა შეიძლება აიხსნას არა მარტო მცირე მიწიანობით, არამედ დემოგრაფიული ფაქტორითაც. ციხეთგორის თავზე და ადგილ ნასისხლარში, როგორც ჩანს, საკმაოდ მრავალრიცხოვან მოსახლეობას უნდა ეცხოვრა სამაროვნის ფუნქციონირების განმავლობაში.

ამირანის გორის სამაროვანზე სამარხები ნაშენებია ტალახზე. აქაც, როგორც ციხეთ-

გორის სამარხებში, ჩონჩხები ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი. ხშირია მხოლოდ თავის ქალების აღმოჩენის შემთხვევები [9, გვ. 38-40]. ამ სამაროვნებზე ტრადიციების თანხვედრა უეჭველად უნდა მიუთითებდეს საქართველოს ბარისა და მთის მჭიდრო კონტაქტებზე ადრეობინჯაოს ხანის გარკვეულ საფეხურზე.

გიორგიწმინდის სამარხებში აღმოჩენილია: თიხის, ბრინჯაოს, ქვისა და ძვლის ნაწარმი.

თიხის ჭურჭელი მოვარდისფრო ან მონაცრისფროა, ხშირად დაფარულია სხვადასხვა ლაქებით. ნაძერწია ხელით, ფიქალმინარევიანი თიხისგან, უხეშად და ტლანქად. ჭურჭელი არ არის ნაპრიალები და ორნამენტირებული. ფორმების მიხედვით გამოიყოფა: დერგები, ორყურა ქოთნები, ტოლჩები, ჯამები, სასმისები და კოჭობები.

დერგები ხუთი ერთეულითაა წარმოდგენილი (ტაბ. II-III, №№ 6,13,14,23,33). ყველა მათგანი ერთნაირი ფორმისაა. პირისკენ განიერებული და ძირისკენ შევიწროვებული. მხრებზე დაძერწილი აქვს ბრტყელი ოვალურგანივკვეთიანი ყურები. ერთი დერგის ყურის თავები შემკულია პატარა ფოსლებით. (ტაბ. II ნახ. 13) ამავე დერგს შეაწვლზე ეტეობა გარდატეხის ხაზი. ძირები ბრტყელი და შიგნითკენ შედრეკილია. დერგები ამოყვანილია ქსოვილზე. ციხეთგორის სამაროვანზე აღმოჩენილი დერგები დამახასიათებელი არ ჩანს ბარის მტკვარ-არაქსული ძეგლებისთვის, თუმცადა ზოგი მსგავსება მაინც შეინიშნება კასპის ციხიანგორის B2 და A1 დონის დერგებთან, რომელთა თარიღი ძვ.წ. 2300-2100 წწ. არის განსაზღვრული [2, გვ. 76, ტაბ. XLII, ნახ. 6; LV, ნახ.7; LXIII ნახ. 2,3]. ამავე ძეგლის გვიანდელ A-დონის მასალებშივე გვხვდება ფოსლებით შემკული თიხის ჭურჭლის ყურები [2, ტაბ. LXVI, ნახ. 7,14]. ერთგვარი სიახლოვე შეიმჩნევა ქვაცხელას C1 ფენაში ნაპოვნ დერგებთანაც [10, ტაბ. IV, ნახ. 39]. გიორგიწმინდის დერგების ანალოგიური დერგი აღმოჩენილია ყაზბეგის რ-ში, ტყარშეტში [3, გვ. 34, ნახ. 1], ოღონდაც ეს უკანასკნელი საკმაოდ დიდი და მასიური ზომებით გამოირჩევა. განხილული დერგები, როგორც აღინიშნა, ზოგად მსგავსებას ამჟღავნებს შიდა ქართლურ ფორმებთან, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ბა-

რკვეული თავისებურებებით გამოირჩევა. კერამიკის ეს ჯგუფი, ჩანს, დამახასიათებელია მაღალმთიანი ზოლის ფინალური საფეხურის მტკვარ-არაქსული ძეგლებისთვის.

ორყურა ქოთნები სამაროვანზე სამი ცალია აღმოჩენილი (ტაბ. II-III, ნახ. 10, 22, 29). მათთვის დამახასიათებელია ღია მონაცრისფრო-მორუხო, ალაგ-ალაგ მოვარდისფრო ლაქებიანი ზედაპირი. არც ეს ქოთნებია საგანგებოდ ნაპრიალები. სამივე ჭურჭელი სფერულტანიანია. ოვალურგანიკვეთიანი ყურები დაძერწილია მხრებზე და პირზე. ერთ-ერთს ყელისა და მხრის გადაკვეთაზე ეტყობა გარდატეხის ხაზი (№ 29). ამავე ქოთანს ძირი შედრეკილი აქვს, ხოლო დანარჩენებს კი ბრტყელი.

მსგავსი ქოთნები გვხვდება განვითარებული და გვიანდელი მტკვარ-არაქსული კულტურის თიხის ნაწარმში. ისინი აღმოჩენილია ქვაცხელების C1 ფენაში [10, ტაბ. IV, ნახ. 392, 394], კასპის ციხიაგორის B2, B1 ფენებში [2, ტაბ. XXIX; XXX; XXXIV; ნახ. 3; XLII, ნახ. 2; L, ნახ. 7], ბადაანის ნამოსახლარზე [6, ტაბ. LXXXIII].

ტოლჩები ორი ცალია ნაპოვნი (ტაბ. II-III, ნახ. 5, 28). ისინი მოშავო-მოყავისფრო ზედაპირიანია. სხვა ჭურჭელთან შედარებით გამოირჩევიან თხელკედლიანობით. ორივე ცალყურაა. ყურები მიძერწილია მხრებზე და პირზე. ერთი ტოლჩა ბიკონუსურია (№ 5), მეორე ტოლჩას მხრისა და ყელის გადაკვეთაზე ეტყობა გარდატეხის ხაზი (№ 28).

გიორგიშინდის ციხეთგორის სამაროვნის ტოლჩები გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა და მათ პირდაპირი ანალოგები არ ეძებნება ბარის მტკვარ-არაქსულ ძეგლებზე. არ არის გამორიცხული, რომ ტოლჩების პროტოტიპებს წარმოადგენდნენ მცირე ზომის ცალყურა ქოთნები თუ კათხები, რომლებიც დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ქვაცხელების C1 ფენაში [10, ტაბ. IV, ნახ. 355-365]; კასპის ციხიაგორის B2 ფენაში [2, ტაბ. XXXI, ნახ. 2].

გიორგიშინდის ერთი ტოლჩის (№ 28) მსგავსი ტოლჩა მომდინარეობს არღუნის ხეობიდანვე, ს. მუცოს ადრებრინჯაოს ხანის დანგრეული სამარხიდან (ტაბ. IV ნახ. 2). ტოლჩებიც, დერგების მსგავსად, ეტყობა, მთის ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი.

ბადიები და ჯამები სამაროვანზე სულ ოთხი ცალია ნაპოვნი (ტაბ. II-III, ნახ. 3, 7, 8, 17). აქედან ბადია სამი ცალია (№№ 3, 7, 8), ერთი კი - ჯამი (№ 17). ოთხივე ჭურჭელი მოვარდისფრო-მონაცრისფრო ზედაპირიანია. ბადიები ფორმით ერთიმეორეს ჰგავს, სამივე ორყურაა, ოვალურ განიკვეთიანი ყურები მიძერწილია პირსა და კორპუსზე. მხარზე ეტყობათ მკვეთრი გარდატეხის ხაზი. მსგავსი ბადიები და ჯამები, გარეგნული ფორმების უმნიშვნელო ტრანსფორმაციით, დამახასიათებელია მტკვარ-არაქსული კულტურის განვითარების თითქმის ყველა ეტაპისთვის. გიორგიშინდის თიხის ჭურჭლის ეს ჯგუფი ყველაზე მეტსიახლოვეს ამუღავნებს ქვაცხელების C1 ფენისა და ციხიაგორის B2, B1 დონის ანალოგიურ კერამიკულ ნაწარმთან [10, ტაბ. IV, ნახ. 370-374; 2, ტაბ. XXXIII, ნახ. 7; XXXIX, ნახ. 7; XLVI, ნახ. 8, 9; XLIX, ნახ. 2, 3; LII, ნახ. 7, 8].

გიორგიშინდის ციხეთგორის სამაროვანზე მცირე ზომის თიხის ჭურჭელიცაა აღმოჩენილი: კათხების, ფინჯნების, სასმისებისა და კოჭბების სახით (ტაბ. II-III, ნახ. 4, 9, 11, 12, 19, 20, 21). კერამიკის ეს ჯგუფი ტექნოლოგიური თვალსაზრისით ისევეა დამზადებული, როგორც წინა ჯგუფები. არც აქ გვხვდება საგულდაგულოდ ზედაპირნაპრიალები თიხის ჭურჭელი, რითაც განსაკუთრებით გამოირჩევა მტკვარ-არაქსული კულტურის ნაწარმი. მცირე ზომის ჭურჭელს ახასიათებს მოვარდისფრო, მოშავო-მონაცრისფრო, მოგლუვებული და ზერულედ ნაპრიალები ზედაპირი. გარეგნული ფორმებით რამდენადმე გამოირჩევა სამი ჭურჭელი (№№ 4, 11, 12). მათი თავისებურება შეიძლება აიხსნას ლოკალურობით, რაც აშკარად მიუთითებს ადგილობრივ მეთუნეთა ოსტატობაზე. მცირე ზომის ე.წ. "სუფრის" ჭურჭელი უცხო არ არის მტკვარ-არაქსის კულტურის, როგორც ადრეული, ასევე მოგვიანო საფეხურის ძეგლებისთვის, ამიტომაც ამჯერად თავს ვიკავებთ პარალელების ჩამოთვლისგან.

ღითონის ნაწარმი სამაროვანზე წარმოდგენილია ბრინჯაოს სპირალური სამაჯურით, ბრინჯაოს ხვიებით და მძივებით (ტაბ. II-III, ნახ. 2, 31, 18). ბრინჯაოს სპირალური სამაჯურები ფართოდ არის გავრცელებული მტკვარ-არაქსის კულტურაში და

განსაკუთრებული ლოკალური თავისებურებებით არ ხასიათდება. მრავალფეროვნებით გამოირჩევა ბრინჯაოს ე.წ. სასაფეთქლე ხვიები. იგივე შეიძლება ითქვას ბრინჯაოს მძივებზეც. ასე რომ, ბრინჯაოს სპირალური სამაჯურები, ხვიები და მძივები მტკვარ-არაქსის კულტურის ყველა საფეხურზე გვხვდება. ისინი დამზადებულია მრგვალი, ბრტყელი ან ნახევარსფერულგანივკვეთიანი ბრინჯაოს ღეროსგან და საკმაოდ მდგრადი ფორმებით ხასიათდება. მსგავსი ნივთები გვხვდება სამშვილდის სამაროვანზე [4, ტაბ. XL, ნახ. 10,11], ამირანის გორაზე [6, ტაბ. CXIII], ტვლეპია წყაროსა და ქვაცხელების სამარხებში [10, ტაბ. XXXVI].

გიორგიწმინდის სამაროვანზე აღმოჩენილი ლითონის ნივთების სპექტრულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ისინი დამზადებულია დარიშხნიანი სპილენძისგან. დარიშხნის შემცველობა ცალკეულ ნივთებში 1.07 %-დან 3.75 %-მდე მერყეობს. რაც შეეხება დანარჩენ კომპონენტებს, ისინი მადნის ბუნებრივ მინარევებს უნდა წარმოადგენდეს.<sup>1</sup>

გიორგიწმინდის ციხეთგორის სამარხებში მცირე რაოდენობით აღმოჩნდა სარდიონისა და თეთრი პასტის მძივები (ტაბ. III, ნახ. 18, 30). მტკვარ-არაქსის კულტურაში ადრეული საფეხურიდანვე გვხვდება სხვადასხვა მასალისგან დამზადებული მძივ-სამკაული. კულტურის საწყის ეტაპზე განსაკუთრებით გავრცელებული ყოფილა თეთრი ფერის, კასრისებური ფორმის პასტის მძივები. მსგავსი მძივები დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი სამშვილდისა და კიკეთის სამარხებში [4, ტაბ. X, ნახ. 1-3]. რაც შეეხება სარდიონის მძივებს, ისინი უფრო მოგვიანო ხანის ძეგლებზე გვხვდება დიდი რაოდენობით და მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. აღსანიშნავია ტვლეპია წყაროსა და ქვაცხელების სამარხებში აღმოჩენილი სარდიონის მძივების ნაირსახეობა [10, ტაბ. XXXVI].

ძვლის ნაწარმი სამარხეულ ინვენტარში მახათებითაა წარმოდგენილი (ტაბ. II-III, ნახ. 1, 32, 36). ისინი დამზადებულია ცხოველის ლულოვანი ძვლისაგან. ძვლის მახათები აღმოჩენილია ამირანის გორაზე [9],

და ქვაცხელებზე [10, ტაბ. IV, ნახ. 212], არგვეთას ნასახლარზე [7, გვ. 61, ტაბ. XII].

გიორგიწმინდის სამაროვანი მრავალმხრივ საინტერესო ძეგლია. საქართველოს ტერიტორიაზე გათხრილი მტკვარ-არაქსეული კულტურის ძეგლებიდან ჯერ-ჯერობით მხოლოდ აქ დადასტურდა სამარხთა ბუნებრივ ეხებში გამართვის ფაქტი. აქვე დაფიქსირდა ორი ან სამ სართულიანი სამარხების არსებობაც. საქართველოს ფარგლებსგარეთ, სამარხთა აღნაგობითა და მათი მოწყობის თვალსაზრისით, ერთგვარი მსგავსება შეინიშნება დაღესტანში გათხრილ გონობის სამაროვანთან. საინტერესოა ისიც, რომ გონობის სამარხებში მიცვალებულთა ჩონჩხები ხშირად მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებით, ზოგჯერ კი მარტო თავის ქალებით, ანდა თავის ქალების გარეშე იყო წარმოდგენილი [13, გვ. 25,31].

მართალია, გონობისა და ყარაბუდასკენტის ძეგლები მიჩნეულია მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანდელ ძეგლებად, მაგრამ გიორგიწმინდისა და გონობის სამაროვნების ზოგიერთი გარეგნული ნიშნების თანხვედრა, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს გამოწვეული მხოლოდ კულტურულ-ქრონოლოგიური სიახლოვით. მითუმეტეს, რომ სამარხეული ინვენტარი ერთიმეორისგან საგრძნობლად განსხვავდება. ასეთ შემთხვევაში აუცილებლად გასათვალისწინებელია ბუნებრივი პირობების ფაქტორი. გიორგიწმინდისა და გონობის სამაროვნები აღმოჩენილია თითქმის ერთნაირ მაღალმთიან გეოგრაფიულ გარემოში.

მთიან ინგუშეთში, ნასოფლარ ეგიკალში, გათხრილია მეტად თავისებური კონსტრუქციის მქონე მიწისქვეშა სამარხი-აკლდამები. ამ სამაროვნის სამარხთა კომპლექსებში დიდი რაოდენობით გვხვდება მტკვარ-არაქსის კულტურის ელემენტები. აკლდამებში მოწყობილი ყოფილა ქვის თაროები. ამ ტიპის სამარხი ნაგებობები მიჩნეულია ფეოდალური ხანის ჩეჩნეთ-ინგუშეთის, ოსეთისა და ნაწილობრივ ხევსურეთის ტერიტორიაზე გავრცელებული აკლდამების შორეულ პროტოტიპებად [18, გვ. 328]. ეგიკალშიც შეინიშნება ზოგიერთი მსგავსება გიორგიწმინდის ადრეებრინჯაოს ხანის სამარხებთან.

<sup>1</sup> ნივთების ანალიზი გაკეთდა გერმანიაში, ქ. ბოხუმის სამთო მუზეუმის ლაბორატორიაში.

მტკვარ-არაქსული კულტურის მეორე სამაროვანი აღმოჩნდა სოფელ მუცოში, თანამედროვე სასაფლაოს ტერიტორიაზე. ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, მიცვალებულის დაკრძალვა არ შეიძლებოდა სასაფლაოს აღმოსავლეთ ნაწილში. ტრადიცია დაურღვევიათ 1996 წელს, როდესაც დაუსაფლავებიათ ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდა კაცი. საფლავის გაჭრის დროს დაუზიანებიათ სამარხი, სადაც აღმოჩნდა ადრეპრინჯაოს ხანის კერამიკა და ბრინჯაოს ნივთები.

სამარხი დამხრობილია ყოფილა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. ნაშენია მშრალი წყობით ფიქალი ქვით. ადახურვისთვის გამოყენებულია ფიქალისავე საშუალო ზომის ფილები. მიცვალებულის ჩონჩხი არეული იყო და მისი პოზის დადგენა ვერ მოხერხდა.

მუცოს სამარხის მსგავსი სამარხები ცნობილია სამხრეთ საქართველოს მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ძეგლებიდან - სამშვილდე და ახალციხის ამირანისგორა.

სამარხში აღმოჩნდა თიხის ოთხი ჭურჭელი - ფინჯანი, ტოლჩა, დიდი ზომის ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტი და ბადიის ნატეხი. აქვე იქნა ნაპოვნი ბრინჯაოს ორი სპირალური სამაჯური და ორიც რკალნახევრიანი ხვია (ტაბ. IV, ნახ. 1-8).

თიხის ჭურჭელი ნაძერწია ხელით, ხასიათდება ლეგამონაცრისფრო, უბრალოდ მოგლუვებული ზედაპირით. თიხა ფიქალმინარევიანია. ორი ჭურჭელი ამოყვანილია ქსოვილზე (№3, №4).

ფორმითა და დამზადების ტექნიკით მუცოს სამარხის თიხის ნაწარმი და გიორგიშინდის სამარხებში აღმოჩენილი ჭურჭელი თითქმის ანალოგიურია.

#### ბრინჯაოს ნივთების სპექტრული ანალიზის ცხრილი

№	ნივთის დასახელება	აღმოჩენის ადგილი და საინვენტარო №	Cu	As	Sb	Pb	Ni	Ag
1	სპირალური სამაჯური	გიორგიშინდის სამაროვანი, სამარხი №1 09-LXIX-85-2	ფუძე	2.52	0.02	0.03	0.02	0.01
2	ხვია	გიორგიშინდის სამაროვანი, სამარხი №5 09-LXIX-86-31	-"	1.43	0.05	0.09	-	0.04
3	ხვია	გიორგიშინდის სამაროვანი, სამარხი №5 09-LXIX-86-31	-"	1.43	0.05	0.09	-	0.04
4	ორვოლუტი-ანი საკინძი	სოფ.გიორგიშინდა "შემთხ.მონაპ. 31-XXIII-98-9	-"	1.07	0.05	0.02	0.01	0.05
5	სპირალური სამაჯური	მუცოს სამაროვანი სამარხი №1 31-XXIII-98-5	-"	3.23	0.08	0.03	0.02	0.02
6	სპირალური სამაჯური	მუცოს სამაროვანი სამარხი №1 31-XXIII-98-6	-"	3.23	0.08	0.03	0.02	0.02
7	ხვია	მუცოს სამაროვანი სამარხი №1 31-XXIII-98-7	-"	3.75	0.08	0.04	-	0.02
8	ხვია	მუცოს სამაროვანი სამარხი №1 31-XXIII-98-8	-"	1.76	0.03	0.10	-	0.03



გიორგიწმინდისა და მუცოს თიხის ნაწარმზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულს პირიქითა ხევისურეთში თიხის ჭურჭელი მზადდება ადგილზე – ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით. აქ ჯერ არ დაფიქსირებულა ბარის იმპორტის აღმოჩენის შემთხვევები. აქაური მეთუნეები აგრძელებენ მტკვარ-არაქსელი ოსტატების ძველ ტრადიციებს და ახლის ძიებაშიც ცდიან ძალებს. თუმცა მთის თიხის ჭურჭელი ზედაპირის დამუშავებითა და გაპრიალებით საგრძნობლად ჩამორჩება ბარის ნაწარმს. უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ ზედაპირის გაპრიალების დაბალი დონით ხასიათდება მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალური საფეხურის როგორც ბარის, ისევე მთის ძეგლებზე მოპოვებული თიხის ჭურჭელი [2, გვ. 55-56, 1. გვ. 10].

პირიქითა ხევისურეთის ადრებრინჯაოს ხანის ძეგლების დათარიღება, სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამ ძეგლებიდან არ გაგვანჩნია რადიოკარბონული თარიღები, ამიტომაც იძულებული ვართ მივმართოთ შედარებითი დათარიღების მეთოდს. პირველ რიგში მხედველობაშია მისაღები იმ ძეგლების ასაკი, რომლებთანაც უფრო მეტ სიახლოვეს ამუღავნებენ გიორგიწმინდის და მუცოს სამარხეული კომპლექსები. ჩვენ ასეთ ეტალონურ ძეგლებად გვესახება ქვაცხელების და ციხიაგორის ნამოსახლარები. კონკრეტულად კი ქვაცხელების B, ციხიაგორის B და A სამშენებლო დონეები, რომლებიც დათარიღებულია ძვ.წ. XXIV ს. [10, გვ. 58-59] და ძვ.წ. XXII-XX სს. [2, გვ. 73].

გიორგიწმინდის ციხეთგორის და მუცოს სამარხეული შეიძლება დათარიღდეს ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლო საუკუნეებით. არ გამოვირიცხავთ, რომ შემდგომმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ უფრო მეტი სიცხადე შეიტანოს ამ ძეგლების დათარიღებაში.

როგორც უკვე ითქვა, ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარები პირიქითა ხევისურეთის ტერიტორიაზე, მიკვლეულია შატილისა და გიორგიწმინდის მიდამოებში. ნამოსახლარების შესახებ ჩვენი ცოდნა მხოლოდ ზედაპირული დაკვირვების შედეგია და, აქედან გამომდინარე, არასრულყოფილიც.

გიორგიწმინდაში, ადგილ ნასისხლარსა და სამარხის ტერიტორიაზე, ციხეთგორის თხემსა და მთელს ფერდობზე, ზედაპირულად აიკრიფა მტკვარ-არაქსის კულტურის თიხის ჭურჭელი და ხელსაფქვავეები. განსაკუთრებით თვალში საცემია ხელსაფქვავეების სიმრავლე, მათი რიცხვი, რამდენიმე ასეულს აჭარბებს.

ციხეთგორის თხემზე შეინიშნება კლდოვან ქანში ჩაჭრილი შენობების კვალი. ინტენსიური ნამორეცხვის გამო ალაგ-ალაგ გამოჩენილია ფიქალი ქვით, მშრალი წყობით ნაკები კედლის ნაშთები. ციხეთგორის ფერდობი კი დაფარულია მეტად უცნაური და გაურკვეველი დანიშნულების პატარა-პატარა ზომის ხელოვნური ტერასებით, რომელთა სიგრძე დაახლოებით 1,0 მ-დან 2,0 მ-დე მერყეობს, ხოლო სიმაღლე 1,0 მ-დან 1,5 მ-დე, ტერასები ნაშენია ფიქალი ქვით, შიგადაშიგ ურევია რიყის ქვებიც. საინტერესოა, რომ კედლებში სამშენებლო მასალად გამოყენებულია ხელსაფქვავის ქვები, რაც მათ გვიანდლობაზე უნდა მიანიშნებდეს, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ნასახლარებზე დადასტურებულია საძირკვლებსა და კედლებში ხელსაფქვავის ქვების ნაშენების ტრადიცია [7, გვ. 61-63].

ცხადია, საინტერესოა ციხეთგორის შენობების ნაშთების და ტერასების ხნოვანებისა თუ კულტურული ატრიბუციის გარკვევა. ამ კითხვებზე პასუხს უსათუოდ გაცემს მომავალი არქეოლოგიური სამუშაოები. შატილში, ახალი უბნის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე სამხევაანის გორზეც ისეთივე სურათი იკვეთება, როგორც ციხეთგორზე. აქაც მთელი ფერდობი მოფენილია ე.წ. "ნავისებური" ხელსაფქვავეებით. კლდოვან ქედზე შეინიშნება ტერასული დასახლების კვალი.

შატილშივე არის მეორე ძეგლი, რომელიც მდებარეობს თანამედროვე სასაფლაოს ტერიტორიაზე.

მტკვარ-არაქსის კულტურის წრეს მიეკუთვნება სოფ. გიორგიწმინდაში, ბერთსაყდრის გორაზე შემთხვევით ნაპოვნი ბრინჯაოს ორვოლუტიანი საკინძი (ტაბ. IV, ნახ. 9). იგი ჭედვითაა დამზადებული. თავი დაბრტყელებულია და ორად გაყოფილი. ღერო მრგვალგანიგვეთიანია. შაკინძი დარიშხანიანი ბრინჯაოსაგან. არის დამზადებული (იხ. ცხრილი).

საქართველოში აღმოჩენილ ორვოლუტიან საკინძებში მკვლევარები ორ ან სამ

ტიპს გამოყოფენ. პირველი ტიპი დეროს ორად გაყოფითა და თითოეული ნაწილის სპირალებად დახვევის გზითაა მიღებული. გიორგიწმინდის საკინძი პირველ ტიპს მიეკუთვნება. მსგავსი საკინძები აღმოჩენილია სამშვილდეში, მადაროში და ბეშთაშენში. ორვოლუტიანი საკინძებს ვხვდებით ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით კი ირანში. საქართველოს საკინძები, კავკასიის სხვა საკინძებთან შედარებით, უფრო ადრეული ხანისა ჩანს და წარმოადგენს აქ გავრცელებული ამგვარივე ტიპის მოგვიანო ხანის საკინძების პროტოტიპს [5, გვ. 8; 8, გვ. 95].

ჩვენის აზრით, საქართველოში აღმოჩენილი ორვოლუტიანი საკინძის პირველი ტიპის საკინძების მხოლოდ ადრეულად მისწვევა მთლად მართებული არ უნდა იყოს. მითუმეტეს, რომ მადაროს ყორდანი, სადაც აღმოჩნდა მსგავსი საკინძი, მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ ძეგლს არ უნდა წარმოადგენდეს. არ არის გამორიცხული რომ ორვოლუტიანი საკინძების რამდენიმე ტიპი, გარკვეულ დროს, საქართველოს ტერიტორიაზე თანაარსებობდეს.

გიორგიწმინდის საკინძის მსგავსი საკინძები ჩრდილოეთ კავკასიაში თითქმის მთელი ბრინჯაოს ხანის განმავლობაში გვხვდება. ისინი აღმოჩენილია დაღესტანში, ჩეჩნეთში და ოსეთში [18, ტაბ. 83, ნახ. 41; ტაბ. 98, ნახ. 13; ტაბ. 100, ნახ. 34; ტაბ. 102, ნახ. 4].

გიორგიწმინდის ბრინჯაოს ორვოლუტიანი საკინძი, ალბათ, პირიქითა ხევისურეთის სხვა დანარჩენი მტკვარ-არაქსული ძეგლების თანადროულია და ამიტომაც იგი ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლო საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

ახალი არქეოლოგიური აღმოჩენებით ირკვევა, რომ შატილ-მიღმახევის ტერიტორია, ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ათვისებული ყოფილა, მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომებით. მოსახლეობის ნაწილი, რომელიც შიდა ქართლიდან უნდა ასულიყო მთაში, ფშავ-ხევისურეთის ხეობის გავლით მოხვდა პირიქითა ხევისურეთში და იქ დამკვიდრდა. ხოლო მეორე ნაწილი კი, მდინარე არღუნის შუა წელზე დასახლდა. ამ ფაქტს ადასტურებს არღუნის ხეობაში დღევანდელ ჩეჩნე-

თის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები. [18, გვ. 303].

**G. Gogochuri, M. Ghlonti**

## **KURA-ARAXES CULTURE SITES IN PIRIKITA KHEVSURETI**

**(Summary)**

The Zhinvali archaeological expedition of the Centre for Archaeological Studies had found and later explored sites of Kura-Araxes Culture in the highlands of Georgia in the 1980s.

Such sites were found on for the first time the territories of Ardoti, Shatili and Arkhoti gorges (so-called Pirikita Khevsureti).

Several burials of Tsikhsetgori cemetery were excavated at v. Giorgitsminda in the upper reaches of the Argun river in 1985-1986.

Another partly damaged burial was found by chance, at v. Mutso in 1998.

The burials of Tsikhsetgori cemetery (v. Giorgitsminda) were found within natural caves. Their front walls were made of schist – either dry built or the stones were held together with mortar. They were covered by the same, medium size, flat schist stones. The burials were half-dug and their back-rear walls leaned to the rock. The front walls were covered with mounds (Pl.1)

Individual (Nos. 1, 4, 6, 7) and mass (Nos. 2, 3, 5, 5') burials against were uncovered

It proved impossible to identify the burial custom. Skeletal bones inside the mass burials were mixed. As to the individual ones, they contained only skulls. Burial N7 belonged to a baby placed in a fair-sized jar.

The grave goods were such: hand-made buff-greyish pottery with coarse exterior; bronze convoluted bracelets, spirals and pins with double-volute tops; bronze, carnelian and paste beads, bone bodkins (Pls.2, 3, 4).

The bronze items are made of arsenic copper.

The bearers of the Kura-Araxes culture must have come to the above-mentioned areas of the North Caucasus from Shida (Inner) Kartli via the gorge of Pshav-Khevsureti Aragvi.

Burials of Giorgitsminda Tsikhsetgori cemetery and v. Mutso village Kura-Araxes date from the end of the third millennium B.C..

## ლიტერატურა

1. გოგოჭური გ. – ხადის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. ხელნაბეჭდი, თბ. 1999.
2. მახარაძე ზ. – ციხიაგორის მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი თბ., 1994.
3. მინდორაშვილი დ. – მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკა მდ.თერგის ხეობიდან, ძეგლის მეგობარი №2, 1993 გვ. 33-34.
4. მირცხულავა გ. სამშვილდე, თბ. 1975
5. ორჯონიკიძე ა. მტკვარ-არაქსის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში. ავტორეფერატი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თბ., 2000.
6. საქართველოს არქეოლოგია ტ. II თბ. 1992 – თ. ჯაფარიძის რედაქციით.
7. ფხაკაძე გ. დასავლეთი ამიერკავკასია ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულში. თბ., 1993.
8. ღლონტი ლ., დავლიანიძე ც. საკინძები ქვაცხელას ნამოსახლარიდან, კავკასიის ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები. თბ. 2001 გვ. 95-98.
9. ჩუბინიშვილი ტ. ამირანის გორა, თბ., 1963.
10. ჯავახიშვილი ალ., ღლონტი ლ. ურბნისი I, თბ., 1962.
11. ჯაფარიძე ო. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ. 1976
12. Гаджиев М. Г. Из истории Дагестана в эпоху бронзы, Махачкала, 1969.
13. Котович В. Г. Археологические работы в горном Дагестане МАД т. 2, 1961, გვ. 5-56.
14. Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. А. и др. Археологическое изучение Арагвского ущелья, ПАИ в 1984-1985 годах, 1987, გვ. 74-89.
15. Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. А. и др. Археологическая экспедиция горного региона восточной Грузии, ПАИ в 1986 г. 1991, გვ. 89-95.
16. Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. А., Маргвелашვილი М. Г. Работы Жинвальской комплексной экспедиции, АО 1985 г. 1987, с.535
17. Рамишвили Р. М., Гогочури Г.К., Джорбенадзе В. А., Мухигулашვილი Н.З., Робакидзе

И. В., Рчеулишвили Г.М., Цитланадзе Л. Г. Исследования в горных районах восточной Грузии, АО 1986 года. 1988 с. 447-450.

18. Эпоха бронзы Кавказа и Средней Азии, ранняя и средняя бронза Кавказа, под редю Б. А. Рыбакова. М. 1994.

## ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – 1 - N 1 და N 2 სამარხების გეგმა და ჭრილი; 2 - N 4 სამარხის გეგმა და ჭრილი; 3 - N 5, N 5' და N 7 სამარხების გეგმა და ჭრილი; 4. - N 6 სამარხის გეგმა და ჭრილი.

ტაბ. II – 1-5 - N 1 სამარხის ინვენტარი; 6-16 - N 2 – N 3 დანგრეული სამარხების თიხის ჭურჭელი.

ტაბ. III – 17-18 - N 4 სამარხის ინვენტარი; 19-26 - N 5 სამარხის (ზედა) თიხის ჭურჭელი; 28-31 - N 5' სამარხის (ქვედა) თიხის ჭურჭელი; 32 - N 6 სამარხის ძვლის მახათი; 33-36 - N 7 სამარხის ინვენტარი.

ტაბ. IV – 1-8 მეცოში აღმოჩენილი მტკვარ-არაქსული სამარხის ინვენტარი; 9 სოფ. გიორგიშინდაში ადგილ ბერთსაყდრის გორაზე შემთხვევით მოპოვებული ბრინჯაოს საკინძი


## Description of the Plates


Pl. I – 1. Plans and sections of the burials N1 and N2; 2. Plans and sections of the burial N4; 3. Plans and sections of the burials N5, N5' and N7; 4. Plans and sections of the burial N6.


Pl. II - 1-5 – Grave goods of the burial N1; 6-16 – Pottery of the destroyed burials N2 and N3.

Pl. III – 17-18 – Grave goods of the burial N4; 19-26 – Pottery of the (upper) burial N5; 28-31 – Pottery of the (lower) burial N5'; 32 – A bodkin of the burial N6; 33-36 – Grave goods of the burial N7.


Pl. IV – 1-8 – Grave goods of Mutso Village burial; 9 – A bronze pin, found by chance in Giorgitsminda village at Bertsakdari hill.







გამ. IV



ჭურჭლის ერთი ტიპის შესახებ ბერიკლდეების ნამოსახლარიდან

ბერიკლდეების ნამოსახლარი რთული ძეგლია. იგი მიეკუთვნება მრავალფენიან ნამოსახლართა იმ კატეგორიას, რომელზეც შესაძლებელია ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის დაფიქსირება და რეკონსტრუირება. ქრონოლოგიურად განსხვავებულ კულტურულ ფენებს შორის მეტად საინტერესო გამოდგა ნამოსახლარის III ფენა, რომელშიც გარდა იმისა, რომ პირველად იქნა აღმოჩენილი ე.წ. ბედენური კულტურის ნასახლარის ნაშთები, მოხერხდა ამ ფენის ზუსტად სტრატოგრაფიკული დასაზღვრება.

ძვ.წ. III ათასწ. მეორე ნახევარი პრობლემურ და შეიძლება ითქვას, ჯერჯერობით საკმაოდ გამოსაკვლევ პერიოდს წარმოადგენს. სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ამ დროს ცენტრალურ ამიერკავკასიაში ფართოდ გავრცელებული და კარგად განვითარებული მტკვარ-არაქსული კულტურის ადგილს იკავებს უფრო დაწინაურებული, განსხვავებული მახასიათებლების მქონე ადრეული ყორღანების კულტურა. რით იყო გამოწვეული ეს მოვლენა, რა სახით მოხდა კულტურათა ჩანაცვლება, ამის შესახებ მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული და მათი ჩამოთვლა შორს წავიყვანს.

ბატონმა ალექსანდრე ჯავახიშვილმა ბერიკლდეებზე ნატარებულ სამუშაოს ვრცელი და მეტად ინფორმაციული ანგარიში მიუძღვნა. ნაშრომის იმ ნაწილის გაცნობის დროს, რომელიც შეეხება III ფენის დახასიათებას ჩნდება კითხვა — ხომ არ წარმოადგენს ეს ძეგლი სამლოცველოს (საკულტო ადგილს), სადაც მოსახლეობა სპეციალურად აგებს გარკვეული კონსტრუქციის საკულტო შენობებს, სამსხვერპლო ბაქნიან კომპლექსებს, აქვე ასრულებს განსაკუთრებულ რიტუალებს და ტოვებს ამ სარიტუალო წესთან დაკავშირებულ უამრავ არტეფაქტს. ძეგლის ხასიათის დადგენას მისი კომპლექსური შესწავლა სჭირდება, რაც საკმაოდ შრომატევად სამუშაოს მოითხოვს. კონკრეტულ მაგალითზე დაყრდნობით, უფრო ზუსტად ჭურჭლის ერთი სახეობის მიხედვით, შევეცდები საზოგადოების სულიერი კულტურის რთული სურათის ერთი ელემენტის გადმოცემას.

ბერიკლდეების ნამოსახლარის III ფენაში აღმოჩენილი კერამიკიდან ყურადღე-

ბას იქცევს ორი მთლიანი კათხისებური და ამგვარივე ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი, რომელიც აღმოჩენის ადგილის მიხედვით, ფენაში გამოყოფილ, თითქმის ყველა სამშენებლო ჰორიზონტზე გვხვდება. ის აღმოჩნდა ბედენურ შენობებში (№2,3,8,12), სამსხვერპლო ბაქნიან (10), ორმოში (№ 86), განათხარი ფართობის როგორც ზედა (+35), ისე ქვედა (-40-45სმ.) აბსოლუტურ დონეებზე.

ამ ტიპის კერამიკისთვის დამახასიათებელია ფართო, ცალ მხარეს გადაშლილი პირი, გვერდზე და პირზე მიძერწილი ბრტყელი ყური, რომელიც ფაქტიურად ძირის გაგრძელებას წარმოადგენს და პირზე ან სახელურის თავზე დაძერწილი ბიბილოსებური შვერილები. ჭურჭელი ხელით არის ნაძერწი, უხეშია, ხშირად ტლანქი და დეფორმირებული. ყველა შემთხვევაში ჩანს ძლიერი ცეცხლის კვალი (ტაბ. 1, 1). ჭურჭელი მოწითალო-მთქვავისფროა, და როგორც ჩანს, ცეცხლზე სახმარად იყენებდნენ. ბიბილოსებური შვერილები მათ ერთგვარ ზომიორფულ იერს აძლევს. № 8 შენობაში აღმოჩენილი ფრაგმენტი შეიძლება ანტროპომორფულ გამოსახულებადაც ჩაითვალოს (ტაბ. 14). აღსანიშნავია, რომ ამავე შენობის ცენტრალური კერა ობსიდიანით თვალეზინკრუსტირებული, მასიური ან ანტროპომორფული შვერილით იყო შემკული. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული კათხისებური ჭურჭელი ჯერჯერობით უნიკალურია და ბერიკლდეების ნამოსახლარის გარდა ჩვენთვის სრულიად უცნობია. ჭურჭლის რაოდენობრივი სიმცირე შეიძლება მის განსაკუთრებულ დანიშნულებასაც მიუთითებდეს, რასაც ხაზს უსვამს ამ ტიპის კერამიკის აღმოჩენა ბერიკლდეების ნამოსახლარის ისეთ კომპლექსებში, რომლებიც მაშინდელი საზოგადოების სულიერ კულტურასთან, მის რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებულ რიტუალებთან უნდა იყოს კავშირში (შენობები, ბაქნები, ორმოები).

მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები გამოირჩევა ამგვარი ფაქტობრივი მასალის სიმრავლით. ეს შეეხება შვერილიან კერებს, კერის სადგრებს, მცირე პლასტიკას, ჭურჭელზე დატანილ ორნამენტს და ა.შ. [1]. მტკვარ-არაქსული ნამოსახლარებისა და ბერიკლდეების ნამოსახლარის



ფენის ე.წ. საკულტო ობიექტების შედარებისას ჩანს, რომ ნაყოფიერების კულტი (მიწათმოქმედება-მესაქონლეობა) უფრო მკაფიოდ და გამოკვეთილი სახით მტკვარ-არაქსის კულტურაშია წარმოდგენილი. მაღალხარისხოვანი ბედენური ჭურჭლის მიუხედავად, ბერიკლდეებზე ამგვარი ატრიბუტიკა ერთი შეხედვით უფრო დეგრადირებული და მდარე ხარისხისაა, თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ ბერიკლდეების III ფენაში აღმოჩენილი აღნიშნული მასალაც ნაყოფიერების კულტს უნდა ემსახურებოდეს (შეიძლება ხარისხობრივად და რაოდენობრივად შევეუდართ ერთმანეთს მტკვარ-არაქსის კერები, კერის სადგრები, კერამიკის ორნამენტაცია, მცირე პლასტიკა ბერიკლდეების III ფენის კერებს, სამსხვერპლო პოდიუმებს, ჭურჭლის ცალკეული ფორმებსა და ა.შ.). მაგალითად, ბერიკლდეებზე გათხრილი № 8 სამსხვერპლო ბაქანი შემკული იყო, როგორც თიხის რქისებური დანაძერწებით, ისე რელიეფური სპირალური ორნამენტით, რაც მტკვარ-არაქსის კულტურაში ნაყოფიერების კულტის ატრიბუტიკას წარმოადგენს. რქისებური შვერილები ჰქონდა ბაქნების უმეტესობას, მათ შორის № 10 ბაქანსაც.

ჩვენი აზრით, შიდა ქართლში ახალმა, "ბედენის", კულტურამ შემოტანილ ინოვაციებთან ერთად, ტრადიციის სახით მიიღო ადგილობრივი მტკვარ-არაქსული კულტურის იდეოლოგიური საფუძველი, რომელიც, პირველ რიგში, საზოგადოების ცხოვრების წესით, მეურნეობის ხასიათით იყო გაპირობებული. მკვლევართა უმეტესობა მიუთითებს, რომ ადრეული ყორღანების კულტურაში მიწათმოქმედების როლი ეცემა და წამყვან დარგად ნომადური მეურნეობა გადაიქცევა. შიდა ქართლში შესწავლილი ბერიკლდეების ნამოსახლარის მიხედვით, ეს პროცესი ამ რეგიონში შედარებით განსხვავებულად უნდა მიმდინარეობდეს. III ფენის მასალაში ყურადღებას იქცევს აშკარად მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული არტეფაქტების სიმრავლე (მარცვლეული, ხელსაფქვავის კურანტები, სასრესები, როდინები, კაუის ნამგლის ჩასართები, ძვლის სამეურნეო იარაღი და სხვ.), რაც მეურნეობის ამ დარგის მაღალ დონეზე და დამჯდარი ცხოვრების წესზე მიგვანიშნებს. როგორც ჩანს, ბედენის კულტურას შიდა ქართლში დახვდა როგორც კარგად განვითარებული მეურნეობა, ისე ჩამოყალიბებული სარწმუნოებრივი სისტემა, რამაც ერთგვარად განსაზღვრა კიდევ კულტურის ხასიათი. სახეცვლილებების მიუხედავად ბერიკლდეების III ფენის კომპლექსებში მაინც

იკითხება მტკვარ-არაქსული ელემენტები (სოლომორფული და ანტროპომორფული კერები და ბაქნები, გარკვეული ასტრალური ნიშნები), რაც ადაპტირებული სახით უნდა გადმოსულიყო წინამორბედი კულტურიდან.

ზემოთ წარმოდგენილ ჭურჭელს ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებულ რიტუალში გარკვეული ფუნქცია უნდა ჰქონოდა, და ალბათ, იგი ერთი მთლიანი სარიტუალო წესის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა.

**M. Jalabadze.**

**ONE OF THE POTTERY TIPS FROM BERIKLDEEBI SETTLEMENT**

(Summary)

The presented in this article type of ware found in Sedeni (III) lauer in Berikldeebi settlement (East Georgia Shida Kartli) has not been known in other sites. This sort of ware is found mainly in so called ritual complexes of the above mentioned settlement and it might be connected with fertility cult ritual.

**ლიტერატურა**









1. კიკვიძე ი. მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976.

**ტაბულის აღწერილობა**

ტაბ. I - 1 - ბედენური ფენის № 10 ბაქანთან აღმოჩენილი ჭურჭელი; 2 - ბედენური ფენის № 254 ორმოში აღმოჩენილი ჭურჭელი; 3, 5, 8 - ბედენური ფენის სხვადასხვა სამშენებლო პორიზონტებიდან და ორმოებიდან მომდინარე მასალა; 4 - ბედენური ფენის № 8 შენობაში აღმოჩენილი ჭურჭლის ფრაგმენტი

**Description of the plate**

Pl. I - 1 - vessel discovered at the platform of bedeni layer 10; 2 - vessel found in pit 254 of Bedeni layer; 3, 5, 8 - material from various constructional horizons and piys of Bedeni layer; 4 - fragment of a vessel found in building 8 of Bedeni layer



თრიალეთის კულტურის აბსოლუტური ქრონოლოგიის საკითხისათვის

(დამატებითი საბუთები “მაღალი ქრონოლოგიისათვის“)

თრიალეთის კულტურის ქრონოლოგია კავკასიის არქეოლოგიის ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს და მისი აბსოლუტური თარიღების დადგენა მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ თვით ამ კულტურის დროში ადგილის განსაზღვრად, არამედ მისი სინქრონული თუ წინამორბედი კულტურების ქრონოლოგიის დასადგენადაც. თრიალეთის კულტურის მომდევნო, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლთა ქრონოლოგია, შემუშავებული, თითქმის ნახევარი საუკუნის წინ, როსტომ აბრამიშვილის მიერ, დღესაც ძირითად საფუძველს წარმოადგენს ამ პერიოდის კავკასიის არქეოლოგიისათვის [1; 2]. ამ უკანასკნელს, გარკვეულ წილად, დაეფუძნა თრიალეთის კულტურის, ე. გოგაძისეული ქრონოლოგია [3]. კერძოდ, ბ. კუფტინის მიერ თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის უადრეს ჯგუფად მიჩნეული ყორღანები ე. გოგაძემ ყველაზე გვიანად სწორედ გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპის ძეგლებთან მსგავსების გამო მიიჩნია და, შესაბამისად, კუფტინისეულ I და III ქრონოლოგიურ ჯგუფებს ადგილები შეუნაცვლა, ხოლო ამ კულტურის ზედა ქრონოლოგიურ თარიღად (ძვ.წ. მე-15 ს-ის შუა ხანები) გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებისათვის განსაზღვრული ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი ჩათვალია [3, გვ. 69].

ვინაიდან თრიალეთის კულტურა მხოლოდ ყორღანული სამარხებითაა ცნობილი, ამასთან, არ არის შესწავლილი ნასახლარები და, შესაბამისად, არ არსებობს სტრატოგრაფიული მონაცემები, მისი ქრონოლოგია ყორღანებში აღმოჩენილი არტეფაქტების შიდა ტიპოლოგიასა და გარე პარალელებს ეფუძნება. ყორღანული სამარხები და მათში აღმოჩენილი არტეფაქტების (ძირითადად კერამიკა) ტიპოლოგიის საფუძველზე თრიალეთის კულტურის პირველმა მკვლევარმა, ბორის კუფტინმა, სამი ქრონოლოგიური ჯგუფი გამოყო, ისეთი არტეფაქტებით კი, რომლის პარალელები შედარებით კარგად დათარიღებულ წინა აზიისა და ეგეოსური სამყაროში მოიპოვება, ამ ჯგუფების აბსოლუტური

თარიღები დაადგინა. ბ. კუფტინმა უადრეს ქრონოლოგიურ ჯგუფად წითელ ფონზე შავად მოხატული კერამიკის შემცველი ყორღანები მიიჩნია, მისი თითქოსდა ელამურ მე-2 სტილთან (ძვ. წ. მე-3 ათასწლეულის დასაწყისი) მსგავსების გამო და იმ მიზეზით, რომ ასეთივე კერამიკის შემცველ XV ყორღანში აღმოჩნდა ბრინჯაოს მასრიანი შუბისპირი, რომლის ახლო პარალელები ეგეოსური სამყაროს მეორე ათასწლეულის შუა ხანების ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი, თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის ყველა ყორღანი მეორე ათასწლეულის შუა ხანების შედარებით ვიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩოში მოაქცია (ძვ. წ. მე-16-15 სს.) [8, გვ. 78-100]. ბ. კუფტინისაგან განსხვავებით ე. გოგაძემ წითელ ფონზე შავად მოხატული კერამიკის შემცველი ყორღანები ყველაზე მოგვიანო ჯგუფს განაკუთვნა და ამ ჯგუფის ყორღანებში აღმოჩენილი არტეფაქტების (ძირითადად იარაღი) გვიანბრინჯაოს მასალებთან ტიპოლოგიური სიახლოვის გამო ძვ. წ. 1600-1450 წწ-ით დაათარიღა [3, გვ. 66-69]. თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის ყორღანთა I ჯგუფის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარის დაახლოებით ძვ.წ. 2000 წლით განსაზღვრას, ე. გოგაძემ საფუძველად დაუდო ამ ჯგუფის მასალის ერთი ნაწილის მსგავსება ადრე-ბრინჯაოს ხანის მასალებთან (ძირითადად XIV ყორღანის საფუძველზე) [3, გვ. 44-47, 69, 95]. თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის II (შუა) ჯგუფის ძეგლებს, რომლებიც ყველაზე მრავალრიცხოვანია და ყველაზე განვითარებულ ეტაპს ასახავს, ავტორმა, ინტერპოლაციის გზით, შედარებით ხანგრძლივ შუალედში, ძვ.წ. 1800-1600 წლებს შორის მოათავსა [3, გვ. 69].

კ. რუბინსონმა გარკვეული კორექტივებით ძირითადად გაიზიარა გოგაძისეული ქრონოლოგია. მან II ჯგუფის ყორღანთა თარიღი დაადგინა ანატოლიური პარალელების საფუძველზე, ხოლო III ჯგუფის ძეგლების დასათარიღებლად ირანული მასალები მოიშველია. მისი თვალსაზრისითაც შუაბრინჯაოს ხანის I ფაზის დასა-

წყისი ადრებრინჯაოს ხანის კერამიკასთან მსგავსების გამო ძვ.წ. 2000 წლის ახლო ხანებით უნდა განისაზღვროს (ეს თარიღი მისაღები იქნება იმ შემთხვევაში, თუ ადრებრინჯაოს ხანის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი მართლაც III ათასწლეულის დასასრულით უნდა შემოიფარგლოს, მ. ა.). II ფაზის აბსოლუტური თარიღები (ძვ.წ. 1850-1700? წწ.), კ. რუბინსონმა ძირითადად დაამყარა თრიალეთის ვერცხლის თასისა და ასირიული კოლონიზაციის პერიოდის ანატოლიური საბუჯდავების გამოსახულებებითა იკონოგრაფიულ მსგავსებაზე, შუაბრინჯაოს ხანის III ფაზის (ძვ.წ. 1600?-1450 წწ) დათარიღების საფუძვლად კი ჩრდილო-დასავლეთ ირანის ნასახლარებიდან მომდინარე წითელ ფონზე შავად მოხატული კერამიკა მოიშველია [19, გვ. 243-247].

გ. ქავთარაძის აზრით, ვინაიდან თრიალეთის მდიდრული ყორღანები ემსგავსება წინააზიის ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებს, თუნდაც სტადიალური განვითარების თვალსაზრისით, ისინი III ათასწლეულის მეორე ნახევრით უნდა დათარიღდეს. ამ თარიღზე მეტყველებს თრიალეთის ყორღანების ადრეულ მასალებსა და წინააზიის III ათასწლეულის მასალებს შორის არსებული მრავალი პარალელი, [4, გვ. 102-104; 17, გვ. 86]. კ. კუშნარიოვსა და მ. რისინის მიერ თრიალეთის კულტურის "აყვავების ხანის" ყორღანები ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოთი და არაუგვიანეს ძვ.წ. მე-18-17 საუკუნეებით დათარიღდა [9, გვ. 109].

წინამდებარე სტატიის მიზანია იმის ილუსტრირება თუ რამდენად შეესაბამება დღეისათვის არსებულ ახალ მონაცემებს შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთის კულტურის ყორღანებისთვის ადრე განსაზღვრული აბსოლუტური ქრონოლოგია. რაც შეეხება ქრონოლოგიურ ჯგუფთა თანმიმდევრობას, სტატიაში გაზიარებულია ე. გოგაძის მიერ შემოთავაზებული პერიოდიზაცია და აქცენტი მხოლოდ აბსოლუტურ თარიღებზეა გადატანილი.

თრიალეთის კულტურის შუაბრინჯაოს ხანის II ჯგუფის ძეგლები ამ კულტურის შუა, ყველაზე განვითარებულ ეტაპს ასახავს და, შესაბამისად, მისი დროში განსაზღვრა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. თუ I ჯგუფის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი ადრებრინჯაოს ხანის დასასრულია, ხოლო III ჯგუფის ზედა ქრონოლო-

გიური ზღვარი გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებს ემიჯნება, II ჯგუფისთვის ამ სახის რაიმე კრიტერიუმი არ არსებობს და, შესაბამისად, მისი ქრონოლოგია მხოლოდ გარე პარალელთა საფუძველზეა შესაძლებელი. სხვა არტეფაქტთა შორის ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ბრინჯაოს საძგერებელი მახვილები, ე.წ. რაპირები, რომლებიც ძირითადად II ჯგუფის ყორღანთა კომპლექსებში გვხვდება (ამ ჯგუფის ბოლო ეტაპზე). ეგეოსურ-აღმოსავლეთსმელთაშუაზღვისპირული პარალელებით ეს იარაღი ყველაზე მყარ საფუძველს გვაძლევს ამ პერიოდის ძეგლთა აბსოლუტური ქრონოლოგიის დასადგენად.

რაპირა, რომელიც ძველი სამყაროს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოგონებადაა მიჩნეული [20, გვ. 17], ამავე დროს, ამიერკავკასიასა და ეგეოსურ სამყაროს შორის ურთიერთობის ყველაზე თვალნათლივი ნივთმტკიცებაა მთელი წინაისტორიული ხანის განმავლობაში. ეს იარაღი მკვეთრად განსხვავდება მისი წინამორბედი სატევარ-მახვილებისგან, როგორც დიდი ზომით და მაღალი ქედით, ასევე ფუნქციური თვალსაზრისითაც. მას ქონდა საძგერებელი იარაღის დანიშნულება, რაც განსხვავებული და რთული საბრძოლო ტექნიკის ცოდნასთან იყო დაკავშირებული.

ეს გარემოება და ის ფაქტიც, რომ რაპირები თითქმის თანადროულად ჩნდება როგორც ამიერკავკასიაში, ასევე ეგეოსურ სამყაროში, უნდა გამორიცხავდეს იარაღის ამ სახეობის ურთიერთდამოუკიდებლად წარმოშობის შესაძლებლობას. ამაზევე მეტყველებს ისიც, რომ რაპირებთან ერთად ამ ორ რეგიონს შორის ურთიერთობა სხვა მასალითაც დასტურდება [13, გვ. 190-191; 12, გვ. 114-122; 13, გვ. 3]. საკვლევ პრობლემას წარმოადგენს ის თუ აღნიშნული იარაღი ამიერკავკასიასა და ეგეოსურ სამყაროს შორის რა სახის ურთიერთობას ასახავს. არსებობს სამი ურთიერთგამომრიცხავი შესაძლებლობა: 1. ამიერკავკასიური რაპირები წარმოადგენს ეგეოსურ იმპორტს; 2. ამიერკავკასიური რაპირები დამზადებულია ადგილობრივად, ეგეოსური რაპირების გავლენით; 3. ამიერკავკასიური და ეგეოსური რაპირები ერთი საერთო პროტოტიპიდან არის წარმოშობილი.

თავდაპირველად, მკვლევართა ერთ ნაწილს ამიერკავკასიაში აღმოჩენილი ბრინჯაოს საძგერებელი მახვილები ეგეოსურ

იმპორტად მიიჩნდა, რის გამოც ამ რაპორებისათვის ერთი და იგივე აბსოლუტური თარიღი იქნა მიღებული (ზოგადად ძვ.წ. მე-16-15 საუკუნეები). მას შემდეგ რაც კახეთში, სადუდას ყორღანში აღმოჩნდა რაპირის მსგავსი მახვილი, მოსაზრებას ამიერკავკასიური რაპირების ეგეოსიდან იმპორტირების შესახებ საფუძველი გამოეცადა. ე. გოგაძემ სადუდას მახვილი სამართლიანად ამიერკავკასიური რაპირების პროტოტიპად მიიჩნია, ვინაიდან იგი, ერთი მხრივ, ტიპოლოგიურად ემსგავსება ამიერკავკასიურ რაპირებს, ხოლო, მეორე მხრივ, წინ უსწრებს მათ ქრონოლოგიურად. ამ ფაქტის დამამტკიცებელია სადუდას ყორღანის მასალის მსგავსება თრიალეთის კულტურის შუაბრინჯაოს ხანის უადრეს, პირველი ჯგუფის მასალებთან [6, გვ. 233, 234].

ამიერკავკასიის რაპირების ადგილობრიობა დასტურდება მათი ტიპოლოგიური ერთგვაროვნებითაც. ამიერკავკასიაში დღემდე აღმოჩენილი ყველა რაპირა ერთმანეთის მსგავსია და, ამავე დროს, განსხვავდება ეგეოსურებისაგან [11, გვ. 8, ტაბ. 2]. კერძოდ, ყუნწზე ტარის დასამაგრებლად, მათ აქვთ ერთი სამანჭველე ნახვრეტი, ან საერთოდ არა აქვთ (ასეთია მრავალწელის №12 ყორღანის რაპირა [10, ტაბ. XIV-1), მაშინ როცა თვით უადრეს A ტიპის ეგეოსურ რაპირებს რთული სამანჭველე სისტემა გააჩნიათ - ერთი ან მეტი სამანჭველე ნახვრეტი ყუნწზე და ორი მხრებზე [20, ტაბ. 17-1,2]. ამგვარი სამანჭველე სისტემა ამიერკავკასიაში თრიალეთის კულტურის მესამე ფაზაში ჩნდება [3, ტაბ. 22].

მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიური რაპირები ნამდვილად ადგილობრივ ნაწარმს წარმოადგენს, მაინც მიმაჩნია, რომ მათი განხილვა ეგეოსურებისაგან განყენებულად არ იქნებოდა მართებული. ძნელი წარმოსადგენია, რომ, საბრძოლო ტექნიკის თვალსაზრისით, ასეთი რთული იარაღი, რომელიც განსაკუთრებულ საბრძოლო სწავლებას მოითხოვდა, დამოუკიდებლად შექმნილიყო ძველი სამყაროს ორ სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონში.

მკვლევართა უმეტესობა იზიარებს, რომ კრეტული A ტიპის რაპირები სულ ცოტა 50 წლით წინ უსწრებს მიკენის შახტურ სამარხებში აღმოჩენილ რაპირებს, რომელთა ქვედა ქრონოლოგიური თარიღი, ძვ.წ. 1650 ან 1600 წლებს შორის თავსდება [15, გვ. 155-164; 21, გვ. 18].

ჯერ კიდევ 1961 წელს ინგლისელმა არქეოლოგმა ნ. სანდარსმა წამოაყენა მოსაზრება ეგეოსური რაპირების აღმოსავლური წარმომავლობის შესახებ [20, გვ. 20-21]. მისი აზრით, უადრესი A ტიპის რაპირის მსგავს იარაღს წარმოადგენს ბიბლოსში აღმოჩენილი მახვილი [20, ტაბ. 16-6], რომელიც შედარებით კარგად თარიღდება ეგვიპტური იმპორტის საფუძველზე - დუნანდის თანახმად ფარაონ ამენემხეტ III-ის მეფობის ხანით [14, გვ. 148], შეფერის მიხედვით სენურსეტ III-ის მეფობის ხანით [22, გვ. 60, 61], ანუ ძვ.წ. 1800 ან 1850 წლებს შორის პერიოდით. შესაბამისად, ბიბლოსისა და კრეტის A ტიპის მახვილებს შორის 150-ზე მეტი წლის შუალედი იქმნება, რაც ამ მახვილებს შორის ტიპოლოგიური სიახლოვის გამო ნაკლებად სავარაუდოა. თერას ვულკანური ამოფრქვევის უახლესმა რადიოკარბონულმა თარიღებმა დამატებითი არგუმენტაცია შესძინა "მაღალი ქრონოლოგიის" უპირატესობას და ქრონოლოგიური დაკუნა მინიმუმამდე შეამცირა.

ბრინჯაოს ხანის ეგეოსური ქრონოლოგია, ეგვიპტური პარალელების გამოყენებით, ფაქტობრივად აგებული იყო სწორედ თერას ამოფრქვევის თარიღის საფუძველზე, რომელიც ჯერ კიდევ 1939 წელს პროფესორმა მარინატოსმა შესთავაზა სამეცნიერო საზოგადოებას და ეს თარიღი ძვ.წ. 1500 წლით განსაზღვრა [18, გვ. 425-439]. სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში თერას 16 ნიმუშის რადიოკარბონულმა ანალიზმა დაახლოებით იგივე თარიღი, ძვ.წ. 1500 წელი დაადასტურა, თუმცა კი ეს არ იყო კალიბრირებული თარიღი. მისი კალიბრირებული (შესწორებული) თარიღი განისაზღვრა ძვ.წ. 1625 წლით, ერთი ან ორი წლის ცდომილებით დაძველები-სკენ [17, გვ. 14]. მოგვიანებით ეს თარიღი სხვა სახის გამოკვლევებმაც განამტკიცა.

ლაშარშის გამოკვლევებმა, რომელიც მან ჩაატარა მაღალმთიან ფიჭვებზე მსოფლიოს სხვადასხვა ადგილიდან, გამოავლინა მერქნის გაყინული წრეები, რომლებიც ძვ.წ. 1627 წელს ემთხვეოდა. ეს კორელაციაში უნდა ყოფილიყო ძლიერ ვულკანურ ამოფრქვევასთან, ვინაიდან ვულკანურ მტვერს უნდა შეემცირებინა დედამიწაზე მზის სხივების რადიაციის შესწევადობა და, შესაბამისად, დაეცემოდა ტემპერატურა, რასაც უნდა მოჰყოლოდა ყინვისაგან ხეების დაზიანება. ვარაუდობენ, რომ ევლკანური ამოფრქვევა უნდა მომხდარი-

ყო ერთი წლით ადრე, ანუ ძვ.წ. 1628 წელს. დოქტორ ბეილის დაკვირვებამ ჩრდილოეთ ირლანდიის 22 მრავალწლიან მუხაზე, რომელთა საერთო აბსოლუტური თარიღი 7272 წელს მოიცავს, გამოავლინა, რომ ყველაზე ვიწრო წრეები, მთელი ამ პერიოდის მანძილზე, ემთხვევა ძვ.წ. 1628-1626 წლებს, რაც მხოლოდ ისეთი დიდი კატასტროფის შედეგი შეიძლება იყოს, როგორც თერას ამოფრქვევა იყო [17, გვ. 15].

და ბოლოს, კიდევ ერთი საინტერესო დამთხვევის შესახებ. ქ. პანგის აზრით, ძვ.წ. 1628 წლით თერას ამოფრქვევის დათარიღება ეხმაურება ჩინეთის შანგის დინასტიის 1618 წლის ბამბუს ანალების ტექსტს, სადაც ნათქვამია: “განჩდა ყვითელი ნისლი, ბუნდოვანი მზე, შემდეგ სამი მზე, ყინვა ივლისის თვეში, საყოველთაო შიმშილი და მარცვლეულის ყველა ხუთი მოსავალის განადგურება”. ბამბუს ანალების თარიღი მკვლევარებს საეჭვოდ მიანიშნავს და 1618 წლის ნაცვლად ამ ტექსტის თარიღად 1628 წელს ვარაუდობენ, მასში აღწერილი მოვლენის დაკავშირებას თერას ამოფრქვევასთან კი სავსებით დასაშვებად თვლიან, ვინაიდან ისეთ დიდ კატასტროფას როგორც ეს ვულკანური ამოფრქვევა იყო უთუოდ გლობალური და არა მხოლოდ ლოკალური კატაკლიზმები უნდა გამოეწვია. და მართლაც, თერას ფერფლი აღმოჩენილია ვულკანური ამოფრქვევიდან ტერიტორიულად ისეთ დაშორებულ ადგილებში როგორცაა თურქეთი, სირია და ეგვიპტე [17, გვ. 17].

თერას ამოფრქვევის ახალი თარიღი ბუნებრივია აძველებს იმ ეგეოსურ ძეგლებსაც, რომლებიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებდნენ ამ კატასტროფას. შესაბამისად, უნდა გადათარიღდეს კრეტის A ტიპის რაპირაც, რომელიც, თერას ამოფრქვევის ახალი თარიღის შესაბამისად, უნდა დაძველდეს დაახლოებით საუკუნუნახევრით, რაც ძვ.წ. 18-ე საუკუნის პირველ ნახევარს შეესაბამება. ამდენად, კრეტის რაპირა ქრონოლოგიურად უახლოვდება ბიბლოსურ პროტოტიპს, რომლის თარიღი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ძვ.წ. 19-ე საუკუნის მეორე ნახევარია.

ვინაიდან ამიერკავკასიური რაპირა, სამანჭველ სისტემის სიმარტივის გამო, უფრო არქაულ იარაღს წარმოადგენს ვიდრე ეგეოსური, ან მისი წინამორბედი ბიბლოსური, მისი, და შესაბამისად, თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის II ფაზის ზე-

და ქრონოლოგიური ზღვარი სწორედ ბიბლოსის მახვილის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარს უნდა შეესაბამებოდეს (დაახლოებით ძვ.წ. 19-ე საუკუნის შუა ხანები). ეს თარიღი შეესატყვისება ასირიული კოლონიზაციის სავაჭრო ქალაქის ქიულთეფეს II ფენას, რომელიც დაახლოებით ძვ.წ. 1950-1870 წლებით განისაზღვრება. ქიულთეფეს II ფენის ცილინდრულ საბეჭდავთა გამოსახულებები, როგორც ითქვა, კ. რუბინსონის აზრით, ემსგავსება თრიალეთის ვერცხლის თასის ფიგურებს. თავის მხრივ, თრიალეთის თასი თრიალეთის კულტურის შუაბრინჯაოს ხანის II ფაზას განეკუთვნება [19, გვ. 243]. ჩემს მიერ შემოთავაზებულ აბსოლუტურ თარიღებს ამგვრებს ასევე ირგანჩაის 4 ყორდანის კალიბრირებული რადიოკარბონული თარიღი - ძვ.წ. 1960±63. ამ ყორდანში აღმოჩნდა ისეთივე ჭურჭელი გველის რელიეფური გამოსახულებით [7, გვ. 51-59], რომელიც რაპირის შემცველ მრავალწელის მე-12 ყორდანში დასტურდება [10, ტაბ. XLIV].

რაც შეეხება თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის I და II ფაზების ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარს, დღევანდელი მონაცემები არ იძლევა მისი ზუსტად განსაზღვრის საშუალებას. შეიძლება ითქვას მხოლოდ, რომ იგი არ შეიძლება წინ უსწრებდეს ცენტრალური ანატოლიის ალაჯა პეიუკის სამეფო სამარხებს, ანუ III ათასწლეულის შუა ხანებს, რადგან ამ სამარხთა შემცველი უადრესი ბრინჯაოს გრძელი მახვილები რაპირების პროტოტიპებს წარმოადგენს [11, გვ. 57; 13, გვ. 1-8]. თრიალეთის კულტურისა და ალაჯა პეიუკის სამეფო სამარხებს შორის კავშირი დასტურდება, როგორც არქეოლოგიური მასალით, ისე დაკრძალვის რიტუალის იდენტურობითაც.

M. Abramishvili

## ON THE PROBLEMS OF THE CRONOLOGY OF TRIALETI CULTURE (Additional Evidences for the “High Cronology”)

(Summary)

On the bases of new evidence on Tera eruption date (c. 1628 BC) and the typology of bronze rapiers both from Transcaucasia and Eastern Mediterranean, the upper chronological verge of the most reach kurgans of Trialeti culture (II phase) can be undated as early as mid. 19<sup>th</sup> century BC.

## ლიტერატურა

1. აბრამიშვილი რ. სამთავროს სამართლებრივ აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის, სსმმ XIX-A და XXI-B, 1957, გვ. 116-135.
2. აბრამიშვილი რ. რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ. წ. XIV-VI სს), სსმმ, XXII-B, 1961, გვ. 291-381.
3. გოგაძე ე. თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, თბ., 1978.
4. ქავთარაძე გ. საქართველოს ენოლთ-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე, თბ., 1981.
5. Абрамишвили М. Р. Этнокультурные связи Закавказья с Малой Азией и Эгейским миром в середине второго тысячелетия до н.э. Душетская научная конференция, Тб., 1984, გვ. 119-122.
6. Гогодзе Э. М. Курганные погребения Лило, ВГМГ, XXXII-B, 1976, გვ. 223-238.
7. Кахнани К. К. и др. Археологические исследования Машаверского ущелья в 1984-86 гг. ПАИ, 1991, გვ. 51-59
8. Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, I, Тб., 1941.
9. Кушнарева К. Х. Рысин М. Б. Новые данные к проблеме датировки памятников «цветущей поры» Триалетской культуры, კავკასია, ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები, თბ., 2001.
10. Пицхელაური К. Н. Археологические исследования в Кахети, ПАИ в 1984-1985, 1987, გვ. 36-38.
11. Abramishvili M. Early Metallurgy in Georgia, in *National Treasures of Georgia*, edited by Ori Z. Soltes, Washington DC, 1999, pp. 56-57.
12. Abramishvili M. Transcaucasian Rapiers and the Problem of their Origin, in *LUX ORIENYIS, Archäologie zwischen Asien und Europa, Festschrift für Harald Hauptmann*, Rahden/Westf., 2001, pp. 1-8.
13. Abramischwili R. und M. Archaologische Denkmäler in Stadtgebiet von Tbilissi, in *Unterwegs zum Goldenen Vlies - Archäologische Funde aus Georgien*, Herausgegeben von Andrei Miron und Winfried Orthmann, Saarbrücken, 1995, S. 187-196.
14. Dunand M. Byblos, Atlas I, 1937.
15. Hutchinson R. W. Minoan Chronology Reviewed, *Antiquity* III, 1954, pp. 155-164.
16. Kavtaradze G. L. The Importance of Metallurgical data for the formation of a central Transcaucasian Chronology, *Der Anschnitt, Beiheft* 9, 1999, pp. 67-101.
17. Kuniholm P. I. Overview of the Evidence for the Date of the Eruption, in *Thera and the Aegean World*, vol. III, Chronology, Proceedings of the Third International Congress, editors D. A. Hardy and A. C. Renfrew, pp. 13-18.
18. Marinatos S. The Volcanic Destruction of Minoan Crete, *Antiquity* 13, 1939, pp. 425-439.
19. Rubinson K. The Chronology of the Middle Bronze Age Kurgans at Trialeti, *Bibliotheca Mesopotamica* VII, 1977, pp. 235-240.
20. Sandars N. K. The First Aegean Swords and Their Ancestry, *AJA*, vol. 65, No.1, 1961, pp. 17-29.
21. Schaeffer K. F. A. Stratigraphie Comparée et Chronologie de l'Asie Occidentale, London, 1948.
22. Schaeffer C. Ugaritica I, 1939.

შუა ბრინჯაოს ხანის კულტურათა განვითარების სურათი სამხრეთ კავკასიაში

კავკასიის გეოგრაფიული გზაჯვარედინის რაიონში ჩამოყალიბებულმა კულტურებმა მშვენივრად ასახეს კავშირურთიერთობები-სა და ზეგავლენათა თვალსაჩინო კვალი, რამაც გარემომცველ ცივილიზაციებთან შეხების შედეგად, პრეისტორიულ სინამდვილეში, სხვადასხვა კულტურული არეულის არსებობა განაპირობა. ამიტომაც სრულიად არ არის გასაკვირი, რომ სამხრეთ კავკასია, ეს შედარებით მცირე გეოგრაფიული სივრცე, თავის საზღვრებში არა ერთ განსხვავებულ კულტურულ ტრადიციას ითავსებდა. უფრო კონკრეტულად კი, მახლობელ აღმოსავლეთში ძველი ხეთების, მიკენელების, ასურელების და ხურიტების თანადროულად სამხრეთ კავკასიაში არსებობდა ოთხი ერთმანეთისაგან განსხვავებული კულტურა: ყველაზე შთამბეჭდავი და მძლავრი - თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურა, ასევე კარმირ-ბერდის, სევან-უხერღიკისა და ყიზილ-ვანქის.<sup>1</sup>

საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება მივაქციოთ შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიის კულტურათა ამჟამად ხმარებაში არსებული დიფერენცირების მართებულობას და მისი ადტერნატიული თვალსაზრისის სისწორის საკითხს. ამ პრობლემასთან დაკავშირებით გაურკვეველი და დასაზუსტებელი ბევრია, რადგან აუცილებელი ხდება ახალი პოზიციის მისადაგება და "მორგება" თეორიულ არქეოლოგიაში შემუშავებულ კრიტერიუმთან. ამ საკითხთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობა დიდად არ განსხვავდება 80-იანი წლების ბოლოს არსებულისაგან, როცა სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად გამოჩნდა ახალი პოზიცია შუა ბრინჯაოს ხანის განვითარებული ეტაპის კულტურათა განსხვავებული კუთხით დანახვასთან დაკავშირებით. მაშინ ამ თვალსაზრისს არავინ გამოხმაურებია.

ამ ეპოქის სამხრეთ კავკასიაში არსებული თრიალეთის, სევან-უხერღიკის და კარმირ-ბერდის კულტურები წარმოადგე-

ნენ სრულიად დამოუკიდებელ კულტურულ წარმონაქმნებს, რომლებიც ერთმანეთისაგან მკვეთრად დიფერენცირდება არა მხოლოდ მატერიალური ნაწარმის მხრივ, არამედ მათი შემქმნელი საზოგადოების ყოფის უმეტესი ელემენტების და ტრადიციის საფუძვლის თვალსაზრისითაც. ამდენად ვფიქრობთ, რომ მათი ერთ სოციო-კულტურულ ერთობად გააზრება [15, გვ. 70-71] არაზუსტი და აშკარად ხელოწმურია. ამ კულტურათა ახლებური ინტერპრეტირება არც თეორიულ მონაცემთა ბაზას და არც თითოეული მათგანის თავისებურებისა და ნიშნების კორელაციას არ ემყარება. საერთოდ, როცა გვინდა ზოგადად ამა თუ იმ კულტურის დიფერენცირება თუ უკვე არსებულთა ინტეგრაცია, მაშინ არქეოლოგიური არტეფაქტების გაანალიზებასთან ერთად უპირველესად უნდა ჩავხედოთ ერთ-ერთ ძირითად თეორიულ საკითხს - "არქეოლოგიური კულტურის" ცნებას, მისი გამოყოფის კრიტერიუმებს და ასევე შემდგომი სისტემატიზაციისათვის ყველაზე მოხერხებულ და ჩვენი არქეოლოგიისათვის ტრადიციულ სამნაწილიან სისტემას: კულტურული ერთობა - კულტურა - ლოკალური ვარიანტი. ცნობილია, რომ არქეოლოგიური მასალების ინტერპრეტირებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს არქეოლოგიური სისტემატიკის, ძეგლებისა და კოლექციების მტკიცე ბლოკებში, როგორც ამოსავალ ერთეულში, ორგანიზაციის საკითხებს და შემდგომ ანალიზს [10, გვ. 6]. ზემოაღნიშნული სამნაწილიანი სისტემის ერთ-ერთ ბლოკად კულტურის თუ კულტურების განსაზღვრამდე, აუცილებლად უნდა იქნეს დამუშავებული მათი რაოდენობრივი მონაცემები. დღეისათვის შემუშავებული რაოდენობრივი ნორმატივები მითითებული ჯგუფებისათვის გვინვენებს, რომ კულტურაში ტიპების თანხვედრისა და ერთგვარობის სულ მცირე 30-20% მაინცაა საჭირო კულტურული ერთობის დადასტურებისათვის. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მეზობელ ჯგუფებთან სხვაობის სიძლიერეს და ტოპოლოგიური განცალკევებულობის ხარისხს ანუ ფონს (ვ. მასონი). იმის გასარკვევად იყო თუ არა მართლაც რეალურად სამხრეთ კავკასიაში ის ისტორიული ვითარება, რომელსაც

<sup>1</sup> რაც შეეხება ადრეული ყორღანების კულტურას, იგი ყურადღების მიღმა რჩება შუა ბრინჯაოს ხანის დასაწყისი ეტაპისადმი კუთვნილების გამო. ნაშრომში აქცენტი კეთდება მხოლოდ შუა ბრინჯაოს განვითარებული ეტაპის კულტურათა ერთ სოციო-კულტურულ ერთობად გააზრების მართებულობასთან დაკავშირებით.



შეიძლება სოციო-კულტურული ერთობის ან "ბლოკის" კვალიფიკაცია მიეცეს, საჭიროა ამ კულტურათა ნაწარმის ყველა ტიპის თანხვედრისა და მსგავსების პროცენტული მონაცემების შეფასება. უნდა გაირკვეს რამდენად ესადაგება განსახილველი კულტურები ამ ცნებებრივი კატეგორიებისათვის უკვე შემუშავებულ ნორმატივებს და მოექმნება თუ არა მას სათანადო თეორიული საფუძველი. როდესაც ა. სიმონიანმა გამოყო სოციო-კულტურული ერთობა, რომელშიც გააერთიანა შუა ბრინჯაოს ეპოქის 4 დასახელებული კულტურის<sup>2</sup> კომპლექსები [15, გვ. 70; 16, გვ. 207-208] მოსალოდნელი იყო, რომ იგი ამის სათანადო არგუმენტირებას შეეცდებოდა, ამ კულტურებისთვის დამახასიათებელ სპეციფიკური ნიშნებისა თუ ნიშანთა "ბლოკების" კორელირების საფუძველზე. აცვლად ამისა, მის ორ პუბლიკაციაში წარმოდგენილი გვაქვს ახალი თვალსაზრისი მოცემული მხოლოდ დასკვნის სახით. მისი პოზიცია ემყარება კარმირ-ბერდის კულტურის მხოლოდ ერთი კომპლექსის, ვერინ-ნავერის №12 ყორდანის მონაცემებს, სადაც ფიქსირებულია კარმირ-ბერდის, სევან-უხერლიკისა და მხოლოდ ორი, ისიც არც თუ მთლად სახასიათო სახის, თრიალეთური კულტურის კერამიკული ნიმუშები. ამგვარი თანაარსებობის შემთხვევა, ისიც ერთი, არ არის სათანადო არგუმენტი ყველა ამ კულტურის ინტეგრაციისა ერთ სოციო-კულტურულ "ბლოკში". სრულიად შესაძლებელია, რომ დროის რაღაც კონკრეტულ მონაკვეთში მათი თანაარსებობისა, ამ კულტურათა არეალის გადაკვეთის ზონაში, ერთ კომპლექსში მოცემული გვქონდეს ამგვარი თავმოყრა და ეს შესაძლებელია აიხსნას სწორედ აღნიშნულ კულტურათა ურთიერთკვეთის ზოლის არსებობით და არა მათი ერთ კულტურულ ერთობაში ინტეგრაციით. ჩვენი აზრით, შემოწამოთვლილი არქეოლოგიური კულტურები წარმოადგენს ერთმანეთის გვერდიგვერდ, მეტ-ნაკლებად ერთ ქრონოლოგიურ მონაკვეთში (ძვ.წ. XX-XV სს) ფუნქციონირებულ დამოუკიდებელ

<sup>2</sup> ეიზიდ-ვანქის კულტურა იმდენად ზედაპირულად არის გამოვლენილიც და შესწავლილიც, რომ მისი გაფანტულობისა და ფრაგმენტულობის გამო რაიმე გარკვეული პოზიციისა და დასკვნის გაკეთება ძალიან გვიჭირს. ამიტომ ვიძლევი მხოლოდ სამი დანარჩენი კულტურის შედარებით ანალიზს.

კულტურებს, რომელთა დასახასიათებლად, უწინარეს ყოვლისა კი ამ პოზიციის საილუსტრაციოდ, სრულიად მკაფიოდ უნდა განისაზღვროს თითოეული მათგანის სპეციფიკური ნიშნებისა და განმსაზღვრელი ფაქტორების კომპლექტი, მათი პროცენტული რაოდენობა, ასევე ამ კულტურათა საერთო მახასიათებელი ნიშნების ხასიათი (არსებობა), პროცენტული მანვერებელი (ანუ არის თუ არა კულტურული ერთობისათვის აუცილებელი 20%-იანი ზღვარი) და მათი შეფარდება პირველ მათგანთან. მეორე რიგის ამოცანად უიჩნება ყველა მოცემული კულტურის ნიშან-თავისებურებათა "ბლოკების" შედარებითი ანალიზი, რათა თვალნათლივ გამოიკვეთოს მათ შორის არსებულ არსებით და მეორეხარისხოვან სხვაობა-ერთგვარობათა რიგი. ეს უკანასკნელი საერთოდ არ გამხდარა მკვლევართა ყურადღების საგანი, არადა მხოლოდ ამგვარი სამუშაოს ჩატარების შემდეგ მოგვეცემა შესაძლებლობა დამაჯერებლად ვიმსჯელოთ მათი ერთ სოციო-კულტურულ ბლოკად არსებობა-არარსებობის შესახებ. შევეცდებით წარმოვადგინოთ თითოეული ამ კულტურის განმსაზღვრელ ნიშანთა კომპლექტი, რამაც მკაფიო სურათი უნდა მოგვცეს მათი შედარებითი ანალიზისათვის.

თრიალეთის კულტურის ასეთ უპირველეს განმსაზღვრელ ნიშანს წარმოადგენს თავისებური და ხაზგასმულად პრესტიჟული დაკრძალვის რიტუალი. ეს არის მიცვალებულის კრემაცია, დასაკრძალავი ეტლი და სარეცელი, ყორდანქვეშა, მშრალი ქვის წყობით ნაგები დასაკრძალავი დარბაზები, და ასევე, რიგ შემთხვევაში, ყორდანქვეშ გამართული ხის რთული კონსტრუქციის ნაგებობა, თვით ყორდანული ყრილის განსაკუთრებული სიმძლავრე, რაც არ ახასიათებს არც კარმირ-ბერდის და არც სევან-უხერლიკის ამ ტიპის ძეგლებს, რომელთა ყორდანული ყრილი გაცილებით მოკრძალებული მასშტაბისაა. თრიალეთური კულტურა უწინარესად ხასიათდება გამორჩეულად მდიდრული და დახვეწილი ნიმუშების სიუხვით, რამაც მას ძველ სამყაროში "ბრწყინვალე ყორდანების" სახელი დაუმკვიდრა. ესაა ტორევეტიკის მაღალმხატვრული და "უცხო" სტილის ნიმუშთა მასობრივი გამოჩენა სამხრეთ კავკასიის მხოლოდ ამ კულტურის ძეგლებში. ოქროსა და ვერცხლის ეს პრესტიჟული ნივთები [8, ტაბ. 87,88, 91, 93-103 და სხვ.] ძირითადად წარმოდგენილია ერ-

თეული ეგზეგეტიკით და აშკარად არ არის განკუთვნილი მასობრივი წარმოებისათვის. მათზე ცხადად იგრძნობა წინააზიური კულტურული ტრადიციების ძლიერი ზეგავლენა. საერთოდ თრიალეთური კულტურა, სამხრეთ კავკასიის კულტურათა შორის ყველაზე თვალსაჩინოდ ასახავს ძველადმოსავლურ სამყაროსთან არსებულ კავშირურთიერთობებს. გარდა ამისა, მას ახასიათებს მხოლოდ ამ კულტურისათვის სპეციფიკური, უადრესად დახვეწილი და სახასიათო ორნამენტაციის მქონე ორგვარი - შავპრიალა და მოხატული კერამიკა, რომელთა მრავალფეროვნება კერამიკული წარმოების უადრესად რთულ მოზაიკურ სურათს ქმნის. არც ერთი სხვა კულტურის კერამიკულ პროდუქციაში ეს სახეები [8, ტაბ. 73, 74, 76, 78, 80-82, 84, 86 და სხვ.] და ეს მრავალფეროვნება არ მეორდება. თრიალეთური კულტურის ელიტარული ყორღანებისათვის ასევე სპეციფიკურია ბრინჯაოსა და ვერცხლის საპრადო იარაღი და მათი საგრძნობი სიმცირე სხვა ტიპის ნიმუშებთან შედარებით. საზოგადოების რიგით წევრთა მომცრო ზომის ყორღანები ხასიათდება ინჰუმაციით და მოკრძალებული ინვენტარის არსებობით, სადაც მეტი რაოდენობითაა ლითონის საბრძოლო ინვენტარი. არც ერთი ზემონათვლილი არქეოლოგიური არტეფაქტი და სოციალური სტრატეფიკაციის ასეთი სიმკვეთრე შუა ბრინჯაოს ხანის სხვა კულტურებს არ ახასიათებს.

რაც შეეხება სევან-უხერლიკის კულტურას, იგი ყველაზე უკეთ ცნობილია სწორედ ნამოსახლარი ძეგლების მიხედვით. მილის სტეპში, უხერლიკ-თეფეს ნამოსახლარზე 2 საუკუნის მანძილზე წარმოქმნილ სამმეტრიან ფენაში [5, გვ. 90] წარმოდგენილია უხეშად ნაძერწი სამზარეულო და მარაგის შესანახი ჭურჭელი, რომელიც ფუნქციურად ცალკე, სამზარეულო კერამიკად იქნა დიფერენცირებული. მის გვერდით ბორცვის ზედა სტრატეფიკულ ფენებში წარმოდგენილია საპრადო შავპრიალა და ასევე მეორე სტილის - წითელზე შავად მოხატული კერამიკა. ამ კულტურის ძეგლებზე გვაქვს კაჟისა და ქვის სასოფლო-სამეურნეო მასალების მთელი კომპლექტი: ნამგლები, ნამგლის ჩასართები, მარცვლის საფქვავეები, სანაყები, მარცვლის საცავი ორმოები; ასევე ფლორისა და ფაუნის ნაშთები: ყურძნის წიპწები, დამწვარი მარცვლეულის ნაშთი, მოშინაურებულ ცხოველთა ძვლები, რაც

აშკარად მეტყველებს ამ საზოგადოების სამიწადმოქმედო-მესაქონლურ ხასიათზე. ეს ტომები კარგად უნდა ყოფილიყვნენ დაუფლებელი ქვის დამუშავებას, ლითონ-დამუშავებასა და საფეიქრო საქმეს, რისი დამადასტურებელიცაა ფენებში მრავლად ფიქსირებული თბსიდიანის იარაღის ნატეხები, ბოლომდე გაუხვრეტელი ცულები, კვერთხისთავი, საფეიქრო დაზგის დეტალი, ლითონის ნატეხები, იარაღის პირები, ნემსები, ყუამილიანი ცულები, მასრიანი სატევარი, სატევრისპირები, სამაჯურები, საკინძები, საღესი ქვეები და სხვა [5, გვ. 89-104]. თვით საცხოვრებლები კი ნაგებია საკმაოდ პრიმიტიული სამშენებლო წესით: ბოძებზე დაყრდნობილი გადახურვა და თიხით შელესილი ღერწმისა და წკნელისაგან ნაგები კედლები. ეს ყველაფერი, სამშენებლო ფენების სხვა მონაცემებთან ერთად, უტყუარად მიუთითებს, რომ ამ ტომებს უნდა ჰქონოდათ ჩაკეტილი ნატურალური მეურნეობა, რომელიც თვით უზრუნველყოფდა ყველა ძირითად მოთხოვნილებებს [7, გვ. 22].

რაც შეეხება კიდევ ერთ, მნიშვნელოვან კარმირ-ბერდის კულტურას, მას მკაცრად დიფერენცირებულ ნიშან-თვისებათა შემდეგი კომპლექტი ახასიათებს: საშუალო და პატარა ზომის ყორღანული ყრილის ქვეშ ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები ხშირად გვაქვს კრომლეხებთან ერთად. ასევე სრულიად განსაზღვრული კერამიკული სტილი, აბსოლუტურად განსხვავებული წინა ორი კულტურის მასალებისაგან და ძირითადად წარმოდგენილი სარტყელების, ზიგზაგის, წვეროთი ზემოთმიმართული დაშტრიხული სამკუთხედების, მეანდრის, შუაზე გაყოფილი რომბების, ვოლუტების და სხვა სახეებით [6, სურ. 50-53, 55, 56]. წითელზე შავით მოხატული კერამიკა კი იძლევა დანარჩენი კულტურებისაგან სრულიად განსხვავებულ ფრიზულ სახეებს [16, სურ. 2, 4]. მათი ფორმაც მკვეთრ სხვაობას ამჟღავნებს: თრიალეთური კულტურის ვერტიკალურ ღერძზე განხიდულ "ჰიდრიებთან" შედარებით კარმირ-ბერდში წარმოდგენილი გვაქვს გაბერილმუცლიანი ქოთნები დაბალი ყელით და ღრმა, მრგვალტანიანი ჯამები ანუ სხვა სტილი, ვიდრე ეს სამხრეთ კავკასიის დანარჩენ კულტურებს ახასიათებს. თრიალეთურ ყორღანებთან შედარებით ამ კულტურის ძეგლები ბევრად უფრო მოკრძალებული ხასიათისაა და მათ ხასგასმით არ ახასიათებს პრესტიჟული და ძვირფასი ნივთების ანსამბლი.

ახლა ვნახოთ, რა დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს ამ სამი კულტურის მასალებით რეკონსტრუირებული სურათი და ყველა შემოადინიშნულ მახასიათებელთა კორელირება. თითქმის არც ერთი ნიშანი, რომელიც მიჩნეულია თრიალეთური კულტურის სპეციფიკად დამახასიათებელი არ გახლავთ არც სევან-უზერლიკისა და არც კარმირ-ბერდის კულტურებისათვის. მითითებულ ნიშან-კატეგორიათა მოვლი კომპლექტიდან, რომელიც ამ კულტურისთვისაა ნიშანდობლივი შეიძლება გამოიყოს მხოლოდ ორი, რომელიც თითქოს საერთოა მათთვის. პირველი ესაა ყორღანული ყრილის არსებობა, მეორე კი - მოხატული კერამიკა. პირველი ამ ნიშანთაგანი, რომელიც მნიშვნელოვანი თავისებურებაა მოვლი შუა ბრინჯაოს ხანისათვის გარკვეულად სახესხვაობრივია დასახლებულ კულტურაში. თრიალეთის ელიტარულ ძეგლებზე გვაქვს გრანდიოზული ყრილები, რომელთაც ხშირად ქვის წრე აქვთ შემოვლებული, ხოლო კარმირ-ბერდის ყველაზე გამორჩეული მდიდრული ყორღანების ყრილი არც ერთ შემთხვევაში არ აღემატებოდა 13 მ. დმ-ს და 0,75 მ. სიმაღლეს და მასშტაბური არ ყოფილა. რაც შეეხება მოხატულ კერამიკას, ვფიქრობთ, იგი აშკარად არ გამოდგება ამ კულტურათა შორის საერთო ელემენტად. ამ ეპოქაში თანაარსებობს მოხატული კერამიკის სულ მცირე 3 სტილი (დასაშვებია 4), რომელთაც ერთმანეთთან საერთო თითქმის არაფერი აქვთ [2, გვ. 64-76]. სევან-უზერლიკისათვის დამახასიათებელი გირლიანდების და კარმირ-ბერდისათვის სპეციფიკური მეტოპებად დაყოფილ ფრიზებში დატანილი "კეპლების" თუ "ქვიშის საათის" სახეები ვერავითარ საერთოს ვერ პოულობს თრიალეთური კულტურის ე.წ. "წყლის სქემის" ორნამენტაციასთან, რომელიც იქ არა გვაქვს წარმოდგენილი. აშკარაა, რომ სამხრეთ კავკასიაში შუა ბრინჯაოს კლასიკურ საფეხურზე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იქმნება და თანაარსებობს მოხატული კერამიკის 3 მხატვრული სტილი, ასე მძლავრად წარმოდგენილი დასახლებულ კულტურებში. ასე რომ, კულტურული "ერთობის ბლოკისათვის" აუცილებელი საერთო ნიშნების 20%-იან ზღვარს არსებული მონაცემები ვერაფრით ახლოსაც კი ვერ აღწევს. ამ მოკლე, მაგრამ კონკრეტული დამახასიათებელი ნიშნების ჩამონათვლიდანაც კარგად ჩანს, რომ ამ კულტურებს სულ სხვადასხვა დომინანტები გააჩნიათ და საერთოს იშვიათად პოულობენ ერთმანეთთან. თრიალეთის მაღალმხატვრული ტორევიტი-

კა, ასე ახლოს ნახიარები წინა აზიური ხელოვნების ტრადიციებს, ვერც ერთ სხვა ამ კულტურაში ვერ პოულობს შორეულ ანალოგიებსაც კი. სევან-უზერლიკის და კარმირ-ბერდის მასალების მიხედვით ეს დარგი იქ საერთოდ არ ჩანს განვითარებული. მიუხედავად ზოგიერთი საერთო ტიპებისა, საკმაოდ განსხვავებულია ბრინჯაოს ლითონწარმოებაც. რაპირა, მასრიანი შუბისპირი, სატევრის ზოგი სახე, ლითონის ქვაბები, ბრინჯაოს ფეხიანი "კალათის" მსგავსი ჭურჭელი და სხვა, ინდივიდუალური თავისებურებაა მხოლოდ თრიალეთისათვის. გარდა ამისა, ამ კულტურის შემთხვევაში საქმე გვაქვს სოციალური სტრატეფიკაციის ძალიან მაღალ საფეხურთან. სოციალური იერარქია აქ არ შეიძლება განისაზღვროს, უბრალოდ შეძლებულთა და საზოგადოების დანარჩენი, დაბალი ფენის არსებობით. არსებული მონაცემები ნათელს ხდის, რომ იერარქიის რთული სისტემა მოიცავდა მმართველი ზედაფენის, ქურუმების (?), ოქრომჭედლობაში სპეციალიზებულ ხელოსანთა, მეთუნეთა, პროფესიონალ მშენებელთა, ხელოსანთა და, რა თქმა უნდა, ლითონწარმოებაში დასაქმებულთა ფენებს, რომელთა დაბლა, როგორც ჩანს, იდგა საზოგადოებრივი დოვლათის ძირითადი მწარმოებელი, ანუ როგორც უწოდებენ, რიგით მეთემეთა ფენა. ასეთი რთული სოციალური სტრუქტურის არსებობა დანარჩენი ორი კულტურის შემთხვევაში არ დასტურდება. თრიალეთში მმართველი ელიტის ძალაუფლება და პრივილეგიები აშკარად განმტკიცებული ჩანს მატერიალური სიმდიდრით. კარმირ-ბერდის კულტურაში ეს მომენტი ნაკლებ თვალსაჩინოა და გაცილებით დაბალ საფეხურზე არსებულიც. ამ ორი კულტურის სოციალური და ეკონომიკური სისტემები აშკარად სხვადასხვა საფეხურზე მდგარია, და შესაბამისად, ასახავს იმ არსებით სხვაობას, რაც ამ კულტურათა შემქმნელი საზოგადოების იერარქიულ ფენებს შორის არსებობდა. თრიალეთის უზარმაზარი ყორღანების აგება უზრუნველყოფილი იყო ელიტის მიერ მოხვეჭილი ძალაუფლების საფუძველზე საზოგადოების დაბალი ფენის შრომის მაქსიმალური ორგანიზაციით. ამგვარ გრანდიოზულ ყორღანთა აგება, მსგავსად ძველი აღმოსავლეთის ადრეული ძეგლებისა, გულისხმობდა სიცოცხლეშივე უზომოდ განდიდებული ლიდერის უსაზღვრო ძალაუფლებას [10, გვ. 132] და მატერიალური და შრომის რესურსების მობილიზებას ამ იდეის მატარებელი ფორმის - გრანდიო-

ზული ყორღანული სამარხის ასაგებად. ამგვარი შრომის გამოყენება, და შესაბამისად, მატერიალური დოვლათის მაქსიმალური თავმოყრა ელიტის ხელში, ანუ უკიდურესი სოციალური სტრატეფიკაცია არ დასტურდება არც კრმირ-ბერდის, და მით უმეტეს, არც სევან-უზერლიკის კულტურებში, სადაც თითქმის საპირისპირო სურათი გვაქვს. ამ უკანასკნელი კულტურის ძეგლების გამთხრელი სამართლიანად მიუთითებს, რომ ეს არის კარნაკეტილი, ნატურალური მეურნეობის მქონე საზოგადოება [7, გვ. 22], რომელიც თავისი ერთფეროვნებით, მონოტონური ცხოვრების რიტმითა და ეკონომიკური განვითარების დონით, ალბათ, უფრო ემსგავსება მტკვარ-არაქსული ცხოვრების წესს, ვიდრე სოციალურად და კულტურულად "აფეთქებულ" თრიალეთს. მათ განსხვავებული აქვთ მეურნეობის საფუძველიც, ისინი აშკარად დამჯდარი მიწათმოქმედნი არიან, ხოლო თრიალეთელთა ეკონომიკური აყვავების ერთ-ერთ ფაქტორს მესაქონლური მეურნეობა წარმოადგენდა. ამ კულტურებს მკვეთრად განასხვავებს სამშენებლო ტრადიციისა და ტექნიკის დარგიც. მართალია, თრიალეთური კულტურის ნამოსახლართა გაუთხრელობის გამო ძალიან ძნელია ვიმსჯელოთ დასახლების ტიპში არსებულ სხვაობებზე, მაგრამ თითქმის გამორიცხულია, რომ თრიალეთური დასაკრძალავი დარბაზების და მაღალი გემოვნების უძვირფასესი ნივთების შემქმნელ საზოგადოებას იმგვარივე ნამოსახლარები ჰქონოდა როგორც უზერლიკთავეს მცხოვრებთ. თრიალეთის შემთხვევაში, მხოლოდ სამარხეული ძეგლების საფუძველზეც კი კარგად ჩანს სამშენებლო ხელოვნებაში მიღწეული მაღალი დონე და სპეციალიზაცია, რომელიც არც კრმირ-ბერდის და არც სევან-უზერლიკის კულტურებში არ დასტურდება. მათი სამშენებლო ტრადიცია მიუხედავად ყორღანკეშა ქვის ყუთების და კატაკომბების არსებობისა, მაინც ბევრად მარტივი და არაშრომატევადია, რაც რიგით მეტემათა შრომის მაქსიმალურ მობილიზებას არ მოითხოვდა. მოცემულ დონეზე ამ სამი კულტურის ძირითადი ნიშნების კორელაცია ცხადს ხდის იმ დასკვნის მართებულობას, რაც საფუძველიანადაა ფეხმოკიდებული სამეცნიერო ლიტერატურაში და გულისხმობს განხილული კულტურების დამოუკიდებელ ერთეულებად მოაზრებას [4, გვ. 6]. მათ შორის განსხვავებულ კატეგორიათა რაოდენობა აშკარად დომინირებს მსგავსების მონაცემებს. ცხადია, რომ აქ წარმოდგენილ კულტურებს ამგვარი

რი დამახასიათებელი ნიშნები ბევრად უფრო სრულად გააჩნდა და მკვეთრად მიზანია ბოლომდე ვეძიოთ და გამოვეყოთ ისინი. ასეთი მონაცემები უნდა გახდეს ამოსავალი მათი შედარებითი ანალიზისას, რაგან სხვა უფრო სანდო კრიტერიუმი ამგვარი კვლევისათვის არ ჩანს.

არქეოლოგიური არტეფაქტების, სოციალური და ეკონომიკური წყობის და კულტურული სხვაობის ასეთ ფონზე ძნელი გასაზიარებელია მათი სოციოკულტურულ ერთობად წარმოდგენა. ასეთი დასკვნა აუცილებლად უნდა ეყრდნობოდეს ტიპოლოგიურ ანალიზს [10, გვ. 6] და კულტურის საერთო ელემენტთა კომპლექტის აუცილებელ ნორმატივებს, რომელიც ამგვარი სიახლოვის მქონე არეალის სურათს მოგვცემდა. ასეთ მონაცემებს კი არცერთი დასახელებული კულტურა არ შეიცავს. აღმოჩნდა რომ საკითხის ასე დასმა მხოლოდ მათ ურთიერთმეზობლად მდებარეობას და ქრონოლოგიურ სიახლოვეს ეფუძნება და არა არქეოლოგიურ მონაცემებს. თრიალეთური კულტურა ხასიათდება მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ნიშანთა გასაოცარი მდგრადობით, რომელიც არცერთ დანარჩენ კულტურებში არ მეორდება. თრიალეთურ, კრმირ-ბერდის და სევან-უზერლიკის კულტურებში მოგვეპოვება ხარისხობრივად სხვა სახის, ერთმანეთისათვის "უცხო" ნიშნები, რომელთა ზუსტად დიფერენცირებული ნუსხა [8; 4; 6; 11], შეიძლება ითქვას, რომ მათ უფრო ანსხვავებს ერთმანეთსაგან, ვიდრე აახლოვებს. ამგვარი სურათი, სისტემური ხასიათის სხვაობანი, მეტნაკლებად ერთგვაროვანი კულტურული პლასტის "წაკითხვის" საშუალებას არ იძლევა. თითოეული მათგანი განსხვავებულ კულტურულ სტანდარტებს წარმოაჩენს, რაც აღეკვატური ასახვაა ამ ეპოქაში სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე შიდა და საერთაშორისო ურთიერთობათა პროცესებისა.

**M. Puturidze**

## THE PICTURE OF DEVELOPMENT OF MIDDLE BRONZE AGE CULTURES IN SOUTH CAUCASIA

(Summary)

The cultures formed in the region of the geographical crossroads of South Caucasia brilliantly reflected traces of relationship with surrounding civilizations and influences, causing the shaping of distinctive cultures in the later pre-

historic period. Specifically, in parallel to various advanced civilizations in the the Near East, in the first half of the II millennium BC there existed four distinctive cultures in the Caucasus; of these most impressive and powerful was the Trialeti Culture of Brilliant Kurgans, as well as those of Karmir-Berd, Sevan-Uzerlik and Kizil-Vank.<sup>3</sup>

In the autor's view, the Trialeti, Sevan-Uzerlik, Karmir-berd and Kizil-Vank cultures existing in South Caucasia of this period, constituted wholly independent cultural entities, sharply differing not only by their artifacts but also from the standpoint of the majority of the elements of social life of the society that created them and the basis of tradition. An appempt is made in the paper to define clearly the specific features and factors characteristic of each of the above-listed cultures. Their integration under one and the same socio-cultural community (15, 70-71; 16, 207-208) seems to the author less possible because of a great number of sharply differing features, so clearly reflected by numerous assemblages.

Trialeti culture is characterized by an astonishing stability of features characteristic only of it and not repeating in any other cultures. The Trialeti, Karmir-Berd and Sevan-Uzerlik cultures contain qualitatively different features – "alien" to one another – whose differentiated list (8; 4; 6; 11) may be said to further alienate themselves from one another than bring them closer. However, such a picture doesn't give an opportunity of "reading" a more or less homogeneous cultural layer in South Caucasia of the Middle Bronze Age. Each of them displays differing cultural standarts, being an adequate reflection of processes of internal and international relations in the cited region.

## ლიტერატურა

1. გოგაძე ე. თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, თბ., 1972.

2. ფუთურძე მ. ცენტრალური და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის მონოქრომული მოხატული კერამიკის პრობლემისათვის, კავ. ტ. VI, თბ., 1984.

3. ფუთურძე მ. თრიალეთური კულტურის ზოგიერთი პრობლემატური საკითხი და მათი კვლევის მდგომარეობა, "გურია", მხარის კვლევა-ძიების შედეგები, თბ., 1996.

4. Джапаридзе О. М. Тrialetская культура. Эпоха бронзы Кавказа и Средней Азии. Ранняя и средняя бронза Кавказа. Археология, М., 1994.

5. Кушнарeва К. Х. Севано-узерликская культура периода средней бронзы на территории Южного Кавказа. Культурное наследие Востока. Л., 1985.

6. Кушнарeва К. Х. Южный Кавказ в IX-II тыс. до н.э. Л., 1993.

7. Кушнарeва К. Х. Ранние комплексные общества Южного Кавказа. Древние общества Кавказа в эпоху палеометалла (Ранние комплексные общества и вопросы культурной трансформации), С.-П., 1997.

8. Куфтин Б. А. Археологические раскопки в Тrialeti. Тб., 1941.

9. Массон В. М. Доурартские древности Кавказа - пути познания и проблемы интерпретации. Древние общества Кавказа в эпоху палеометалла, С.-П., 1997.

10. Массон В. М. Кавказский путь к цивилизации, вопросы социо-культурной интерпретации. Древние общества Кавказа в эпоху палеометалла, С.-П., 1997.

11. Оганесян В. Э. Культура первой половины II тыс. до н. э. в средней течении р. Раздан. Автореферат канд. диссертации, Ер., 1990.

12. Путиридзе М. Ш. Культура эпохи средней бронзы центрального и восточного Закавказья и ее локальные варианты, Диссертация на соиск. канд. истор. наук. Тб., 1983.

13. Путиридзе М. Ш. Традиции и инновации в триалетской культуре эпохи средней бронзы. Кавказ в системе палеометаллических культур Евразии, Тб., 1991.

14. Симонян А. Е. Культура эпохи средней бронзы северных районов Армянского нагорья. Автореферат канд. диссертации, Л., 1984.

15. Симонян А. Е. Культурный процесс в эпоху средней бронзы Армянского нагорья и Южного Кавказа. (Опыт локализации ареалов, переоценка хронологических и социокультурных взаимоотношений этих культур в свете раскопок памятников Армении) – Технологический и культурный прогресс в раннеземледельческую эпоху, Ашхабад, 1987.

16. Симонян А. Е. Новая трактовка социокультурной общности эпохи средней бронзы Армении (По данным погр. 12 из магильника Верин-Навер), ИФЖ, 1990.

<sup>3</sup> The Early Kurgans Culture is not considered here because it belongs to the early stage of the Middle Bronze Age. Attention in the paper is focused only on the validity of viewing the cultures of the developed stage of the Middle Bronze Age as a single socio-cultural unity.

## ნინო ახელედიანი

### პირმოყრილი ჭურჭლის თარიღისთვის (თრელის სამაროვნის № 28 სამარხი)

პირმოყრილი ჭურჭლის შემცველი კომპლექსებიდან თრელის 28 სამარხი საგანგებო ინტერესს იწვევს, ვინაიდან აღნიშნულ ჭურჭელთან ერთად აქ ბრინჯაოს ბოლოკვეთილი მახვილი აღმოჩნდა<sup>1</sup> (ტაბ. I, ტაბ. II).

სამთავროს სამაროვანზე პირმოყრილი ჭურჭელი ფოთლისებური სატევრების შემცველ ფენაში ჩნდება. მათი ერთი ნაწილი გვხვდება ისეთ კომპლექსებში, რომლებიც აქ აღმოჩენილი ნივთების მიხედვით (ფოთლისებური სატევარი, თავხვია საკინძი, სარდიონის დახეთქილი მძივები) გვიანი ბრინჯაოს ადრეულ ეტაპს მიეკთვნება, ნაწილი კი გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპის უშუალოდ მომდევნო ხანის სამარხებიდან მომდინარეობს. აღნიშნულის გათვალისწინებით პირმოყრილი ჭურჭლის ზედა ქრონოლოგიური თარიღი რ. აბრამიშვილის მიერ ძვ.წ. XII ს I ნახ. განისაზღვრა [2, გვ. 320].

პირმოყრილი ჭურჭელი აღმოჩენილია სამთავროს სამაროვნის: № 10 სამარხში სარდიონის დახეთქილ მძივებთან ერთად, № 13 სამარხში ასევე სარდიონის დახეთქილ მძივებთან და ოთხ თავხვია საკინძთან ერთად; № 17 სამარხში თავხვია საკინძთან, სარდიონის დახეთქილ მძივებთან და ყუნწჩაკეცილ მახათთან ერთად; № 75 სამარხში ფოთლისებურ სატევართან; № 160 სამარხში ფოთლისებურ სატევართან, მასრაგახსნილ შუბისპირთან და თავხვია საკინძთან ერთად, № 232 სამარხში ფოთლისებურ სატევართან და მასრაგახსნილ შუბისპირთან; კენოტაფად მიჩნეულ № 153 სამარხში ადრეული ხანის მრავალრიცხოვან ჭურჭელთან ერთად აღმოჩნდა სამი პირმოყრილი ჭურჭელი. S უბნის № 44 სამარხში პირმოყრილი ჭურჭელი დადასტურდა ე.წ. კახური ტიპის შედგენილტარიან სატევართან და გრძელ კონუსისებრ საკინძთან ერთად, № 55 სამარხში თავხვია საკინძთან ერთად.

სამთავროს სამაროვანზე პირმოყრილი ჭურჭელი არ გვხვდება არც ბოლოკვეთილ, და არც ამ უკანასკნელის წინამორბედ ბო-

ლომომრგვალებულ მახვილთან. ბრინჯაოს ბოლომომრგვალებული მახვილები, რომლებიც თავის მხრივ კახური ტიპის სატევრებისგან განვითარდნენ [2, გვ. 325], საკმაოდ ვიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩოში თავსდება – ძვ.წ. XII ს-ის II ნახევარი [2, გვ. 328].

სამთავროს სამაროვანზე ბოლოკვეთილი მახვილები არსებობას იწყებენ მაშინ, როცა არსებობას წყვეტენ ბოლომომრგვალებული მახვილები.

თრელის № 28 სამარხის ბრინჯაოს ბოლოკვეთილი მახვილი (ტაბ. II) კ. ფიცხელაურის ტიპოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით სატევარ-მახვილთა IV<sub>2</sub> ჯგუფს განეკუთვნება [7, ტაბ. IX]. ამ ჯგუფის ბოლოკვეთილი მახვილების თარიღი ძირითადად ძვ.წ. XI-X სს. განისაზღვრება. [2, გვ. 330]. რამდენადმე მოგვიანოდ არის მიჩნეული IV<sub>2</sub> ჯგუფის მახვილის შემცველი 'ხეშო ავჭალის სამარხი, რადგან აქ ბოლოკვეთილ მახვილთან ერთად აღმოჩნდა რკინის სატევარი, რკინის შუბისპირი და სარდიონის მძივების გვიანდელი ფორმები [2, გვ. 333].

სამთავროს სამაროვანზე IV<sub>2</sub> ჯგუფის ბოლოკვეთილი მახვილი აღმოჩენილია № 208 და ბაიერნისეულ № 591 სამარხებში. ორივე სამარხში მახვილთან ერთად აღმოჩნდა ბრინჯაოდან რკინის ხანაზე გარდამავალი პერიოდისთვის დამახასიათებელი ბრინჯაოს მთლიანადსხმული გრძელი სატევარი.

თრელის № 28, სამთავროს № 208 და ბაიერნის № 591 სამარხების მახვილებს ქრონოლოგიურად წინ უსწრებს თრელის № 41 სამარხის, ამავე IV<sub>2</sub> ჯგუფის მახვილი (4, ნახ 62), რომელსაც მომრგვალებული ბოლო და დაბალი ქული აქვს. ამ ტიპის IV<sub>2</sub> ჯგუფის მახვილებს რ. აბრამიშვილი სამთავრული ბოლომომრგვალებული მახვილების თანადროულად მიიჩნევს (XII ს), [4, გვ. 142]. IV<sub>2</sub> ჯგუფის დაბალქულიან და ბოლომომრგვალებულ მახვილს შეიცავს ნარეკავის სამაროვნის № 53 სამარხიც [6, ტაბ. XV<sup>600</sup>], სადაც აღნიშნული იარაღი სამთავრულ ბოლომომრგვალებულ მახვილებთან ერთად დადასტურდა, თუმცა ნარეკავის № 53 სამარხის IV<sub>2</sub> ჯგუფის

<sup>1</sup> სამარხი გაითხარა თბილისში, თრელის სამაროვანზე (I) 1971 წელს.

მახვილი არის არა კლასიკური ბოლო-  
მომრგვალებული, არამედ გარდამავალი  
ბოლოკვეთილობისკენ. ასეთივე, ბოლოკვე-  
თილობისკენ გარდამავალი სახის ბრინ-  
ჯაოს მახვილი აღმოჩენილია თრელის  
სამაროვანზე.<sup>2</sup>

IV<sub>2</sub> ჯგუფის ადრეული სატევარი აღმო-  
ჩენილია თბილისში, თრელის სამაროვნის  
№ 39 სამარხში [4, ნახ. 60, გვ. 141], ამავე  
ჯგუფის ადრეული ბოლომომრგვალებული  
მახვილი კი თრელის № 41 სამარხში [4,  
ნახ. 62].

IV<sub>2</sub> ჯგუფის ბოლოკვეთილი მახვილე-  
ბის შემცველი დღემდე ცნობილი კომპლექ-  
სებიდან ყველაზე ადრეული თრელის  
№ 28 სამარხი უნდა იყოს. ასეთი ვარაუ-  
დის საშუალებას გვაძლევს აქ აღმოჩენი-  
ლი პირმოყრილი ჭურჭელი და ბრინჯაოს  
გრძელი კონუსისებური საკინძის ერთ-  
ერთი სახესხვაობა. ორივე ეს ნივთი დამა-  
ხასიათებელია ძვ.წ. XII საუკუნის შუა ხა-  
ნებზე უფრო ადრეული პერიოდისთვის.  
ბრინჯაოს გრძელი კონუსისებური საკინძი  
გვხვდება სამთავროს № 29, 88, 125, 131, 173  
ორმოსამარხებში. ამათგან № 88 სამარხში  
ეწ. კახური ტიპის მთლიანადსხმულ სატე-  
ვართან ერთად, № 125 და № 131 სამარხებ-  
ში სარდიონის ოვალურ ექვსწახნაგა მძივ-  
თან ერთად. თავის მხრივ, სარდიონის ოვა-  
ლური ექვსწახნაგა მძივი აღმოჩენილია  
პირმოყრილი ჭურჭლის შემცველ ორმო-  
სამარხებში (№ 160-სამხრ. უბანი; №№ 247,  
344-ჩრდ. უბანი).

ამდენად, თრელის № 28 სამარხში  
ვხვდებით ნივთებს, რომლებიც ერთის  
მხრივ თარიღდება ძვ.წ. XII ს-ის შუა ხანე-  
ბის წინარე პერიოდით (პირმოყრილი  
ჭურჭელი, საკინძი), ხოლო მეორეს მხრივ,  
ძვ.წ. XI. საუკუნითა და მისი მომდევნო ხა-  
ნით (ბრინჯაოს ბოლოკვეთილი მახვილი).  
ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ IV<sub>2</sub>  
ჯგუფის ბოლოკვეთილ მახვილთა წინა-  
მორბედი ბოლომომრგვალებული მახვილე-  
ბი ძვ.წ. XII ს II ნახ. არის დათარიღებული  
[2, გვ. 328]. მაშინ თრელის № 28 სამარხ-  
ის თარიღი ძვ.წ. XII-XI სს-ის მიჯნის  
ახლო ხანებით უნდა განისაზღვროს.

საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ რკინის  
დანების იმ სახეობაზე, რომელიც სამთავ-  
რული კულტურის ძეგლებზე საკმაოდ  
ფართო ქრონოლოგიურ პერიოდში არსე-

ბობს და რომლის თარიღიც ზოგადად ძვ.წ.  
XIII-VI სს უნდა განისაზღვროს. თრელის  
სამაროვანზე ამგვარი რკინის დანები აღ-  
მოჩენილია № 28 (ტაბ. II<sub>2</sub>), №№ 49, 65, 79,  
134, 136, 172 სამარხებში. ანალოგიური და-  
ნები სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენი-  
ლია №№ 1, 7, 8, 16, 31, 41, 51, 56, 76, 81, 82,  
83, 107, 108, 111, 149, 153, 181, 201, 208, 211, 230,  
281, 289 სამარხებში. ყველა მათგანი ტარ-  
შეურჩენელია, თუმცა პირის ფორმის მი-  
ხედვით განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

I - რკინის დანები, რომელთაც სრული-  
ად სწორი პირი აქვთ (სამთავროს № 1, 7,  
31, 41, 83, 119, 149, 181, 281, თრელის № 79,  
134, 136, 172, სამარხები);

II - რკინის დანები, რომელთაც მომრგ-  
ვალებული ბოლო და ოდნავ აწეული წვე-  
რი აქვთ. (სამთავროს № 51, 76, 211; თრე-  
ლის № 28, 49 სამარხები);

III - რკინის დანები, რომელთაც შედა-  
რებით ვიწრო პირი და მკვეთრად აწეული,  
ბასრი წვერი აქვთ (სამთავროს № 81, 201,  
230, ნარეკვავის № 10, 53 სამარხები).

ცალკე დგას თრელის № 49 სამარხის  
ბრინჯაოს მთლიანადსხმული დანა ტარზე  
ცხოველის თავის გამოსახულებით [4, ნახ.  
80]. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მან-  
ძილზე არც სამთავროს და არც თრელის  
სამაროვანზე ბრინჯაოს დანები არ  
გვხვდება. ამ მხრივ თრელის № 49 სამარ-  
ხი გამონაკლისს წარმოადგენს. რკინის  
ცუდი დაცულობის გამო აღნიშნული  
დანების ტიპოლოგიური განსაზღვრა რიგ  
შემთხვევაში შეუძლებელია. დღეს ხელთ  
არსებული მასალის საფუძველზე შეგვიძ-  
ლია ვთქვათ, რომ რკინის ტარშეურჩე-  
ნელი დანების სამივე ჯგუფი სამთავრული  
კულტურის ძეგლებზე თანაარსებობს. სხვა  
საკითხია რკინის მოხრილი დანა, რომელ-  
საც გარდა ტიპოლოგიური განსაზღვრისა,  
ქრონოლოგიური დატვირთვაც აქვს. ამ ტი-  
პის დანები სკვითური ნივთების შემცველ  
ფენაში წნდება [1, გვ. 131]. თავის მხრივ,  
სკვითური ნივთების შემცველი ფენა, ძვ.წ.  
VII ს II ნახ. და VI ს, რკინის ფართო  
ათვისების ხანის შესამე, ბოლო პერიოდია.  
როცა რკინის იარაღის პირიცა და ტარიც  
ერთი, მთლიანი რკინის ნაჭრისგან მზად-  
დება [2, გვ. 374]. ასე, რომ რკინის მოხ-  
რილ დანებს მის წინამორბედ რკინის  
ტარშეურჩენელ დანებთან ტექნოლოგიური  
თვალსაზრისით საერთო არაფერი აქვთ.  
ქრონოლოგიურად კი ძვ.წ. VII საუკუნიდან  
რკინის ტარშეურჩენელი და მოხრილი და-

<sup>2</sup> მახვილი შემახვევითი მონაპოვარია და  
დაცულია საქართველოს სახელმწიფო  
მუზეუმში № 6:60:16.

ნები თანაარსებობენ (სამთავროს № 1, 31, 153, 181 სამარხები). ამიტომაც არ მიგვაჩნია მართობულად რკინის ტარშემოურჩენელი დანების გამოყენება ამა თუ იმ კომპლექსების დამატარებელ ნივთებად.

თრელის № 28 სამარხის სინქრონულად მიგვაჩნია ნარეკვავის ასევე პირმოყრილი ჭურჭლის შემცველი № 9 სამარხი [5, ტაბ. V-IX], რომელიც აქ დადასტურებული ნივთების ერთი ნაწილით სამთავროს № 56 სამარხს უკავშირდება. ორივე სამარხში (ნარეკვავის № 9 და სამთავროს № 56) აღმოჩენილია ბრინჯაოს ბოლომომრგვალებული მახვილი, შუბისპირი მასრაზე ორი რელიეფური სარტყლით, ქუსლამოღარული ისრისპირები, ირმის ქანდაკებები, გრავირებული სარტყელი. ორივე სამარხის სარტყელი ნ. აბრამიშვილის აზრით, სტილისტურად ერთ ჯგუფს განეკუთვნება. ორივე სამარხში აღმოჩენილია ორმაგპირიანი ჭურჭელი. ასეთივე ჭურჭელი აღმოჩენილია ნარეკვავის ასევე ბოლომომრგვალებული მახვილის შემცველ № 35 სამარხში [5, ტაბ. XXVI] და წითელგორების № 2 ყორღანის მიწაყრილში ჩაშვებულ ორმოსამარხში (სსმ 25-61198, ტაბ. III) ყველა მათგანს აქვს ყურზე ზომორფული დანაძერწი. სამთავროსა და ნარეკვავის ჭურჭლისგან განსხვავებით წითელგორების ჭურჭელს აქვს სამი ყური, ჩაიდნისებური ტუჩი და არა დაჭვირული, არამედ სადა შიდაპირი, ერთ-ერთ ყურზე კი დაძერწილია ცხვრის თავის გამოსახულება.<sup>3</sup>

წითელგორების № 2 ყორღანის ჩაშვებულ ორმოსამარხებს ძეგლის გამთხრელი რ. აბრამიშვილი ზოგადად ძვ.წ. II ათათსწლეულის ბოლო და I ათათსწლეულის დასაწყისს მიაკუთვნებს [3, გვ. 23]. მის მიერვე სამთავროს ბოლომომრგვალებული მახვილის შემცველი № 56 სამარხი ძვ.წ. XII ს II ნახ. თარიღდება [2, გვ. 320].

ნარეკვავის № 9 სამარხში ბოლომომრგვალებულ მახვილთან ერთად აღმოჩნდა ბრინჯაოდან რკინის ხანაზე გარდამავალი პერიოდისთვის დამახასიათებელი ბრინჯაოს გრძელი სატევარი, რომელიც სამთავროს სამაროვანზე IV<sub>2</sub> ჯგუფის ბოლოკვეთილი მახვილების შემცველი სამარხების

<sup>3</sup> მაღლობას ვუხდი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებს ქ-ნ: ლ. ფანცხავას, ლ. დლონტს და მცხეთის არქეოლოგიური ექცპედიციის თანამშრომლებს ბ-ნ: ვ. ნიკოლაიშვილს, ნ. დლონტს, ე. გავაშელს გაწეული დახმარებისთვის.

ფენაში დასტურდება (ს. № 51, 208, 211, 591). აღნიშნული კი საფუძველს გვაძლევს, ნარეკვავის № 9 სამარხი ბოლომომრგვალებული მახვილების შემცველი კომპლექსებიდან ყველაზე გვიანდელად მივიჩნით და თრელის № 28 სამარხის მსგავსად ძვ.წ. XII-XI სს მიჯნის ახლო ხანებით დავათარიღოთ.

სატევარ-მახვილთა ტიპოლოგიური განვითარების თვალსაზრისით ნარეკვავის № 9 სამარხის ბოლომომრგვალებული მახვილი წინ უსწრებს თრელის № 28 ბოლოკვეთილ მახვილს. მაგრამ ამ შემთხვევაში ორივე მახვილის შემცველი სამარხების შედგენილობა მათ დაახლოებით სინქრონულობაზე მეტყველებს. საბრძოლო იარაღის განვითარების პროცესში ძვ.წ. XII-XI სს მიჯნა სწორედ ის პერიოდი უნდა იყოს, როცა ბოლომომრგვალებული მახვილები თანდათან წყვეტენ არსებობას და ადვილს უთმობენ უფრო სრულყოფილ ბოლოკვეთილ იარაღს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ თრელისა და ნარეკვავის არქეოლოგიურმა მასალამ დადასტურა პირმოყრილი ჭურჭლისთვის სადღეისოდ მიღებული ზოგადი თარიღი - ძვ.წ. XIV-XII საუკუნეები [4, გვ. 135].

## N. Akhvlediani

### TOMB 28 OF TRELI BURIAL GROUND

(Summary)

The existence of vessels with a rim turning inwards in the third quarter of the 2<sup>nd</sup> millennium B. C. was assumed by R. Abramishvili. He determined its general date to the 14<sup>th</sup>-12<sup>th</sup> centuries B.C. Vessels of this type are found at Samtavro burial ground together with objects characteristic of burial complexes of the earliest period and its subsequent (following) one of Late Bronze (leaf-shaped dagger, volute-headed pin, a so-called Kakhnetian-type bronze daggers with compound and whole hilts, cornelian cracked beads).

In tomb 9 of Narekvavi, burial ground vessel with the rim turning inwards is found together with a bronze so called rounded-end sword and a bronze so called whole cast dagger, the latter characteristic of the transitional period from Bronze to Iron Age 11<sup>th</sup>-10<sup>th</sup> cent. B.C.

A vessel of the same kind typ was found in tomb 28 of the Treli burial ground together with a bronze so-called cut-end sword. From the point of



view of the development of weapons, cut-end swords start their existence exactly when rounded-end ones stop theirs (according to Abramishvili, rounded-end swords are dated to the second half of the 12<sup>th</sup> cent. B.C.).

The author considers tomb 9 of the Narekvavi burial-ground the latest among the complexes known to us, containing rounded-end swords, as here, in this grave, we find a dagger characteristic of the 11<sup>th</sup> cent. B.C. and its following period together with a rounded – end sword and a vessel with its rim turning inwards.

In the author's view, tomb 28 of Trelī according to the vessel with a rim turning inwards found in it must be earliest of all the complexes with cut-end swords, as this vessels of this type are never found later than the 12<sup>th</sup> cent. B.C. Cut-end swords exactly appear in tombs of the transitional period from Bronze to Iron Age (11<sup>th</sup> cent. B.C.).

In the chronological aspect of the point the Narekvavi tomb (N 9) with a rounded – end sword and a vessel with a rim turning inwards is immediately followed by tomb 28 of Trelī burial ground with a vessel of the same kind and cut-end sword.

Both these complexes are dated to a period close to the turnies of the 12<sup>th</sup>-11<sup>th</sup> cent. B.C. This is the period when rounded-end swords gradually cease to exist and their place is taken by cut-end swords.

Thus the materials excavated in Trelī and Narekvavi burial grounds have confirmed the general date for the vessels with a rim turning inwards (14<sup>th</sup>-12<sup>th</sup> cent. B.C.).

### ლიტერატურა

1. რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანის და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის, სსმმ, XIXA-XXI B, თბ., 1957, გვ. 116-139.

2. რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართვე-

ლის ტერიტორიაზე (ძვ.წ. XIV-VI სს) სსმმ XXII B, თბ., 1961, გვ. 291-381.

3. რ. აბრამიშვილი, არქეოლოგიური გათხრები კახეთში, ხელნაბეჭდი.

4. რ. აბრამიშვილი, თრელის ძვ.წ. XIII-XII სს სამარხები, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, I თბ., 1978, გვ. 86-158.

5. მცხეთა, ნარეკვაი I, ა. ავაქიძის რედაქციით, თბ., 1999.

6. მცხეთა, ნარეკვაი II, ა. ავაქიძის რედაქციით, თბ., 2000.

7. კ. ფიცხელაური, იორ-აღაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა, თბ., 1955.

### ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I - თრელის № 28 სამარხის თიხის ჭურჭელი (1-10)

ტაბ. II - თრელის № 28 სამარხის ლითონის ინვენტარი (ბრინჯაოს: ბოლოკვეთილი მახვილი (11), შუბისპირი (12), სამხარიდლიე თასმის რგოლი (13), სარტყელი (15), ორმაგოჭისებური ბალთა (16), საკინძი (17), სამი რგოლი (18-20); რკინის პინცეტი (14), დანა (21).

ტაბ. III - თიხის ჭურჭელი წითელგორის № 2 ყორღანში ჩაშვებული სამარხიდან (სამარხი № 3)

ტაბულები შედგენილია რ. აბრამიშვილის ჩანახატების მიხედვით.


### Description of the plates


Pl. I – clay vessels (1-10) of Trelī burial 28


Pl. II – metal inventory bronze of Trelī burial 28: cut-end sword (11), spearhead (12), hoop (13), belt (15), buckle (16), fibula (17), three hoops (18-20), iron pincers (14), knife (21).

Pl. III – clay vessel from burial 3 in Tselgori barrow N 2

The plates are drawn up according to R. Abramishvili's drawings.







ცხენი და ეტლი წითელბორების ყორღანებში

1961 წ. ლაგოდეხის რაიონში, სოფ. წითელგორში რ. აბრამიშვილის მიერ გათხრილი იქნა ორი ყორღანი. ეს ყორღანები განეკუთვნებიან იმ კულტურის წრეს, რომელიც მოიცავდა თითქმის მთელ სომხეთს, ჩრდილო-დასავლეთ აზერბაიჯანს და აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ, სამხრეთ-დასავლეთ და აღმოსავლეთ რაიონებს. ამ კულტურის განმსაზღვრელი მრავალფეროვანი და ბრწყინვალე მასალის შემცველი ყორღანები აღმოჩნდა სომხეთში - სევანის ტბის პირას, სოფ. ღჭაშენთან და საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სოფ. წითელგორთან, რის გამოც მატერიალური კულტურის წრეს, რომელსაც ეს ძეგლი მიეკუთვნება, ღჭაშენ-წითელგორული არქეოლოგიური კულტურა ეწოდა [2, გვ. 26].

არსებობს გარკვეული საფუძველი ამ კულტურის გავრცელების საზღვრებში აღმოსავლეთ ანატოლიაც მივიჩნიოთ, ვინაიდან ღჭაშენ-წითელგორული კულტურისათვის დამახასიათებელი ნიშნები გენეტიკურად უკავშირდება ცენტრალური ანატოლიის ალაჯა-ჰუიუკის ე.წ. სამეფო სამარხებში დადასტურებულ დაკრძალვის წეს-ჩვეულებებს [48, გვ. 191]. საინტერესოა ისიც, რომ ამ კულტურისათვის დამახასიათებელი, ეტლთან დაკავშირებული სკულპტურები ფუნქციურ და სტილისტურ მსგავსებას პოულობს ალაჯა-ჰუიუკის ზემოხსენებულ ე.წ. სამეფო სამარხთა ზოომორფულ პლასტიკასთან [7, გვ. 12].

წითელგორების ორი ყორღანი ღჭაშენ-წითელგორული კულტურის განვითარების ორ საფეხურს ასახავს.

პირველი ყორღანის ინვენტარის სიმდიდრე მოწმობს, რომ მასში წარჩინებული პირი იყო დაკრძალული. სამარხებში აღმოჩნდა სამოცზე მეტი ბრინჯაოს ნივთი, ოცდახუთი თიხის ჭურჭელი, რვაასამდე სარდიონის, აქატის, პასტის და ბრინჯაოს მძივი. მიცვალებულისათვის ჩაუტანებიათ ოთხი ცხენი, ექვსი მსხვილფეხა და ექვსი წვრილფეხა საქონლის თავ-ფეხი (ტაბ. I).

მეორე ყორღანი მდებარეობდა პირველისაგან 100 მ-ის დაშორებით. ისიც ინდივი-

დუალურ სამარხს წარმოადგენდა. ყორღანში აღმოჩნდა ორი ცხენის ძვლები. მიცვალებულის ქვეშ გაიწმინდა ხის ფიცრების ნაშთი. მიცვალებულის წინ, მისგან ნახევარი მეტრის მანძილზე, ხის ნაშთს ნახევარი წრის მოხაზულობა ჰქონდა და ბორბლის ნაშთის შთაბეჭდილებას ტოვებდა (ტაბ. III) აღნიშნული გამოხრელებს ავარაუდებინებდა, რომ მიცვალებული ეტლზე იყო დასვენებული, თუმც არ გამორიცხავდნენ მის სარეცელზე დაკრძალვასაც. როგორც ჩანს, ეტლი ორმოს გადამხურავ ძელებზე უფრო ადრე დაშლილა და ჩაწოლილა. ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად, ვფიქრობთ, სრული საფუძველი გვაქვს ვიგულისხმოთ, რომ წითელგორების ორივე ყორღანში, ცხენებშებმული ხის ეტლები იყო ჩატანებული.

ორიაღეთის შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანებში ცხენის კვალის არსებობის გამო დამკვიდრდა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ამიერკავკასიისათვის მოშინაურებული ცხენი გვიანბრინჯაოს ხანამდე უცნობი იყო. ორიაღეთის ყორღანებში ცხენის არსებობა ხაზგასმით აღნიშნა ბ. კუფტინმა [29, გვ. 79]. შემდგომში ამ საკითხს საგანგებოდ შეეხო გ. გობეჯიშვილი, რომლის თვალსაზრისითაც საქართველოს ტერიტორიაზე უფრო ადრე ცხენს კავკასიის სამხრეთ მხარეებში მახლობელი აღმოსავლეთიდან უნდა შემოედწია, რომლის სამხედრო და სამეურნეო საქმიანობაშიც ძვ.წ. II ათასწლეულის I ნახევრიდან ცხენი უკვე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. გ. გობეჯიშვილი იზიარებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოშინაურებული ცხენის უძველეს ნაშთად მიჩნეული იქნას სოფ. შახტახტის აღმოჩენა, რადგან ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკა ტერიტორიულად ემიჯნება მახლობელ აღმოსავლეთს [42, გვ. 77]. რაც შეეხება ამიერკავკასიას, ცხენი ავტორს აქ გვიანბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის მოვლენად მიაჩნია [5, გვ. 245].

შუა ბრინჯაოს ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე ცხენის გამოყენებას უარყოფს ო. ჯაფარიძეც. მისი თვალსაზრისით, ამიერკავკასიაში ცხენი თავდაპირველად ცხენოსნობისთვის გამოიყენებოდა, ხოლო

გამწვევი ძალის სახით მისი გამოყენება უფრო გვიან იწყება. [12, გვ. 204]. ამასთან ავტორი შენიშნავს, რომ ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიაზე ცხენის ნაშთთან ერთად ეტლის აღმოჩენის შემთხვევა უცნობია, მაშინ როცა მიცვალებულისათვის ცხენის ნატანების ფაქტები კარგად ფიქსირდება [12, გვ. 205]. ო. ჯაფარიძე ყურადღებას ამახვილებს ამიერკავკასიაში ეტლში შებმული ცხენების გამოსახულებათა სიმწირეზე (ლჭაშენი, ახტალა, დილიქანი). ამ მხრივაც სხვა ვითარებაა გვიანბრინჯაოს ხანაში. ცხენისა და ეტლის გამოსახულება ამ პერიოდის ძეგლებზე კარგადაა ცნობილი [12, გვ. 205].

განსხვავებული მოსაზრება აქვთ გამოთქმული ფ. ჰანნარსა და კლ. შეფერს. ფ. ჰანნარი, თრიალეთის კულტურაში, რომელსაც ძალზე ახლო კავშირი აქვს წინა აზიასთან, განსაკუთრებით კი ხეთებთან, ცხენის კვალის არარსებობას დაკრძალვის რიტუალში იმ ტრადიციებით ხსნის, რომელშიც ცხენი არ მონაწილეობდა. ჰანნარის ვარაუდით ძვ.წ. II ათასწლეულის I ნახევარში, ამიერკავკასიაში ცხენი უკვე მოშინაურებულია, მაგრამ ხართან და ცხვართან შედარებით მისი როლი ჯერ კიდევ უმნიშვნელო იყო [53, გვ. 168].

რელიგიური ფაქტორით ხსნის თრიალეთის ყორღანებში ცხენის არსებობას კლ. შეფერიც, რადგან მაიკოპის ვერცხლის თასზე უკვე არის გამოსახული ცხენი ან თნაგრი. მისივე თვალსაზრისით, ცხენის მოშინაურება კავკასიის მომიჯნავე ანატოლიასა და ჩრდ. სირიაში უნდა დაწყებულიყო არა უგვიანეს ძვ.წ. XX საუკუნისა [51, გვ. 509-511].

ამიერკავკასიაში ცხენის დომესტიკაციასთან დაკავშირებით საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული რ. მუნჩაევს. ბამუტისა და მაიკოპის ძვ.წ. III ათასწ. ბრინჯაოს მარყუეისებური ნივთები მან საყბუურებად მიიჩნია [38, გვ. 71]. ავტორის აზრით, ამ ნივთებთან ერთად კავკასიის არაერთი არქეოლოგიური ძეგლი ფრიად მნიშვნელოვან მასალას გვაძლევს ცხენის დომესტიკაციის ადგილისა და დროის განსაზღვრისათვის. მუნჩაევი ეყრდნობა პალეონტოლოგების მიერ მიღებულ შედეგებს იმის თაობაზე, რომ შინაური ცხენის ძვლები აღმოჩენილია მტკვარ-არაქსის კულტურის არა ერთ ძეგლზე: შენგავიტი, ელარი, ილტო, დიდუბე.

ქვარცხელები, ქარაზი [39, გვ. 357; 38, გვ. 71]. იგი იზიარებს იმ მკვლევართა მოსაზრებას, რომელთა მიხედვითაც ალიქემექ-თეფესის აღმოჩენებზე დაყრდნობით, ცხენის დომესტიკაცია ამიერკავკასიაში სავარაუდოა არა უგვიანეს IV ათასწლეულისა, რის გამოც ამიერკავკასია ცხენის მოშინაურების ერთ-ერთ უძველეს კერად უნდა მივიჩნიოთ [40, გვ. 135].

ამრიგად, ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოში, მეცხენეობის ჩასახვა-განვითარებასთან დაკავშირებით ერთმანეთისაგან ფრიად განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული. წინამდებარე ნაშრომში ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა. მაგრამ მოკლე მიმოხილვა საჭიროდ მივიჩნიეთ, რადგან ეს საკითხი უშუალოდ უკავშირდება ჩვენი კვლევის საგანს.

ჩვენი თვალსაზრისით, მეტი საფუძველი აქვს იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ამიერკავკასია ცხენის დომესტიკაციის ერთ-ერთ უძველეს კერად გვევლინება. ამ მოსაზრებას დამაჯერებლობას მატებს ის გარემოება, რომ, ერთის მხრივ, ამიერკავკასიაში გავრცელებული იყო გარეული ცხენი, რომელზედაც ნადირობდა ქვის ხანის ადამიანი – ცუცხვათი, წოფი, ძუძუანა, სამერცხლე, კლდე, ბარმაქსიზი [21, გვ. 115; 6, გვ. 48; 11, ცხრილი 2; 39, გვ. 389; 28, გვ. 123; 20, გვ. 93], ხოლო მეორეს მხრივ, კავკასია მდებარეობს მეცხენეობის განვითარების ორ უძველეს კერას – სამხრეთ რუსეთის სტეპებსა და წინა აზიას – შორის [52, გვ. 324-327]. მკვლევართათვის ოსტეოლოგიური მასალის მიხედვით გარეული და შინაური ცხენის გარჩევა ხშირად საკმაოდ ძნელია [17, გვ. 64], მაგრამ ეს არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ მტკვარ-არაქსისა და მისი წინამორბედი ხანის ძეგლებზე მოპოვებული ცხენის ძვლები უცილობლად გარეულად მივიჩნიოთ. ვფიქრობთ პირიქით. თუ გავითვალისწინებთ ჩვენს ხელთ არსებულ მონაცემებს, ლოგიკურია ვიგულისხმოთ, რომ ადრესამიწათმომქმედო კულტურის ძეგლებზე – არუხლო I, წოფი [18, 39; 17, გვ. 61] აღმოჩენილი ძვლები, რომლებიც გარეული ცხენის ძვლებადაა მიჩნეული, მოშინაურებულ ცხენს ეკუთვნოდეს. ასეთი ვარაუდი მართებულად მიგვაჩნია იმის გამოც, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მტკვარ-არაქ-

სის კულტურის გავრცელების რეგიონში მოშინაურებული ცხენის ძვლები გვხვდება არა ერთ ძეგლზე. ამ ხანის ძეგლებზე გვხვდება ცხენის სკულპტურული გამოსახულებები - ნახიჭევანის ქიულ-თეფე, ენშიაძინის ქიულ-თეფე, შენგავიტი [39, გვ. 387; 9, ნახ. 16; ტაბ. XXVII]. განსაკუთრებით საყურადღებოა ავჭალაში აღმოჩენილი მტკვარ-არაქსის ხანის სამარხი, სადაც თიხის ჭურჭელთან ერთად აღმოჩნდა ცხენის ჩონჩხი. ეს შემთხვევა ამიერკავკასიაში სამარხში ცხენის ჩატანების უძველეს ფაქტს წარმოადგენს [14, გვ. 30].

თრიალეთის ყორღანებიდან მომდინარე ოსტეოლოგიური მასალის საგანგებო შესწავლის შედეგად ცხენის ძვლები დადასტურდა და № 1, 6, 8, 10, 17 ყორღანებში [26, გვ. 101]. გარდა ამისა, ცხენის ძვლები აღმოჩენილია შუა ბრინჯაოს ხანის ზველის №1 და №2 ყორღანებში [16, გვ. 122]; ღორი - ბერდის №6 სამარხში [23, გვ. 20]; უზერლიკ თეფეს ნასახლარზე [31, გვ. 416]. გვიანბრინჯაოს ხანიდან ცხენი ფართოდ არის გავრცელებული და ძირითადად გამოწვევ ძალად გამოიყენება. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ადრესამიწათმოქმედო კულტურიდან მოკიდებული გვიანბრინჯაოს ხანის ჩათვლით, ამიერკავკასიაში ცხენის მოშინაურების უწყვეტი ჯაჭვი ჩანს. გვიანბრინჯაოს ხანაში კი ლჭაშენ-წითელგორის არქეოლოგიური კულტურის გავრცელების რეგიონი მეცხენეობის განვითარების ერთ-ერთ უძლიერეს კერას წარმოადგენს.

საქართველოს ტერიტორიაზე ადრებრინჯაოს ხანიდანვე ფიქსირდება ეტლის გამოყენებაც. ბ. კუფტინის თვალსაზრისით, საჩხერეში აღმოჩენილ, აღნიშნული პერიოდის ერთ-ერთ ქინძისთავზე ხარის რქისებური შვერილი ორთვალი ეტლში შებმული ხარის პირობითი გამოსახულებაა [30, გვ. 14, ნახ. 2]; რამდენიმე საკინძის თავი ღერძაყრილ ბორბლებს გამოსახავს, ხოლო ორს ოთხთვლიანი ბორბლის ფორმა აქვს [30, გვ. 14, ნახ. 22, 5, 7]. ოთხბორბლიანი ეტლის ნაშთი შემორჩენილია ძვ.წ. III ათასწლეულით დათარიღებულ წნორის ყორღანშიც [22, გვ. 40]. იგივე პერიოდისაა ბედენის №5, 8, 10 ყორღანებში აღმოჩენილი ხის ეტლები [5, გვ. 40, ტაბ. XXI, XXXIX; გვ. 93-94, ნახ. 34-35; ტაბ. XVII<sub>3-6</sub>, X II<sub>1-2</sub>; გვ. 99, ტაბ. X IV, X V<sub>1-2</sub>]. ხის ეტლის არსებობა ივარაუდა ბ.

კუფტინმა თრიალეთის №11 ყორღანში, მკვლევარს ამგვარი დასკვნის საშუალება მისცა აქ აღმოჩენილმა ღარისებურმა ჩაღრმავებამ, რომელშიც ხის ნაშთი იყო შემორჩენილი [29, გვ. 23].

ასეთივე ღარისებური ჩაღრმავეებია ე.წ. მწვანე ყორღანში და აქაც ეტლის არსებობა ივარაუდება. ყველა ეს ძეგლი ე.წ. ბედენურ კულტურას მიეკუთვნება.

ეტლზე დაკრძალვის ტრადიცია გრძელდება შუა ბრინჯაოს ხანაშიც. ოთხბორბლიანი ხის ეტლები აღმოჩენილია თრიალეთში, ადგილ საბიდ-ახნას №5 და 29 ყორღანებში [12, გვ. 77; 26, გვ. 101, ტაბ. 91] და დმანისის რაიონში, სომხეთის მოსაზღვრე, სოფ. ირგანჩაის №1 ყორღანში, ირგანჩაის №2 ყორღანში კი ეტლის ორი თვალი დადასტურდა [27, გვ. 530].

ცხენისა და ეტლის სამარხში ჩატანების ტრადიციას ინარჩუნებს გვიანბრინჯაოს ხანის ლჭაშენ-წითელგორული არქეოლოგიური კულტურის ძეგლები. ცხენის ძვლები აღმოჩენილია ლჭაშენსა და ღორი-ბერდში. ლჭაშენის №2 და 8 ყორღანები, [35, გვ. 152]; ღორი-ბერდის №9 სამარხი. აზერბაიჯანში, ბორსუნლუს ყორღანში რვა ცხენის ჩონჩხი დადასტურდა [24, გვ. 433-484]. საგანგებო ყურადღებას იქცევს არაღეთის ორგორის ყორღანი, რომლის ორმოც ხელნაწი ეტლის ფორმას იმეორებდა, ორმოს ცენტრში კი აღმოჩნდა ორი ცხენის ჩონჩხი წრიულსაყბურიანი ლაგმებით [3, გვ. 65].

ლჭაშენ-წითელგორული არქეოლოგიური კულტურის მდიდრულ სამარხებში ხშირია ხის ეტლების ჩატანება, რომლებიც რიგ შემთხვევაში მიცვალებულის დასაკრძალვად გამოიყენებოდა. ხის ეტლები აღმოჩნდა ლჭაშენის №№1, 2, 3, 8-11 ყორღანებში [35, გვ. 146-147, ნახ. 1-3, 6-10]. აქედან რამდენიმეში (№№9-11) ორი ეტლი დაფიქსირდა [36, გვ. 139, ნახ. 143]. ეტლზე დაკრძალვა დადასტურებულია ლჭაშენისა - №10 და გეტაშენის [32, გვ. 192-195] ყორღანებში. გარდა ამისა, ლჭაშენსა და ღორი-ბერდში აღმოჩენილია ბრინჯაოსაგან დამზადებული საბრძოლო ეტლში შებმული ცხენის სკულპტურული გამოსახულებები - ლჭაშენის №1 და 9 ყორღანები, [35, ნახ. 8; 37, ნახ. 24] ღორი-ბერდის №7 სამარხი, [23, გვ. 27]. საფიქრებელია, რომ გვიანბრინჯაოს ხანის დასაწყისიდან ამიერკავკასიაში ცხენი უკვე

ძირითად გამწვევ ძალას წარმოადგენდა. ასეთი ვარაუდის საშუალებას გვაძლევს წყვილი ლაგმების შემცველი კომპლექსები. თითო წყვილი აღმოჩენილია ბეშთაშენის №13 [28, გვ. 327, ტაბ. X VI], ჭალის №1 [43, გვ. 93], თრელის №117 [15, ტაბ. XV], ორხევის [1, გვ. 128, ტაბ. I224] სამარხებში, ბერიკლდეების №4 ყორღანში [48, გვ. 267, ნახ. 150], არტიკის №79, 433 სამარხებში [45, გვ. 142, 303] და ალავერდში [34, გვ. 225, ტაბ. 88<sub>1-2</sub>]; რამდენიმე წყვილი ლაგამი გვხვდება სასირეთში [50, გვ. 105] და ლჭაშენში [№1-3, 8, 10 ყორღანები; 37, ნახ. 25]. ჩვენთვის არ არის ცნობილი სპეციალისტების მიერ გათხრილი და ერთი ლაგმის შემცველი არცერთი კომპლექსი.

სამარხში ეტლის ჩატანების დამამტკიცებელი საბუთია ე.წ. კაგები – თრელი, [15, ტაბ. XV]; ორხევი, [1, ტაბ. I22]; ბეშთაშენი [25, ტაბ. X, X VI]; სასირეთი [50, გვ. 103] და რქისებური ნივთები – ბერიკლდეები, ღორი – ბერდი, [23, ტაბ. V<sub>1-3</sub>] ლჭაშენი, აცარატი, [34, ტაბ. X<sub>2</sub>], რომლებიც უძველეს იყო დამაგრებელი და საგულისხმოა, რომ აღვირის გასაყრელად იხმარებოდა [ტაბ. III].

მდიდრულ კომპლექსებში ეტლს უნდა გულისხმობდეს ასევე წყვილი ცხენის ძვლების არსებობა (წითელგორის №1 ყორღანი – ოთხი ცხენი; წითელგორის №2 ყორღანი – ორი ცხენი) და ღუზისებურსადგარიანი ცხოველისა და ფრინველის სკულპტურული გამოსახულებები, რომლებიც ეტლის ხელნაწე დასამაგრებლად იყო განკუთვნილი (წითელგორები, ლჭაშენი, აცარატი, ღორი – ბერდი, არტიკი) (ტაბ. IV<sub>2,3,5,6</sub>).

ყოველივე ზემოაღნიშნული, ვფიქრობთ, სრულ საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ამიერკავკასიაში აღნიშნულ პერიოდში ცხენი ძირითადად გამოყენებული იყო, როგორც გამწვევი ძალა, პირველ რიგში კი – საბრძოლო ეტლებისა. ამ ვარაუდის მტკიცების საფუძველია ერთის მხრივ ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნული ლაგმების შემცველი კომპლექსები წარჩინებული მეომრის სამარხებიდან მომდინარეობენ, ხოლო მეორეს მხრივ – ამიერკავკასიაში აღმოჩენილი ამ დროის ცხენიანი ეტლის სკულპტურული გამოსახულებები საბრძოლო ეტლებს წარმოადგენენ. დაფიქსირებულია მიცვალებულის ეტლზე დაკრძალვის შემთხვევებიც.

ყოველივე ამის გამო კი, ვფიქრობთ, გარკვეული საფუძველი გვაქვს წითელგორების როგორც პირველ, ისე მეორე ყორღანში ცხენებშებმული ეტლის არსებობა ვივარაუდოთ. სავარაუდებელია აგრეთვე, რომ ამიერკავკასია მეცხენეობის ჩასახვა-განვითარების ერთ-ერთ უძველეს და ძლიერ კერას წარმოადგენდა. ენეოლითიდან მოკიდებული გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ჩათვლით აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მეცხენეობის განვითარების უწყვეტი ჯაჭვი ჩანს. განსაკუთრებით ფართოდ კი მეცხენეობა გვიანბრინჯაოს ხანიდან ვითარდება; აღნიშნულ პერიოდში ცენტრალური ამიერკავკასია მისი განვითარების ერთ-ერთ ძლიერ კერას წარმოადგენს. თრელის №65 სამარხში აღმოჩენილი მხედრის გამოსახულებიანი ბრინჯაოს აბზინდის მიხედვით სავარაუდოა, რომ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მხედრონს უკვე ძვ.წ. XIII ს-დან ეყრება საფუძველი [10, ტაბ. VII]

## I. Sultanishvili

### HORSE AND CHARIOT IN TSITELGOREBI BARROWS

(Summary)

In 1961 R. Abramishvili excavated two barrows in v. Tsitelgori, Lagodekhi district. These barrows belong to the circle of culture that embraced the whole of Armenia, western Azerbaijan and the southern, south-western, and eastern areas of Georgia. Barrows containing diverse and brilliant material determining this culture have been discovered at v. Lchashen on the shore of lake Sevan, in Armenia, and at v. Tsitelgori, lying in the extreme northeast of Georgia. Hence, the circle of material culture to which this site belongs has been called Lchashen-Tsitelgori archaeological culture. There is some ground to consider Eastern Anatolia within the boundaries of diffusion of this culture, for the features characteristic of the Lchashen-Tsitelgori culture are genetically linked to the burial customs attested in the so-called royal graves of Alaca-Hüyük, in Central Anatolia. It is also interesting that the sculptures connected with the chariot, characteristic of this culture, evince functional and stylistic similarity with the zoomorphic plastic art of the above-mentioned royal graves of Alaca-Hüyük.



Bones of horses were discovered in two barrows of Tsitlgorebi: of four horses in the first barrow, and of two in the second barrow. Remains of wooden boards were cleaned under the deceased in the second barrow. In front of the deceased, at the distance of half a metre from him, the remains of wood was of semicircular outline, producing the impression of the trace of a wheel. This led the excavators to assume that the deceased was placed on a chariot. On the basis of the research carried out by me, I believe there is good ground to assume that wooden chariots had been placed in both barrows of Tsitlgorebi, with horses harnessed to them.

Beginning with the period of early farming culture to the Late Bronze Age inclusive, we find an unbroken chain of development of domesticated horse. In the Late Bronze Age, Central Caucasus or the region of diffusion of the Lchashen-Tsitlgorebi archaeological culture constituted one of the major centres of development of horse-breeding. In this period, the horse was largely used in Transcaucasia as a draught animal – primarily in war chariots. This assumption is based, on the one hand, on the fact that the complexes containing the above bits come from the burials of noble warriors, and on the other, the sculptural representations of horsed chariots of this period, discovered in Transcaucasia, are war chariots. Cases of burying the deceased on the chariot are also on record. It should also be assumed that Transcaucasia was one of the most ancient and powerful centres of the origin and development of horse-breeding. Beginning with the Aeneolithic period to the Late Bronze - Early Iron Age inclusive, an uninterrupted chain of development of horse-breeding is in evidence in Eastern Transcaucasia. Horse-breeding appears to have developed especially broadly from the Late Bronze Age; in the cited period Central Transcaucasia represented one of the powerful seats of its development. According to a bronze buckle with a representation of a rider, discovered in burial 65 of Trelis, it should be assumed that horse cavalry originated in Eastern Transcaucasia from the 13<sup>th</sup> cent. B.C.

### ლიტერატურა

1. აბრამიშვილი რ. სამთავროს სამართ-  
ვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოსა და  
რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების  
დათარიღებისათვის. - სსმმ, ტ. XIX-A, 1957,  
გვ. 116-139.

2. აბრამიშვილი რ. წითელგორების  
გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეო-  
ლოგიური ძეგლები; არქეოლოგიური გათხრე-  
ბი კახეთში (ხელნაბეჭდი).

3. გაგოშიძე ი., ქორიძე ე., გოგიჩაიშვილი ა.  
შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცი-  
ის მიერ 1979-1981 წწ. საველე მუშაობის  
ანგარიში.

4. გამრეკელი მ. თრიალეთის ყორღა-  
ნების არქეოლოგიური მასალის განსაზღვ-  
რა, - სსმმ, XXX-A, 1977, გვ. 3-14.

5. გობეჯიშვილი გ. გვიანი ბრინჯაოსა  
და ადრეული რკინის ხანა საქართველოში,  
საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ.  
1977, გვ. 243-255.

6. გობეჯიშვილი გ. ბედენის გორა-  
სამარხების კულტურა. თბ., 1981.

7. გომელაური ნ. ძვ.წ. XIV-XII სს. ცენ-  
ტრალური ამიერკავკასიის მცირე კლასტი-  
კის გენეზისის საკითხისათვის; ქართული  
ხელოვნებისადმი მიძღვნილი VI საერთაშო-  
რისო სიმპოზიუმში, მოხსენებათა თეზისები,  
1989, გვ. 13-14.

8. გრიგოლია გ. ქვემო ქართლის პალეო-  
ლითი, დამარხული გამოქვაბულები, წიგნი  
I, თბ., 1963.

9. თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-  
ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, თბ.,  
1966, გვ. 34-47.

10. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები,  
I, რ. აბრამიშვილის რედაქტორობით, თბ.,  
1978.

11. ნიორაძე მ. სამერცხლე კლდის მღვი-  
მე, თბ., 1975.

12. ჯაფარიძე თ. არქეოლოგიური გათხ-  
რები თრიალეთში. თბ., 1969.

13. ჯაფარიძე თ. ქართველ ტომთა ეთნი-  
კური ისტორიის საკითხისათვის. თბ., 1976.

14. ქორიძე დ. თბილისის არქეოლოგიური  
ძეგლები, თბ., 1955.

15. Абрамишвили Р. М. Гогодзе Э.  
Основные итоги археологической экспеди-  
ции Дигомского ущелья. - ПАИ в 1975 г.,  
1979, гв. 34-38.

16. Абрамишвили М. Р. Этнокультур-  
ные связи Закавказья с Малой Азией и  
Эгейским миром в середине II тысяч. -  
Душетская научная конференция. Тб.,  
1984, гв. 119-123.

17. Бендукидзе О. Г. О фауне позвоночных из Цопской энеолитической стоянки. - *ՁԵՅ*, VII, 1979, թթ. 61-65.
18. Бендукидзе О. Г. Об остатках диких позвоночных животных из Арухло I. - *ՁԵՅ*, VII, 1979, թթ. 39-45.
19. Бунятов Т. Земледелие и скотоводство в Азербайджане в эпоху бронзы, Баку 1957.
20. Бурчак-Абрамович Н. И. Фауна эпипалеолитической стоянки в Триалети. - *Сообщения АН ГССР*, т. 12, 2, 1951, թթ. 109.
21. Векуа А.К. Ископаемые позвоночные Цуцхватских пещер. Изучение пещер Колхиды. Цуцхватская многоярусная пещерная система Тб. 1978.
22. Дедабришвили Ш. Курганы Алазанской долины, Тб., 1979.
23. Девиджян Г. Г. Лори-Берд, Ер., 1981.
24. Джапаров Г. Ф. Исследования в Карабахе. - *АО* 1982 года, 1984, թթ. 433-444.
25. Есаян, С. А. Геворкян Э. М. Развитие удил в древней Армении. - *Культурный прогресс в эпоху бронзы и раннего железа*. Ер., 1982.
26. Жоржикашвили Л. Гогодзе Э. Памятники Триалетской эпохи ранней и средней бронзы. Тб., 1974.
27. Кахиани К. К. Раскопки на ново-стройках Дманисского р-на. - *АО*, 1985 года, 1987, թթ. 530.
28. Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941.
29. Куфтин Б. А. Археологические раскопки 1947 г. в Цалкинском р-не, Тб. 1948.
30. Куфтин Б. А. Результаты работ маршрутной археологической экспедиции в бассейне рек Лиахви, Прони, Квирила и средней Риони в 1951.
31. Кушнарева К. Х. Поселение эпохи бронзы на холме Узерлик-тере около Агдама. - *МИА*, 67. 1959, թթ. 388-429.
32. Лалаян У. А. Раскопки могильников в Советской Армении, Ер., 1931.
33. Липс Ю. Происхождение вещей, М., 1954.
34. Мартиросян А. Армения в эпоху бронзы и раннего железа, Ер., 1964.
35. Мнацаканян А. О. Раскопки курганов на побережье оз. Севан в 1956 г. - *СА*, 1957, թթ. 149-152.
36. Мнацаканян А.О. Древние повозки из кургана бронзового века на побережье оз. Севан, - *СА*, 1960, թթ. 139-152.
37. Мнацаканян А. О. Лчашенские курганы, - *КСИА*, 85, 1961, թթ. 66-72.
38. Мунчаев Р. М. Бронзовые псалии маикопской культуры и проблема возникновения коневодства на кавказе. *Кавказ и восточная Европа в древности* - М. 1973, թթ. 71-76.
39. Мунчаев Р. М. Кавказ на заре бронзового века. М. 1975.
40. Мунчаев Р. М. Энеолит Кавказа - Энеолит СССР. թթ. 45.
41. Нариманов И. Г. К истории древнейшего скотоводства в Азербайджане. *труды АН АЗССР-Т 33*, Баку.
42. Пиотровский Б. Б. Археология Закавказья, Л. 1949
43. Тушишвили. И, Амиранашвили Д. Итоги работ археологической Экспедиции Алгетского ущелья - *ПАИ* в 1976, 1979, թթ. 91-97.
44. Хандазян Э. Культура времен Армянского нагорья в III тысяч до н.э. Ер., 1967.
45. Хачатрян Т. С. Материальная культура древнего Артика, Ер., 1963.
46. Цалкин Б. И. Древнейшие домашние животные восточной Европы, М. 1970.
47. Цицишвили А. Кости животных с поселения Илто-ТКАЭ, I, 1969, թթ. 76-89.
48. Abramischwili R. und M. *Archaeologische Denkmaler in Tbilissi. Unterwegs zum goldenen vliis*, Saarbruken, 1995, թթ. 187-205.
49. Makalathia S. *Decouvertes archeologiques en Georgie en 1930*, Wien, 1932, թթ.
50. Nioradradze G. *Der Verwaharfund von Kvemo-Sasirethi*, ESA= Helsinki, 1932, թթ. 82-97.
51. Schaeffer C. F. - *Stratigraphie comparee et cronologie de L. Asie, Occidentall*, London, 1948.
52. Tclegin D. - *Uber eiren der allesten Pferderucherde in Europa*, Belgrad.
53. Hancar F. - *Das pferd in prahistorische und fruhistorische zeit*, Wien, 1955.

### ტაბულების განმარტება

- ტაბ. I - წითელგორის № 1 ყორღანი.  
 ტაბ. II - წითელგორის № 2 ყორღანი.  
 ტაბ. III - კავებისა და ე.წ. რქისებური ნივთების დამაგრებისა და გამოყენების წესი.

ტაბ. IV - 1 ბრინჯაოს აბზინდა მხედრის გამოსახულებით (თრელის № 65 სამარხი); 2, 3, 5-6 - სკულპტურები ღუზისებურ სადგარზე: 2 - სასირეთის განძი, 3 - ღჭაშენის № 11 ყორღანი, 5 - არტიკის № 79 სამარხი, 6 - ღჭაშენის № 3 ყორღანი; 4, 7, 8 - ლავგები და სააღვირე კავები: 4 - თრელის № 117 სამარხი, 7 - ბეშთაშენის № 13 სამარხი, 8 - სასირეთის განძი.

### Description of the plates


Pl. I - barrow 1 of Tsitelgori.


Pl. II - barrow 2 of Tsitelgori.

Pl. III - rule of fastening and use of hooks and so-called horn-like items.

Pl. IV - 1, bronze buckle with a representation of a rider (burial 65 of Treli); 2, 3, 5-6 sculptures on an anchor-like support, 2 - Sasireti treasure, 3 - barrow 11 of Lchashen, 5 - burial 79 of Artik, 6 - barrow 3 of Lchashen; 4, 7, 8 - bits and bridle hooks: 4 - burial 117 of Treli 7 - burial 13 of Beshtasheni; 8 - Sasireti treasure.

ტაბ. I






10  
 11  
 12  
 13  
 14  
 15  
 16  
 17  
 18  
 19  
 20  
 21  
 22  
 23  
 24  
 25  
 26  
 27  
 28  
 29  
 30  
 31  
 32  
 33  
 34  
 35  
 36  
 37  
 38  
 39  
 40  
 41  
 42  
 43  
 44  
 45  
 46  
 47  
 48  
 49  
 50  
 51  
 52  
 53  
 54  
 55  
 56  
 57  
 58  
 59  
 60  
 61  
 62  
 63  
 64  
 65  
 66  
 67  
 68  
 69  
 70  
 71  
 72  
 73  
 74  
 75  
 76  
 77  
 78  
 79  
 80  
 81  
 82  
 83  
 84  
 85  
 86  
 87  
 88  
 89  
 90  
 91  
 92  
 93  
 94  
 95  
 96  
 97  
 98  
 99  
 100

1  
 2  
 3  
 4  
 5  
 6  
 7  
 8  
 9  
 10  
 11  
 12  
 13  
 14  
 15  
 16  
 17  
 18  
 19  
 20  
 21  
 22  
 23  
 24  
 25  
 26  
 27  
 28  
 29  
 30  
 31  
 32  
 33  
 34  
 35  
 36  
 37  
 38  
 39  
 40  
 41  
 42  
 43  
 44  
 45  
 46  
 47  
 48  
 49  
 50  
 51  
 52  
 53  
 54  
 55  
 56  
 57  
 58  
 59  
 60  
 61  
 62  
 63  
 64  
 65  
 66  
 67  
 68  
 69  
 70  
 71  
 72  
 73  
 74  
 75  
 76  
 77  
 78  
 79  
 80  
 81  
 82  
 83  
 84  
 85  
 86  
 87  
 88  
 89  
 90  
 91  
 92  
 93  
 94  
 95  
 96  
 97  
 98  
 99  
 100

1  
 2  
 3  
 4  
 5  
 6  
 7  
 8  
 9  
 10  
 11  
 12  
 13  
 14  
 15  
 16  
 17  
 18  
 19  
 20  
 21  
 22  
 23  
 24  
 25  
 26  
 27  
 28  
 29  
 30  
 31  
 32  
 33  
 34  
 35  
 36  
 37  
 38  
 39  
 40  
 41  
 42  
 43  
 44  
 45  
 46  
 47  
 48  
 49  
 50  
 51  
 52  
 53  
 54  
 55  
 56  
 57  
 58  
 59  
 60  
 61  
 62  
 63  
 64  
 65  
 66  
 67  
 68  
 69  
 70  
 71  
 72  
 73  
 74  
 75  
 76  
 77  
 78  
 79  
 80  
 81  
 82  
 83  
 84  
 85  
 86  
 87  
 88  
 89  
 90  
 91  
 92  
 93  
 94  
 95  
 96  
 97  
 98  
 99  
 100







1




2



3




4




5



6



7



8

## ნინო გომელაური

### სამთავროს კულტურის მცირე პლასტიკის ბენეფისის საკითხისათვის

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ბრინჯაოს მცირე პლასტიკა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძირითადად ლჭაშენ-წითელგორული და სამთავროული არქეოლოგიური კულტურების მხატვრული ძეგლებითაა წარმოდგენილი.<sup>1</sup> ეს სკულპტურები სხვადასხვა ტრადიციებზეა აღმოცენებული, და შესაბამისად, განსვავებულ მხატვრულ თვისებათა შემცველიცაა. ლჭაშენ-წითელგორის კულტურის ქანდაკებების განვითარების ეტაპებს თვალი არ ედევნება ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მის წინამორბედ მასალებში, რის გამოც ამ კულტურის მხატვრულ ტრადიციათა დასაბამი აღნიშნული ტერიტორიის გარეთაა საძიებელი [5, გვ. 12-13; 6, გვ. 3-4], მაშინ, როდესაც სამთავროული სკულპტურები გენეტიკურად ადგილობრივ მხატვრულ ძეგლებს უკავშირდება.

ლჭაშენ-წითელგორის არქეოლოგიური კულტურის სამარხეულ ინვენტარს შორის აღმოჩენილი ბრინჯაოს სკულპტურების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მხედველობაში მაქვს მათი სიმრავლე, შესრულების მაღალი მხატვრული და ტექნიკური დონე [21, ტაბ. XXVII, XXVIII<sub>1,2,3,29-33</sub>; 27, გვ. 95, 110], შეიძლება ითქვას, რომ ბრინჯაოს პლასტიკური ხელოვნების აყვავება საქართველოს ტერიტორიაზე სწორედ ამ კულტურის მატარებელ ეთნოსთან უნდა იყოს დაკავშირებული (ტაბ. 123). სახვით ტრადიციებთან ერთად პლასტიკური ხელოვნების აღმავლობის მიზეზი მაღალგანვითარებული ბრინჯაოს მეტალურგიული კულტურა უნდა ყოფილიყო, რომელსაც ფლობდა ამ არქეოლოგიური კულტურის მატარებელი ეთნიკური ელემენტი. ბრინჯაოს მეტალურგიის საქმეში მიღებული მდიდარი გამოცდილება გახდა საფუძველი სწორედ იმ სიახლისა, რომელიც შეიტანა აღნიშნულმა ეთნოსმა ამ ლითონისაგან რთული წესით ნივთა ჩამოსხმის ტექნიკაში. ნივთის სიმსუბუქისა,

და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ძვირფასი ლითონების გვერდით იმდროისათვის არანაკლებ ძვირადღირებული ლითონის - ბრინჯაოს - ეკონომიის მიზნით, მათ მიერ მზადდებოდა გამჭოლი ლიბებით მორთული ფულუროსხეულიანი ნაკეთობები - იარაღი, საკულტო დანიშნულების ნივთები, რომელთა შორისაა ზოომორფული სკულპტურებიც.

საქართველოში გამოვლენილ მასალებში ამ სიახლის გაზიარებას სამთავროულ კულტურაში ედევნება თვალი. ლჭაშენ-წითელგორის კულტურის ფულუროსხეულიანი ქანდაკებებისაგან განსხვავებით (ტაბ. 12) სამთავროული სკულპტურები ღრუმეცლიანია (ტაბ. 11), რითაც ის მკაფიოდ გამოირჩევა, მისი თანადროული, სხვა კულტურულ წრეში ფართოდ გავრცელებული, მარტივი წესით დამზადებული მთლიანადსხმული ქანდაკებებისაგან. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სამთავროულ პლასტიკაში გამარტივების გზით გრძელდება ქრონოლოგიურად მის წინამორბედ სკულპტურათა დამზადების ტექნიკური ტრადიციები.

სამთავროულ სკულპტურათა დაკავშირების საფუძველს იძლევა საერთო თემა და ქანდაკებათა დამზადების წესი. ფიგურათა იკონოგრაფიული ნიშნები, ცხოველის ხეშოთ მიმართული თავი, ფართოდ დაღებულ პირი, უკან გადახნეკილი სხეული მიუთითებს, რომ ისინი წარმოგვიდგენს ირემს მყვირალობის დროს. უნდა ითქვას, რომ ეს თემა სრულიად უცხოა ლჭაშენ-წითელგორის კულტურის ქანდაკებებისათვის. თემატურ მხარესთან ერთად ეს სკულპტურები ტიპოლოგიური ნიშნითაც ერთიანდება. ფიგურები ჩამოსხმულია, თუმცა იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ცხოველის სხეული შედგენილია გადაღუნული ფირფიტისაგან, რომელიც ფეხებთანაა გადაბმული (ტაბ. 1). თემა და აღნიშნული ტიპოლოგიური თავისებურება - ცხოველის ღრუ მეცველი, ქვეშოთკენ გაერთიანებული ფეხები - თან გასდევს ამ ჯგუფის ნაკეთობებს მისი არსებობის მთელ მანძილზე (ძვ.წ. XII ს. II ნახ. - ძვ.წ. VI ს.), თუმცა იკონოგრაფიული და სტილური თვალსაზრისით გარკვეულ

<sup>1</sup> მაღლობა მინდა მოვახსენო სსშ-ის თანამშრომლებს ლ. ლლონტს, ც. დავლიანიძეს, ლ. ფანცხავას, მ. კეცხოველს მუხეუმის ფონდებში მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის.

ცვლილებასაც განიცდის. აღნიშნული ცვლილება მიანიშნებს იმ გავლენებზე, რომელიც აისახა სკულპტურათა განვითარების სხვადასხვა ეტაპზე დროსა და სივრცეში, მათი გავრცელების განსხვავებულ ქრონოლოგიურ პერიოდსა და ტერიტორიულ საზღვრებში. კერძოდ, მისი აღრეული ნიშნულები, რომლებიც ძირითადად გვხვდება მტკვრის ხეობის გასწვრივ მცხეთასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, უკავშირდება კახეთისა და მის მომიჯნავე ჩრდილო-დასავლეთი აზერბაიჯანის მასალებს, მაშინ როდესაც გვიანდელი მაგალითები გავრცელებული ძირითადად, ქსნისა და არაგვის ხეობებში, კახეთის მასალებთან მათი დამოკიდებულების გარდა გარკვეულ სიახლოვეს იქნეს კოლხური წრის ძეგლებთანაც.

საგულისხმოა, რომ თუ სამთავრული სკულპტურები დამზადების ტექნიკით უკავშირდება ლჭაშენ-წითელგორის კულტურის ლითონის ნაწარმს, ქანდაკებათა იკონოგრაფიული და სტილური ნიშნები მიუთითებს, რომ მათში გამოყენებული თემა და ამ თემისათვის მოქმედი მხატვრული ფორმა ნასესხებია აღნიშნული კულტურის ლოკალური კერისათვის დამახასიათებელი გრაფიკული გამოსახულებებისაგან, რომელიც გვხვდება სკულპტურათა წინარე ხანებში კახეთისა და ჩრდილო-დასავლეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, თიხის ჭურჭელსა<sup>2</sup> და იარაღზე, ე.წ. შედგენილტარიან სატევარსა და ქედაბეკურ სატევარ-მახვილებზე<sup>3</sup> (ტაბ. II-5).

სკულპტურასა და გრაფიკაში საერთო იკონოგრაფიული ნიშნებითა და მინიმალური მხატვრული საშუალებებით ცხოველის

<sup>2</sup> წითელგორი, ყ. 2 (სსმ კოლ. 26-61), მელი-დელე 1, სამლოცველო (13, ტაბ. XXXVI), ღრმა-დელე, შემთხვევითი აღმოჩენა (14, სურ. 25), ნაღობირაგორები, სამ. 3, (თამ-ის ფონდები), მეხადგვერდი, სამ. 45, ნატახტარი, სამ. 31 (მაი 413, 442. მადლობას უხდის მცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომლებს ვ. ნიკოლაიშვილს, ნ. ღლონტის გაწეული დახმარებისათვის), ელისავედპოლის გუბერნია (19, ნახ. 11, 16, 26).

<sup>3</sup> ანთოკი, ტიბაანი, ქედელი, სამ. 1, შალაური, თელავთან, ფევერები, ყ. 10 (29, ტაბ. 37), ელენდორფი, ყ. 1 (18, ტაბ. VI,ა), ჯელაღ-ოღლი.

მეტყველი სახეა დახატული (ტაბ. II). ყვირალობის დროს შინაგანი დაძაბულობის გამომხატველია ირმის ზემოთ მიმართული თავი, ფართოდ დაღებული პირი, აპრეხილი კუდი, წელში ძლიერ გაზნექილი სხეული. მოძრაობას გადმოსცემს ფიგურის უკან გადახრილი ტანი, წინ გაშვერილი წინა და მუცლისკენ მიმართული უკანა ფეხები.

თემატურ და იკონოგრაფიულ მსგავსებასთან ერთად სკულპტურულ და გრაფიკულ გამოსახულებებს ანათესავებს სტილური თავისებურებანიც - სხარტი და ლაკონური მხატვრულ-სამეტყველო ენა, ისევე როგორც ფიგურათა მკაფიო სილუეტური ხასიათი.

სამთავრულ სკულპტურათა შედარება მის წინამორბედ ლჭაშენ-წითელგორის კულტურის პლასტიკასთან თვალნათლივს ხდის აღნიშნულ ქანდაკებებში არსებულ განსხვავებულ მხატვრულ მიზანდასახულობას, და ამასთან, იმ საერთო მხატვრულ მიდგომას, რომელიც შეინიშნება გრაფიკულ გამოსახულებებსა და სამთავრულ პლასტიკას შორის.

სამთავრულ ქანდაკებათა მოქმედებაში გამოსახული ფიგურებისაგან განსხვავებით, ლჭაშენ-წითელგორის კულტურის მხატვრული ნაკეთობები, როგორც ზემოთაც ითქვა, მშვიდად მდგარი ცხოველის სახეს წარმოადენს (ტაბ. 13). ამ ნაკეთობებში სილუეტის მხატვრულ განსახდურულობასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სხეულის სტრუქტურის გამოვლენას, ფორმათა წონისა და სიმკვრივის, ცხოველის შებერილი, სავსე მოცულობების ჩვენებას, მაშინ როდესაც სამთავრულ სკულპტურებში მოცულობითობა, ფორმათა სხეულებრივობა ნაკლებადაა გამოხატული; ამასთან, ფიგურა და მასში ნაჩვენები მოქმედება მხოლოდ სილუეტში დანახული ფორმებითაა გამოვლენილი. აღნიშნული თავისებურებანი, იკონოგრაფიულ და თემატურ მსგავსებასთან ერთად, ამავე დროს, მოცულობითი ფორმის სიბრტყესთან დაახლოვების ტენდენცია, ის თვისება, რაც სამთავრულ პლასტიკაში მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე შეინიშნება, მიუთითებს, რომ გრაფიკაში შემუშავებული იკონოგრაფიული სქემა სკულპტურულ ფორმათა შესაქმნელადაა გამოყენებული. ეს ფაქტი კი სამთავრულ ქანდაკებებსა და ლჭა-



შენ-წითელგორის არქეოლოგიური კულტურის ლოკალური კერისათვის დამახასიათებელ გრაფიკულ გამოსახულებებს შორის არსებულ გენეტიკურ კავშირზე უნდა მიანიშნებდეს.

მხატვრული თვალსაზრისით გრაფიკულ ფიგურებთან ყველაზე მეტ მსგავსებას სამთავრული პლასტიკის ადრეული ნიმუშები პოულობს. ეს ქანდაკებები სამთავრული არქეოლოგიური კულტურის მდიდრულ, სოციალურად დაწინაურებულ პირთა სამარხებშია ნაპოვნი. სამთავროს სამაროვანზე ასეთი სამარხი ხუთია. მათგან ყველაზე ადრეული,<sup>4</sup> რ. აბრამიშვილის მიერ სამთავროს სამაროვნის მასალების მიხედვით შემუშავებული ქრონოლოგიური სკალის მიხედვით, ძვ.წ. XII ს-ის II ნახ. განეკუთვნება [2, გვ. 328, 330], დანარჩენი კი,<sup>5</sup> მათ მომდევნო ხანას, ძვ.წ. XI-X სს-ს<sup>6</sup> [1, გვ. 136].

დღევანდელი მონაცემებით ამ ჯგუფის სკულპტურათა ტერიტორიული გავრცელების არეალი, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, მცხეთა და მისი მიმდებარე რეგიონია - სამთავრო,<sup>7</sup> ნარეკვაი,<sup>8</sup> წეროვანი,<sup>9</sup> სათოვლე ნაბარები,<sup>10</sup> ალაიანი<sup>11</sup> (რუკა). სკულპტურათა შემცველ სამარხთა თარიღი და მათი ლოკალურ რაიონში თავმოყრა მიუთითებს, რომ ქანდაკებათა წარმოშობის კერა, და შესაბამისად, სამთავრუ-

ლი კულტურის მატარებელი ეთნოსის რელიგიური თუ სოციალური ნიშნით გამორჩეულ პირთა ადგილსამყოფელი, სწორედ ეს რეგიონი უნდა ყოფილიყო, თუმცა ამ კულტურის ძეგლები შიდა ქართლის მთელ ტერიტორიაზეა განფენილი.

აღნიშნული სკულპტურები საერთო იკონოგრაფიული და სტილური ნიშნებით ხასიათდება, და ამდენად, შეიძლება ერთ ჯგუფში გავაერთიანოთ (ტაბ. II-11). ამ ჯგუფის (I ჯგუფი) ქანდაკებებისათვის ნიშანდობლივია ცხოველის დაღებულ პირი, ზოგჯერ პირიდან გადმოგდებული ენა. მათში რელიევით ნახვენებია რქის ძირი, სილუეტში გამოკვეთილია გულმკერდისა და წლიქის აღმნიშვნელი ფორმა. სხვა ჯგუფის ქანდაკებებისაგან მათ გამოარჩევს ასევე აპრეხილი კუდი, რომლის ბოლო ზურგზე იკვრება და ყულფის მსგავს ნახვრეტს ქმნის. სკულპტურებს საკიდის ნაცვლად, კისრის ძირში, თვალური ნახვრეტი აქვს. გრაფიკულ ფიგურათა ანალოგიურად I ჯგუფის ქანდაკებები დრეკადი სილუეტითა და დინამიური ფორმებით ხასიათდება (ტაბ. II-11).

სამთავრული პლასტიკის განვითარების შემდგომი ეტაპის ამსახველი ძეგლების გავრცელების არეალი I ჯგუფისაგან განსხვავებულ ტერიტორიულ-ქრონოლოგიურ საზღვრებს მოიცავს. ის გვხვდება ადრეულ სკულპტურათა არსებობის მომდევნო ხანებში, ზოგადად, ძვ.წ. I ათასწ-ის I საუკუნეებში [7, გვ. 27; 22, გვ. 28-34], მათი ტერიტორიული გავრცელება კი სცილდება ადრეულ ქანდაკებათა გავრცელების საზღვრებს, ინაცვლებს ჩრდილოეთით, ძირითადად მოიცავს მდ. არაგვის ზემო წელს, გვხვდება შიდა ქართლის ჩრდილოეთ რეგიონშიც და აღწევს ჩრდილო კავკასიასაც. ამ ჯგუფის (II ჯგუფი) სკულპტურების აღმოჩენის პუნქტები I-საგან განსხვავებით შედარებით მცირერიცხოვანია - ფასანაური,<sup>12</sup> ჩაბარუხი,<sup>13</sup> თლია,<sup>14</sup> ყობანი (რუკა).

<sup>4</sup> სამ. 56 (2, ტაბ. III), სამ. 77 (სსმ კოდ. 12-54:1905-1908), სამ. 96ბ (1, ტაბ. III).

<sup>5</sup> სამ. 208 (სსმ კოდ. 12-54:8800-8802), სამ. 591 (23, ტაბ. V).

<sup>6</sup> იმ მიზეზით, რომ სკულპტურები სამთავროს სამაროვანზე ბოლომორგვადებული მახვილების შემცველი კომპლექსების გარდა აღმოჩენილია ე.წ. ზემოაგვალური ტიპის მახვილების შემცველ კომპლექსებშიც რ. აბრამიშვილის ქრონოლოგიურ სკალაზე დაყრდნობით I ჯგუფის გავრცელების ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად შეიძლება ძვ.წ. IX ს. ვივარაუდოთ (3, ტაბ. II).

<sup>7</sup> ჩამოთვლილი სამარხების გარდა VIII (სსმ).

<sup>8</sup> სამ. 9, 41, 35, 53 (8, ტაბ. VI, XXVII, XXXIV; 9, ტაბ. XVI).

<sup>9</sup> ე.წ. დანგრეული სამარხი (II, ტაბ. X), წეროვანი IV, სამ. 14, 36, 37 (მცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტის ფონდები. მადლობას უხდით ინსტიტუტის თანამშრომელს ე. გავაშელს მასალების მოწოდებისათვის).

<sup>10</sup> სამ. 19 (10, 1579-1581).

<sup>11</sup> 4, ტაბ. I.

<sup>12</sup> ფასანაურის განძი (დსმ), ფასანაური, შემთხვევითი მონაპოვარი (სსმ კოდ. 7-09:4).

<sup>13</sup> ჩაბარუხის განძი (სსმ კოდ. 27-61).

<sup>14</sup> სამ. 349, 451 (საქ. მეცნ. აკად. სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, კოდ. 2836. მადლობას უხდით ბ. ტეხოვს მასალის მოწოდებისათვის).

II ჯგუფის ქანდაკებები განსხვავებული ტიპოლოგიურ-სტილისტური ნიშნებით ხასიათდება (ტაბ. III-6). მათში მეორდება გრაფიკული გამოსახულებებისათვის დამახასიათებელი თემა და ცხოველის იკონოგრაფიული ნიშნები, როგორცაა წელში გაღუნული სხეულის ფორმა, ფეხების დგომა, რომელიც მოძრაობაში მეოფი ირმის სახეს გადმოსცემს, — თუმცა, ამასთან, სკულპტურა გრაფიკასა და I ჯგუფის ქანდაკებებისათვის უცხო იკონოგრაფიული დეტალებითაცაა სახემეცვლილი, რაც ანულებს ადრეული ნიმუშებისათვის დამახასიათებელ ცხოველის მოქმედების მიზანსწრაფულობასა და მათში გამოხატულ შინაგან დინამიკას. მოძრაობის მიმანიშნებელი ცალკეული დეტალების მიუხედავად ფიგურა სტატიკაშია წარმოდგენილი, რასაც ქმნის ირმის ქვემოთ მიმართული თავი, ძირს დაშვებული კუდი, უკანა ფეხების ხაზგასმული ვერტიკალი. აღნიშნული ცვლილებების გარდა ამ ჯგუფის ქანდაკებებში კლებულობს სხეულის ნაწილთა მიმართ გამოსახვის ინტერესიც. ფიგურები იცხრილება დეტალებისაგან. ასე მაგალითად, I ჯგუფის სკულპტურებისაგან განსხვავებით მათში ნახევნები არ არის ცხოველის თვალი, რქის ძირი, წლიქისა და გულმკერდის აღმნიშვნელი ფორმაა. მასთან, შეცვლილია სხეულის ნაწილთა პროპორციული შეფარდებებიც: ირმის კისერი დაგრძელებულია, სხეული ზომასში მნიშვნელოვნად გაზრდილია და შემსხვილებული, რაც არღვევს გამოსახულებაში მასათა წონასწორობას. იკონოგრაფიაში შესამჩნევი ცვლილებები იწვევს, არა მხოლოდ I ჯგუფის სკულპტურებისათვის სახასიათო შინაგანი ექსპრესიის შესუსტებას, არამედ შინაგანი ექსპრესიის შესუსტებას და შინაარსს შორის არსებულ შეუსაბამობასაც. კერძოდ, II ჯგუფის ქანდაკებებში I-საგან განსხვავებით, მხატვრული ფორმა ისეთი სისრულით ვედარ გადმოსცემს მათში ნაგულისხმევ შინაარსს, რაც, როგორც ჩანს, უნდა აიხსნას იმ ფაქტით, რომ ეს ნაკეთობები ქრონოლოგიური და ტერიტორიული თვალსაზრისით თავის პირველწეაროს მნიშვნელოვნად დაშორებულია.

ზემოაღნიშნული ცვლილებები II ჯგუფის ქანდაკებათა გავრცელების ტერიტორიაზე სხვა მხატვრული ნაკადის შეღწევაზე

უნდა მიუთითებდეს, რაც დასტურდება სამთავრული ტრადიციით დამზადებული ვერძისგამოსახულებიანი სკულპტურებითაც, რომელიც II ჯგუფის ნაკეთობათა შემცველ კომპლექსებშია ნაპოვნი (ჩაბარუხის განძი, თლია, სამ. 451, ტაბ III-2). ასალი თემის განენა, რომელიც ჩვეულია კოლხური კულტურისათვის მისი არსებობის ადრეული პერიოდიდანვე, აღნიშნული ჯგუფის სკულპტურათა არსებობის პერიოდში, შიდა ქართლის ჩრდილოეთ რეგიონში კოლხური კულტურის დიფუზიაზე უნდა მიუთითებდეს.

II ჯგუფის ქანდაკებებში გამოიყოფა ქვეჯგუფი, რომელიც სკულპტურათა შემდგომში ჯგუფის ტიპოლოგიურ ნიშნებს ატარებს. ასეთებია ფასანაურის სკულპტურა სტატიკური კომპოზიციით (ტაბ. III-5) და ფასანაურის განძის ქანდაკებები, რომლებშიაც ფუნქციური დანიშნულების ნახვრეტის ნაცვლად ცხოველის ზურგზე საკიდი ყულფია მიმაგრებული (ტაბ. III-6). ნიშან-თვისებათა ასეთი შეთავსება გვაკარაუდებინებს, დროის გარკვეულ მონაკვეთში, II და III ჯგუფის ქანდაკებათა თანაარსებობას.

სამთავრული პლასტიკის განვითარების მომდევნო საფეხურის ამსახველი ძეგლები, რომლებიც განსხვავებული ქვეტიპებით ეახზებენია აღმოჩენილი, ამ განძის მიხედვით შეიძლება, ზოგადად, ძვ.წ. VII-VI სს-ით დათარიღდეს [15, გვ. 104]. აღნიშნული ჯგუფის (III ჯგუფი) ქანდაკებათა ტიპოლოგიური პარალელები ნაპოვნი ქსნისა და არაგვის ხეობაში (წიფორი,<sup>15</sup> უკანუბანი,<sup>16</sup> ქსნის ხეობა<sup>17</sup> - შემთხვევითი აღმოჩენები), ამდენად, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მათი გავრცელების საზღვრები, ძირითადად, სამთავრული პლასტიკის II ჯგუფის ტერიტორიულ ფარგლებშია მოქცეული (რუკა). ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს სკულპტურა შორაპნის მახრიდან,<sup>18</sup> რომლის მიხედვითაც შეიძლება ვიფიქროთ, რომ ადრულ ნიმუშებთან შედარებით, ამ ჯგუფის სკულპტურათა გავრცელების არეალი დასავლეთითაც ინაცვლებს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, დარში

<sup>15</sup> სსსმ კოლ. 378, 379.  
<sup>16</sup> სსმ კოლ. 19-61:1.  
<sup>17</sup> გსმ კოლ. 8134-17.  
<sup>18</sup> შემთხვევითი მონაპოვარი, სსსმ კოლ. 771.

აღმოჩენილი სკულპტურებიც,<sup>19</sup> რომლებიც სამთავროული ტიპის ქანდაკებათა ადგილობრივ ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს.

III ჯგუფის ქანდაკებებს საერთო ნიშნები ახასიათებს, რაც განასხვავებს მათ ადრეული ნაკეთობებისაგან (ტაბ. IV<sub>1-6</sub>). ამ სკულპტურებში გრძელდება სამთავროული პლასტიკისათვის დამახასიათებელი ფიგურათა ზურგში გადაღუნვით სხეულის წარმოდგენა, ღრუ მუცელი, გადაბმული ფეხები, ის ტიპოლოგიური ნიშნები, რაც სამივე ჯგუფის ქანდაკებებს ახასიათებს. მაგრამ ამასთან, სკულპტურათა სხეული ფასიდანაც გამჭოლია, შეცვლილია ფეხების დაკავშირების წესიც, კერძოდ, ტიხრით გადაბმის ნაცვლად ისინი ერთმანეთთან შეზრდილია. შეცვლილია ფუნქციური დანიშნულების დეტალიც - ფიგურათა დასამაგრებლად განკუთვნილი ნახვრეტი საკიდი ყულფითაა შენაცვლებული. ამასთან, ეს სკულპტურები სტილური თავისებურებებითაც გამოირჩევა (ტაბ. IV<sub>4-6</sub>). კერძოდ, ჩნდება რეალისტური ელემენტები და ფორმა ანატომიურად კონკრეტდება - გამოკვეთილია მათში ყურის, ყბის, ფეხებზე სახსრისა და ჩლიქის აღმნიშვნელი ფორმები. ამასთან, შეიმჩნევა ქრონოლოგიურად მათ წინამორბედ სკულპტურათათვის უცხო მხატვრული ტენდენციებიც. კერძოდ, ყურადღების გამახვილება ირმის რქათა წონად, სხეულებრივ ფორმებზე, ხაზგასმული სურვილი მათი ენერგიული გრეხით გადმოიცეს გარკვეული მოძრაობა, ანათესავებს ამ სკულპტურებს კოლხურ პლასტიკასთან, რომლის მხატვრული გამომსახველობა ძირითადად სწორედ რიტმულად მონაცვლე რქების განზე განვითარებულ ფორმათა მოძრაობითაა მიღწეული (ტაბ. IV<sub>7-8</sub>). ამდენად, მათში ძველი თემა ფორმათა ექსპრესიითა და პლასტიკითაა გამდიდრებული. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ქანდაკებათა ეს ჯგუფი სამთავროულ და კოლხურ მხატვრულ ტრადიციათა შემოქმედებითად გადამუშავების მაგალითს წარმოადგენს.

III ჯგუფის სკულპტურათა გავრცელების პერიოდში ამ რეგიონში კოლხური კულტურის გავლენაზე მიუთითებს ასევე აღნიშნული ჯგუფის ტიპოლოგიური ნიშნების შემ-

ცველი ვერძისგამოსახულებიანი სკულპტურებიც (ტაბ. IV<sub>1-3</sub>).

საგულისხმოა, რომ ყაზბეგის განძის ნაკეთობათა შორის არის ღჭაშენ-წითელგორის არქეოლოგიური კულტურის მხატვრული ტრადიციით დამზადებული ქანდაკებებიც, რომლებიც სამთავროული პლასტიკის გავლენის კვალს ატარებს [15, ტაბ. XV<sub>1,2</sub>; 26, გვ. 156, 137]. ამდენად, ამ განძში თავმოყრილია სკულპტურათა ნიმუშები, რომლებშიც მოხდა განსხვავებულ მხატვრულ ტრადიციათა გადაკვეთა.

ამგვარად, სკულპტურათა ზემოთგამოყოფილი ჯგუფები სამთავროული პლასტიკის განვითარების სამ განსხვავებულ ეტაპს წარმოგვიდგენს. ქანდაკებათა ჯგუფებს შორის არსებული სტილური ცვლილებები, როგორც ითქვა, განსხვავებული მხატვრული ტრადიციიც, კერძოდ, ღჭაშენ-წითელგორის და კოლხურის ზემოქმედებასა და მათი გავლენის ხარისხზე მიანიშნებს.

საგულისხმოა, რომ განხილული ჯგუფების მიმართება სხვადასხვა კულტურასთან და მათი ქრონოლოგიური მონაცვლეობა დასტურდება ქანდაკებათა შემცველ კომპლექსებში აღმოჩენილი ბრინჯაოს სარტყლებითაც. სხვადასხვა ჯგუფის სკულპტურათა შემცველ სამარხებში სტილისტურად განსხვავებულ სატყელთა ნიმუშებს ვხვდებით. კერძოდ, III და II ჯგუფის სკულპტურათა შემცველ კომპლექსებში მოპოვებულ სარტყელთა დეკორში ასახულია სამხრეთიდან მომდინარე გავლენები (ტაბ. V<sub>2-4</sub>), თუმცა მათში წინააღიწერი მოტივები ზოგჯერ კოლხური გრაფიკისათვის დამახასიათებელ მხატვრულ ფორმებთან თანარსებობს (ტაბ. V<sub>5</sub>). მაშინ, როდესაც I ჯგუფის სკულპტურების შემცველ სამარხებში ნაპოვნი სარტყლები (ტაბ. V<sub>6-7</sub>) სტილისტურად ღწაშენ-წითელგორის კულტურის ლოკალური კერისათვის დამახასიათებელ გრაფიკულ გამოსახულებებს უკავშირდება<sup>20</sup> (ტაბ. V<sub>8</sub>). ეს ფაქტი კი შეიძლება დამატებით არგუმენტად გამოდგეს იმ

<sup>20</sup> სამთავრო, სამ. 56 (სსმ 1643), 96ბ (სსმ, დავთარი 3, გვ. 457), 77 (სსმ 1904), 208 (სსმ 8790), წეროვანი, დანგრეული სამრხი (სსხმ-ის ფონდები), წეროვანი IV, სამ. 36 (მაი 269), 37 (მაი 295), ნარეკვაი სამ. 9 (ნარეკვაი I, ტაბ. VIII), 35 (ნარეკვაი I, გვ. 89), 53 (ნარეკვაი II, ტაბ. XVII).

<sup>19</sup> სსხმ კოლ. 771.

მოსაზრების სამტკიცებლად, რომ სამთავროულ პლასტიკასა და კახეთის და ჩრდილო-დასავლეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გავრცელებულ გრაფიკას შორის გენეტიკური კავშირი არსებობს.

თუ რ. აბრამიშვილის მიერ შემუშავებულ ქრონოლოგიურ სკალაში მოცემულ თარიღებს დავყვარდნობით, შემოთგანხილული მასალების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ძვ.წ. XII ს-ის II ნახ-ში, (ამ პერიოდითაა დათარიღებული მის მიერ უადრესი ქანდაკებებისა და სარტყლების შემცველი კომპლექსები სამთავროს სამართავანზე), სამთავროული კულტურა კახეთიდან შემოსული არქეოლოგიური კულტურის ძლიერ გავლენას განიცდის. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ ამ დროს შიდა ქართლის აღმოსავლეთ რეგიონში, კერძოდ, მცხეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, პირველად ჩნდება სამთავროული კულტურისათვის დამახასიათებელი მატერიალური კულტურის სამი ახალი ელემენტი - ქანდაკებები ირმის გამოსახულებებით, ფიგურული დეკორით გაფორმებული ბრინჯაოს სარტყლები და ე.წ. ბოლომომრგვალებული მახვილები (ტაბ. VI<sub>3-5</sub>). მათგან სკულპტურები და სარტყელთა დეკორი, როგორც შემოთაც იყო აღნიშნული, საზრდობს ლჭაშენ-წითელგორის არქეოლოგიური კულტურის ლოკალური კერისათვის ნიშანდობლივი გრაფიკული გამოსახულებებით (ტაბ. VI<sub>1</sub>), ხოლო იარაღი, ე.წ. ბოლომომრგვალებული მახვილი, როგორც ამას რ. აბრამიშვილი მიიხსენებს, კახური ტიპის მთლიანადსხმული სატყვრიდანაა განვითარებული [2, გვ. 117], (ტაბ. VI<sub>2</sub>).

**N. Gomelauri**

## **TOWARDS THE ORIGIN OF MINOR PLASTICS OF SAMTAVRO CULTURE**

(Summary)

Samtavro plastics provides interesting material for tracing interrelations between archaeological cultures in Eastern Georgia of the Late Bronze Age. These sculptures are based on the artistic and sculpture casting technical traditions of their previous Lchashen-Tsitelgori culture (15<sup>th</sup>-13<sup>th</sup> cent. BC). Namely, they borrowed the iconography and

subject matter of graphical images characteristic of the local center of this culture and in a simplified way continued the hollow sculpture making tradition peculiar to the Lchashen-Tsitelgori culture.

During the whole period of their existence (second half of the 12<sup>th</sup> -6<sup>th</sup> cent. BC) Samtavro sculptures underwent certain changes in time and space reflecting the influence of different artistic traditions. In this sense, three groups can be singled out.

Earlier samples of sculptures (second half of the 12<sup>th</sup> -9<sup>th</sup> cent. BC) which are found in Mtskheta and its neighbouring areas are related to the graphical images spread in the local center of Lchashen-Tsitelgori culture, Kakheti and north-west Azerbaijan.

The sculptures belonging to the next chronological group (first centuries of the 1st mill. BC), the territorial borders of which move further to the North, differ in style and iconography from their origin and group I sculptures: figures are less expressive, artistic form does not correspond to the content.

The samples of later date (7<sup>th</sup> -6<sup>th</sup> cent. BC), the geographical area of which basically coincides with that of group II are influenced by Colchian culture. Energetic motion displayed in the weighty, bodily forms of the horns, is akin to the Colchian artistic tradition. Accordingly, old subject matter is enriched by the expressiveness and plasticity of forms here.

Chronological alternation of these groups and their interrelation with different cultures is also evidenced by bronze ornamental belts.

The belts discovered in the tombs containing sculptures belonging to group I are stylistically related to the graphical images of the local center of Lchashen-Tsitelgori culture, whereas in the decoration of the belts forming part of the complex of the sculptures belonging to groups II and III Near Eastern motifs coexist with the artistic forms characteristic of Colchian graphical images.

Based on the above-quoted material, it can be said that in the second half of the 12<sup>th</sup> cent. BC the eastern area of Samtavro culture was greatly influenced by the culture which had penetrated from Kakheti. This is evidenced not only by bronze minor plastics and decorated belts but also by a new kind of weapon characteristic of Samtavro culture - round-edged sword which, according to R. Abramishvili, developed from the Kakhetian type dagger.

## ლიტერატურა

1. აბრამიშვილი რ. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის, - სსმმ, ტ. XIX-A-XXI-B, 1957, გვ. 115-140.

2. აბრამიშვილი რ. რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ.წ. XIV-VI სს), - სსმმ, ტ. XXII, 1961, გვ. 303-381.

3. აბრამიშვილი რ. ამიერკავკასიის არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიური ჯგუფები, თაშ, 1, 1997.

4. ბარამიძე მ. შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, მსკა, ტ. VI, 1974, გვ. 124-135.

5. გომელაური ნ. ძვ.წ. XIV-XIII სს-ის ცენტრალური ამიერკავკასიის მცირე პლასტიკის გენეზისის საკითხისათვის. ართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი VI საერთაშორისო სიმპოზიუმის მოხსენებათა თეზისები, თბ., 1989, გვ. 12-13.

6. გომელაური ნ. ლითონის შტანდარტები ევრაზიიდან (ძვ.წ. III-I ათასწ.). ხელოვნების სახ. მუზეუმის წინაქრისტიანული ხანის ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი I სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ., 1999, გვ. 3-4.

7. კალანდაძე აღ. ჩაბარუხისა და ფასანაურის განძები. დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის I სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, თბ., 1965, გვ. 15-27.

8. მცხეთა 1998, ნარეკვაფი I, კატალოგი, ა. აფაქიძის რედაქციით. თბ., 1999.

9. მცხეთა 1999, ნარეკვაფი II, ა. აფაქიძის რედაქციით. თბ., 2000.

10. მცხეთა VI, ა. აფაქიძის რედაქციით. თბ., 1982.

11. სონღულაშვილი ხ. წეროვნის სამარხი, სსსმნ II, 1996, გვ. 157-165.

12. ფანცხავა ლ. კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები, თბ., 1988.

13. ფიცხელაური კ. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ძირითადი პრობლემები (ძვ.წ. XV-VII სს), თბ., 1973.

14. ქორიძე დ. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1955.

15. წითლანაძე ლ. ხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1976.

16. ხიდაშელი მ. ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში, თბ., 1982.

17. Вырубов В. Предметы древности в хранилище "Общества любителей Лавказа археологии", Тифлис, 1877.

18. Гуммель Я. И. Погребальный курган №1 около Еленендорфа, Баку, 1931.

19. Гуммель Я. И. Археологические очерки. Баку, 1940.

20. Доманский Я. В. Древняя художественная бронза Кавказа, М., 1984.

21. Есаян С. А. Скульптура древней Армении. Ер., 1980.

22. Панихава Л. Н. Некоторые вопросы колхидской и кобанской культур (по материалам чабарухского и пасанаурского кладов), სსმმ, ტ. XXXVIII, 1986.

23. Пиотровский Б. Б. Археология Закавказья, Л., 1949.

24. Техов Б. В. Тлийский могильник II. Тб., 1981.

25. Уварова П.С. Могильники Северного Кавказа, МАК, VIII, 1900.

26. Avant les Scythes, Prehistoire de l'art en URSS, Paris, 1979.

27. Miron A. Orthman W. Unterwegs zum Goldenen Vlies. Arhaologische Funde aus Georgien. Saarbrücken, 1995.

28. Nioradze G. Der Verwahrfund von Kvemo Sasirethi, "ESA", VII, Helsinki, 1932, ss. 82-97.

29. Piechelauri K. Waffen der Bronzezeit aus Ost-Georgien, "AE," B. 4. Berlin, 1997.

30. Tallgren A. M. The Kazbek Treasure, ESA, V, Helsinki, 1930, pp. 109-182.

## რუკის განმარტება

I ჯგუფის ქანდაკებები - 1. სამთავრო, სამ. №№ 56, 77, 96ბ, 208, 591, VIII; 2. ნარეკვაფი, სამ. №№ 9, 35, 41, 53; 3. წეროვანი, დანგრეული სამარხი, წეროვანი IV, სამ. №№ 14, 36, 37. 4. სათოვლე, სამ. № 19; 5. ალაიანი.

II ჯგუფის ქანდაკებები - 6. ფასანაურის განძი; 7. ჩაბარუხის განძი; 8 თლია, სამ. №№ 347, 451; 9. ყობანი.

III ჯგუფის ქანდაკებები - 10. ყაზბეგის განძი; 11. უკანუბანი; 12. ქსნის ხეობა; 13. წიფორი; 14. შორაპანი.

გამოსახულებები თიხის ტურქელსა და იარაღზე - 15. წითელგორი, სამ. № 2; 16.

ტიბაანი; 17. კარდენახი; 18. მელი-ღელე I, სამლოცველო; 19. ფვერები, ყ. № 10; 20. ქედელი, სამ. № 1; 21. ანთოკი; 22. შალაური; 23. თელავი; 24. ღრმა-ღელე; 25. ჩალიპირაგორები, სამ. 3; 26. მუხადგვერდი, სამ. № 45; 27. ნატახტარი, სამ. № 31.

### Explanation of the Map

Sculptures of the group I - 1. Samtavro, tombs 56, 77, 96b, 208, 591, VIII; 2. Narekvavi, tombs 9, 41, 35, 53; 3. Tserovani, tombs 14, 36, 37; 4. Satovle, tomb 19; 5. Agaiani.

Sculptures of the group II - 6. Pasanauri hoard; 7. Chabarukhi hoard; 8. Tlia, tombs 349, 451; 9. Kobani.

Sculptures of the group III - 10. Kazbegi hoard; 11. Ukanubani; 12. Course of river Ksani; 13. Tsipori; 14. Shorapani.

Graphical images on the pottery and weaponry - 15. Tsitelgori, barrow 2; 16. Tibaani; 17. 10; 20. Kedeli, tomb 1; 21. Antoki; 22. Shalauri; 23. Telavi; 24. Grmagele; 25. Chalipiragorebi, tomb 3; 26. Mukhadgverdi, tomb 45; 27. Natahtari, tomb 31.

### ტაბულების განმარტება

ტაბ. I - 1. მცხეთა, სამ. VIII; 2-3. წითელგორი, ყორღანი 1 (რ. აბრამიშვილის მიხ.)

ტაბ. II - 1. წითელგორი, ყორღანი № 2 (რ. აბრამიშვილის მიხ.); 2. ანთოკი (რ. აბრამიშვილის მიხ.); 3. ტიბაანი (რ. აბრამიშვილის მიხ.); 4. ელისავედპოლის გუბერნია, ყორღანი № 8 (ი. გუმელის მიხ. 18, სურ. 16); 5. ელისავედპოლის გუბერნია, ყორღანი № 34 (ი. გუმელის მიხ. 18, სურ. 11); 6. სამთავრო, სამ. № 77; 7. წეროვანი IV, სამ. № 14; 8. წეროვანი IV, სამ. № 37; 9. სათოველე, სამ. № 19; 10. სამთავრო, სამ. № 591; 11. სამთავრო, სამ. № 208.

ტაბ. III - 1. ჩაბარუხის განძი; 2. თლია, სამ. № 349; 3. თლია, სამ. № 451; 4. ყობანი (პ. უვაროვას მიხ. ტაბ. XXXVIII<sub>3</sub>); 5. ფასანაური; 6. ფასანაურის განძი; 7. ყაზბეგის განძი (პ. უვაროვას მიხ. ტაბ. XIX<sub>1</sub>).

ტაბ. IV - 1. შორაპანი; 2. ქსნის ხეობა; 3. უკანუბანი; 4. ყაზბეგის განძი (ვ. ვირუბოვის მიხ. ტაბ. VII); 5. ყაზბეგის განძი (ა. უვაროვას მიხ. ტაბ. XIX<sub>2</sub>); 6. ყაზბეგის განძი (ი. დომანსკის მიხ. ტაბ. 146); 7. ბრილი, სამ. № 12. (ა. მირონის, გ. ორტმანის მიხ. სურ. 59); 8. ბრილი.

ტაბ. V - 1. ყაზბეგის განძი (ა. ტალგერენის მიხ. სურ. 46); 2. ყაზბეგის განძი (ა. ტალგერენის მიხ. სურ. 58-61); 3. ჩაბარუხის განძი (მ. ხიდაშელის მიხ. ტაბ. XIII); 4. თლია, სამ. № 161 (ბ. ტეხოვის მიხ. ტაბ. 112); 5. თლია, სამ. № 140 (ლ. ფანცხავას მიხ. ტაბ. XIX); 6. სამთავრო, სამ. № 56 (მ. ხიდაშელის მიხ. ტაბ. V); 7. ნარეკვაი, სამ. № 9 (ნარეკვაი I, ტაბ. VIII); 8. ანთოკი (რ. აბრამიშვილის მიხ.).

ტაბ. VI - 1. წითელგორი, ყორღანი № 2 (რ. აბრამიშვილის მიხ.); 2. სამთავრო, სამ. № 24 (რ. აბრამიშვილის მიხ. 2. ტაბ. VI); 3. წეროვანი IV, სამ. № 37; 4. ნარეკვაი, სამ. № 9 (ნარეკვაი I, ტაბ. V); 5. სამთავრო, სამ. № 56 (მ. ხიდაშელის მიხ. ტაბ. V).

### Description of the plates

Pl. I - 1. Mtskheta, tomb VIII; 2-3. Tsitelgori, barrow 1 (After R. Abramishvili).

Pl. II - 1. Tsitelgori, barrow 2 (After R. Abramishvili); 2. Antoki (After R. Abramishvili); 3. Tibaani (After R. Abramishvili); 4. Elisavedpol district, barrow 8 (After J. Gummel, 18, Fig. 16); 5. Elisavedpol district, barrow 34 (After J. Gummel, 18, Fig. 11); 6. Samtavro, tomb 77; 7. Tserovani IV, tomb 14; 8. Tserovani IV, tomb 37; 9. Satovle, tomb 19; 10. Samtavro, tomb 591; 11. Samtavro, tomb 208.


Pl. III - 1. Chabarukhi hoard; 2. Tlia, tomb 349; 3. Tlia, tomb 451; 4. Kobani (After P. Uvarova); 5. Pasanauri; 6. Pasanauri hoard; 7. Kazbegi hoard (After P. Uvarova, Tab. LXIX<sub>1</sub>).

Pl. IV - 1. Shorapani; 2. Course of river Ksani; 3. Ukanubani; 4. Kazbegi hoard (After V. Virubov, Tab. VII); 5. Kazbegi hoard (After P. Uvarova, Tab. LXIX<sub>2</sub>); 6. Kazbegi hoard (After J. Domanski, Fig. 146); 7. Brili, tomb. 12 (After A. Mirou, W. Orthman, Fig. 59); 8. Brili.


Pl. V - 1. Kazbegi hoard (After A. Tallgren, Fig. 46); 2. Kazbegi hoard (After A. Tallgren, Fig. 58-61); 3. Chabarukhi hoard (After M. Khidasheli, Tab. XIII); 4. Tlia, tomb 161 (After B. Tekhov, Tab. 112); 5. Tlia, tomb 140 (After L. Pantskhava, Tab. XIX); 6. Samtavro, tomb 56 (After M. Khidasheli, Tab. V); 7. Narekvavi, tomb 9 (Narekvavi I, Tab. VIII); 8. Antoki (After R. Abramishvili).

Pl. VI - 1. Tsitelgori, barrow 2 (After R. Abramishvili); 2. Samtavro, tomb 24 (After R. Abramishvili); 3. Tserovani IV, tomb 37; 4. Narekvavi, tomb. 9 (Narekvavi I, Tab. V); 5. Samtavro, tomb 56 (After M. Khidasheli, Tab. V).


სამთავრული არქეოლოგიური კულტურა



1



2



3

ღვამენ-წითელკარის არქეოლოგიური კულტურა

კახეთი



1



2



3



4



5

ჩრდ-დას აზერბაიჯანი




6




7




8



9




10




11

I ჯგუფი





1



4




2




3

II ჯგუფი




5



6


გარდამავალი ტიპი




7

III ჯგუფი


III ჯგუფი




კოლხური კულტურა




III ჯგუფი



II ჯგუფი




I ჯგუფი





ლჭაშენ-წითელგორის არქეოლოგიური კულტურა


ძვ.წ. XV-XII ს. I ნახ.



ძვ.წ. XIII ს. II ნახ.



სამთავრული არქეოლოგიური კულტურა



“წარჩინებული მემორის” სამარხი ხაშურის რაიონის სოფ. ნაცარბოროძან

ხაშურის რაიონის სოფ. ნაცარბოროძან არქეოლოგიებისათვის ამ ოციოდე წლის წინ გახდა ცნობილი, როდესაც არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ხაშურის ექსპედიციამ აქ მიაკვლია ჯერ მრავალფენიან გორა-ნასახლარს, ხოლო შემდეგ იქვე ახლოს პატარა დელის გაღმა, შესაბამის სამაროვანსაც. გაითხარა სხვადასხვა დროის 514 სამარხი. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია სამაროვანზე გათხრილი №223 სამარხი, რომელიც ერთ-ერთი თვალსაჩინო ინვენტარის სიმრავლითა და მრავალფეროვნებით<sup>1</sup> [35, გვ. 40].

№223 სამარხი გეგმაში დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ წაგრძელებული მართკუთხედის ფორმის ორმოა ზომით 2,2x1,6 მ სამარხი ინჰუმაციურია. იგი ეკუთვნის ზრდადასრულებულ მამაკაცს. შედარებით კარგად დაცული აღმოჩნდა ჩონჩხის ქვემო კიდურების ძვლები, უფრო კარგად ბარძაყის ქვედა და წვივის ზედა ნაწილები. ჩონჩხის დანარჩენი ნაწილები კი ფქვილისებურ, ამორფულ მასად იყო ქცეული. მიუხედავად ჩონჩხის ასეთი დაცულობისა, თითქმის სრული უეჭველობით შეიძლება ვთქვათ, რომ მიცვალებული დაკრძალული იყო მოხრილი კიდურებით, მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთისკენ. როგორც ჩანს, სამარხი გადახურული იყო ხის ძელებით. სახურავზე, აღმოსავლეთ ნაწილში, დალაგებული ყოფილა თიხის რამდენიმე ჭურჭელი და წვრილფეხა საქონლის თავი, რომელიც სახურავის ჩაქცევისას ჩაშვებულა დასაკრძალავ ორმოში. სამარხეული ინვენტარის ძირითადი ნაწილი სამარხის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილში აღმოჩნდა.

მიცვალებულისთვის ჩაუტანებიათ თიხის 9 ჭურჭელი (ტაბ. I): უყურო დერგი მხარზე ამოდარული სარტყლებით (514);<sup>2</sup>

ლანგარი (515); ვიწროყელიანი მოზრდილი ცალყურა დოქი – მხარზე ნაჭდევი წერტილებით შედგენილი ირიბი სარტყლებით (519); ცალყურა ტოლნა ყურის ზედა ნაწილზე მოგრძო სიგრძივი ნაჭდევებითა და ტანზე სიგრძივი 2-2 ამოდარული ხაზით (518). სამარხშივე აღმოჩნდა 2 ფართოყელიანი ცალყურა დოქი (517, 520), რომლებიც ერთმანეთისგან იმით განსხვავდება, რომ ერთის ყური გრეხილის იმიტაციაა და მხარზე ამოდარულ ხაზებს შორის დარჩენილი არე შევსებულია ნაპრიალები სიგრძივი ხაზებით; ორი გულდრმა თასი თითქმის შევული გვერდებითა და მკვეთრად შევიწროვებული ქვედა ტანით (512, 516), ზომის გარდა თითქმის არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისგან; დაკუთხულტანიანი ქოთანის მხარისა და ტანის წიბოზე სიმეტრიულად განლაგებული დაძვრული სამი კოჭისებური ყურით (513). ჭურჭლის მხარი და ტანის ვერტიკალური ნაწილი შემკულია ირიბად დადარულზედაპირიანი სამკუთხედებით.

სამარხში ყოფილა ბრინჯაოს ჭურჭელიც, რომელიც შევულგვერდიანი დიდი თასის დასავლეთით იმდენად დაშლილი აღმოჩნდა, რომ მისი მხოლოდ პატარა-პატარა ნატეხების აღება შეუძლებელია. ამ ჭურჭელთან დაკავშირებით იმის დადგენა მოხერხდა, რომ მისი დიამეტრი 30 სმ ყოფილა. აღსანიშნავია, რომ მას აშკარად ეტყობა აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით დაცემული ძელის ანაბეჭდი.

სამარხეული ინვენტარის დანარჩენი კომპონენტები თავისი დანიშნულებით რამდენიმე ჯგუფად იყოფა (ტაბ. 2). პირველ ჯგუფში გამოვყოფთ ბრინჯაოს პატარა ბუნიკსა (533) და ქვის კვერთხის-თავს (537), რომლებიც ალბათ ინსიგნიებს წარმოადგენდა. ყველაზე მრავალრიცხოვანია საბრძოლო დანიშნულების ბრინჯაოს იარაღი. აქ შედის მთლიანადსხმული, დაბალი, დაფანჯრულქუდიანი, სამარხში ჩადების წინ საგანგებოდ ვადაში გადატეხილი მახვილი (521); ორი ტარშეურჩენელი, მკვეთრქუდიანი, მოკლე, სამკუთხედი-სებური ყუნწის მქონე სატევარი (522, 523); ორი სხვადასხვა ზომის მასრაგახსნილი შუბისპირი (524, 525); მთლიანადსხმული მინიატურული სატევარი ლითონის ტარი-თა და მომრგვალებული პირით (524), ის-

<sup>1</sup> ამ სამარხის შერჩევა გამოხედილი ქართველი არქეოლოგის როსტომ აბრამიშვილის დაბადებიდან 75 წლის აღსანიშნავი სესიისათვის განპირობებულია იმით, რომ მისი განხილვა, ერთის მხრივ, კარგად წარმოაჩინეს როსტომ აბრამიშვილის განსაკუთრებულ დამსახურებას საქართველოსა და საერთოდ ზოგად კავკასიური არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგია-პერიოდიზაციის საქმეში და, მეორეს მხრივ, ასევე ნათლად გვიჩვენებს არსებული ქრონოლოგიური სქემების შემდგომი დაზუსტებისა და დახვეწის აუცილებლობასაც. ისე როგორც ამას აქვთებდა სიცოცხლის უკანასკნელ წლებამდე თავად როსტომ აბრამიშვილი.

<sup>2</sup> აქაც და ქვემოთაც ფრჩხლებში მოცემულია ნივთის საველე ნომერი.

რისა თუ შუბისპირის ნატეხი მკვეთრი ქედით (526). ცალკე ჯგუფად გამოვეყოფთ არტეფაქტებს, რომლებიც ცხენის აღკაზმულობასთან არის დაკავშირებული. ეს ნივთებია ორწილადი მოღუნული ბოლოებით დაკავშირებული ლაგამი (528, 529), სათასმე ბალთა (532) და სათასმე რგოლი (530). თითქოს რამდენადმე მოულოდნელია “წარჩინებული მეომრის” სამარხში შრომის იარაღის აღმოჩენა. სამარხში იყო ბრინჯაოს სატეხი (527); ნემსი (538, 539) და ზოდის ნატეხები (536). აქვეა ტანისამოსთან დაკავშირებული საგნები – ბრინჯაოს ორი საკინძი (534) და მახვილის მსგავსად, სამარხში ჩადების წინ, საგანგებოდ ოთხად გატეხილი ბრინჯაოს გრავირებული და რკინით ინკრუსტირებული მაღალი აბზინდა (535). ბრინჯაოს აძღენ ნივთთან ერთად, სამარხში აღმოჩნდა, რკინის ორი ცუდად შემონახული ნივთის ნატეხები. ერთი მათგანი, ალბათ ცალპირლესილი დანისაა (542), მეორე კი მრგვალი ღეროსი (540). არ არის გამორიცხული, რომ ეს უკანასკნელი დაკავშირებული იყო ბრინჯაოს ბუნიკთან, რომლის მასრაშიც შერჩენილია რკინის ნაშთი.

და ბოლოს აღვნიშნავ, რომ სამარხში აღმოჩნდა 400-დე სხვადასხვა მასალისა და ფორმის მძივი. მათგან ერთი იყო ღულვანი ძვლის (541), ხუთი მოქროვილი მრგვალი მძივი (500). როგორც ჩანს, მოქროვილი და პასტის მძივი გაცილებით მეტი იყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ისე იყო დაშლილი, რომ მათი მცირე ნატეხების აღებაც გაძნელდა. სარდიონის მძივებიდან 325 მრგვალი და მანდარინისებურია (545, 559), 2 – ექვსწახნაგა (554), 2 – ბიკონუსური (555), 1 – დისკოსებური (556), 16 – შინდისკურკისებური (557), 26 – მსხლისებური (558). პასტის მძივებიდან 4 კასრისებურია, გვერდებდაღარული (546), 2 – ცილინდრული (547), თითო – შინდისკურკისებური (548), სიგრძივი ღარებით (549), დისკოსებური, ზედაპირდაღარული (550), მილისებური შემკრები (551), 4 - იოტი (552) და 1 – შემკრები იოტი (553).

როგორც ვხედავთ, ხაშურის ნაცარგორის №223 სამარხი სავსებით ამართლებს სამთავროს უძველესი სამარხების ბრინჯაოს მახვილებისა და სატევერების პირველი ქართველი მკვლევარის, გიორგი ლომთათიძის, დაკვირვებას “მახვილოსანთა სამარხებში” ინვენტარის “სიუხვისა” და “მრავალფეროვნების”, გამო მათში “გან-

სვენებულია წარჩინებულობის” შესახებ [8, გვ. 35, 36]. ამიტომ წარმოდგენილი სამარხის კომპლექსის განხილვასაც სწორედ ბრინჯაოს მახვილით დავიწყო.

ამჯერად არ შევეხები საკითხს ე.წ. სამთავრული თუ შიდაქართლური ტიპის მახვილებისა და სატევერების პროტოტიპის, მათი წარმოშობის შესახებ, მაგრამ აღვნიშნავ, რომ ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებიდან შიდა ქართლში გავრცელებული ჩანს თავისებური ფორმის სატევერები და მახვილები, რომლებიც მხოლოდ ამ მხარისთვის ჩანს დამახასიათებელი. [1, გვ. 137, 138; 2, გვ. 325, 330; 20, გვ. 181, 182], თუმცა ისიც ხაზგასასმელია, რომ ამ მახვილების არსებობა, სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, საკმაოდ ხანძლივ პერიოდს მოიცავს, ძვ.წ. XIII-IX სს [3, ტაბ. II – 36, 43]. მსგავსი მახვილები აღმოჩენილია სამთავროს №56, 77, 96, 152 სამარხებში [1, გვ. 134], ნაძალადევის [22, გვ. 39, სურ. 1], მუხრანის ველის სოფ. ჩარდახის [17, გვ. 25 - 27, ტ. 1], კასპის [4, გვ. 18, ტაბ. IV], ალაიანის [5, გვ. 126, ტაბ. II], წეროვანი IV-ის [12, გვ. 59, სურ. 415], მუხათგვერდი II-ის [12, გვ. 69, სურ. 469], ნარეკვავის სამაროვნებზე [14, ტაბ. IV, VI, XIV, XXVII]. მითითებული ძეგლები ძირითადად დათარიღებულია ძვ.წ. II-I ათასწ. მიჯნით. ვაშლიჯვარის სამარხში ბოლომომრგვალებულ მახვილთან ერთად მასრაგახსნილი შუბისპირისა და მასიური ღეროგახვრეტილი სოკოსებურთავიანი საკინძის აღმოჩენამ საშუალება მისცა რ. აბრამიშვილს ეს კომპლექსი ძვ.წ. XIII – XII სს-ით დაეთარიღებინა. იგი თვლის, რომ ბოლომომრგვალებული მახვილები უდავოდ გადადის ძვ.წ. XIII საუკუნეში [2, გვ. 332]. თუმცა ქრონოლოგიურ ტაბულებზე ბრინჯაოს ბოლომომრგვალებული მახვილების ზედა საზღვარი ძვ.წ. IX საუკუნემდეა მიტანილი [3, ტაბ. II].

ბრინჯაოს მახვილისაგან განსხვავებით, №223 სამარხში აღმოჩენილი სატევერების პირდაპირი ანალოგიები, ჯერ-ჯერობით ჩემთვის მხოლოდ თლიას სამაროვნიდან არის ცნობილი. სხვათა შორის, თლიაშიც მხოლოდ ერთი სატევერია აღმოჩენილი ნაცარგორის უხვრელო ყუნწიანი სატევერის (523) მსგავსი, ხოლო სამანჭვლეხვრელიანი ყუნწის მქონე სატევერის მსგავსი (522) 20-ზე მეტია. ისინი ძეგლის გამთხრელის მიერ გაერთიანებულია V და VI ჯგუფებში და ძირითადად მიკუთვნებულია ძვ.წ. XII-X სს [36, გვ. 94-97, ნახ. 85.86;

36, სამ. 14, 22, 57, 63, 65, 79, 82, 86, 96, 99, 107, 159, 20, 234, 254, 259, 287]. როგორც ცნობილია, ბ. ტეხოვის მიერ თლიას სამაროვნისთვის შემოთავაზებულ თარიღებს არც თუ ცოტა ოპონენტი ჰყავს. ასე მაგალითად, ლ. ფანცხავა თვლის, რომ ბ. ტეხოვის მიერ ძვ.წ. XII-X სს-ით დათარიღებული სამარხები ძვ.წ. VIII – VI სს-ით უნდა დათარიღდეს [18, გვ. 54-90]; ბრინჯაოს გრავირებული სარტყლების შესწავლის შემდეგ, მ. ხიდაშელი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ “ძვ.წ. IX-VII სს. ის ხანაა როდესაც მოელს ამიერკავკასიაში უცვრად და ჭარბად ვრცელდება ბრინჯაოსაგან დამზადებული, გრაფიკული დეკორით შემკული ნივთების დიდი რაოდენობა”. [25, გვ. 26]; ძვ.წ. X – VI სს-ს მიაკუთვნებს თლიას სამარხებს გერმანელი არქეოლოგი ალ. პრუსი [40, გვ. 25-47; 41, გვ. 13-22]; დაახლოებით ასეთივე დასკვნამდე მიდის, კავკასიაში გავრცელებული ფიბულების მკვლევარი ნ. სულავა, რომელიც კავკასიაში დღემდე ცნობილი ფიბულების ქრონოლოგიური არეალის ქვედა მიჯნად ძვ.წ. IXს-ის დასასრულს მიიხსენებს.

საკმაოდ მრავალი პარალელი აქვს განსახილველი სამარხის ბრინჯაოს სატეხსაც (527). მეტნაკლებად მსგავსი სატეხები აღმოჩენილია სასირეთისა [39] და ცხინვალის განძებში [27, სურ. 4], კავთისხევეში [21, ტაბ. XII], ნარეკვავეში, [17, გვ. 213 ტაბ. VIII], სამთავროს №240 სამარხში და სხვ. რ. აბრამიშვილს მსგავსი სატეხი მოქცეული აქვს ძვ.წ. XII-IX სს-ის ფარგლებში. [3, ტაბ. 11 – 112].

საყურადღებო არტეფაქტია ერთმანეთთან მოხრილი ბოლოებით დაკავშირებული ბრინჯაოს ორწილადი ლაგამი (528, 529). მისადებია სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ახსნა ამგვარი ლაგამების დიდი ნაწილის საყბურების გარეშე აღმოჩენის შესახებ იმით, რომ აღნიშნულ ლაგამებს საყბურები რქის ან ძვლისა უნდა ჰქონოდათ. წინწყაროსა და თაქ-ქილისას ლაგამების განხილვისას ბ. კუფტინი აღნიშნავს, რომ ისინი ვანის ეპოქის წინარე ხანაშია სავარაუდებელი [30, გვ. 59-60, სურ. 53, 56, ტაბ. XXXI, XXXIV] ამგვარი ლაგამებია აღმოჩენილი აგრეთვე დვანში [32, გვ. 237, ნახ. 10], მელაანში [19, ტაბ. XVIII<sub>4</sub>, XXII<sub>4,5</sub>, XXIII<sub>1-3</sub>], რენეში [28, გვ. 33, ტაბ. XXVII], ნარეკვავეში [14, გვ. 18-20, ტაბ. IV], თრელის სამაროვანზე, კარმირბლურზე, მინგეჩაურის №1 ყორღანში და სხვ.

ეს ლაგამები რ. აბრამიშვილს მოქცეული აქვს ძვ.წ. VIII-VII სს I ნახევრის ჯგუფში [3, ტაბ. I – 79, 80, 102, 103, 123].

ნაცარგორის №223 სამარხში აღმოჩენილი საკინძები (534) სფერულთავიანია. მათ სფეროს შუა წელზე და შემოდან ცენტრში პატარა 5 ბურთულა აქვთ მირჩილული, ხოლო ყელი – შემოდან და ქვემოდან რელიეფური რგოლებით შემოსაზღვრული. ყელს ქვემოთ დეროს გაკეთებული აქვს წვეტიან-ოვალური ფორმის ყუნწი. ერთი შეხედვით თითქოს ძალიან მრავლად არის ანალოგიური საკინძები გვიანი ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანის შიდა ქართლსა და მის მომიჯნავე რეგიონებში, მაგრამ ნაცარგორის საკინძებისაგან განსხვავებით, უმეტესობას ან სადა სფერული თავი აქვს, ან ყელი სხვაგვარად გაფორმებული. ასე, რომ ზუსტად ნაცარგორაში აღმოჩენილი საკინძების მსგავსი ნივთები ცნობილია წეროვანი IV-ის ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებით დათარიღებულ №29 სამარხში [12, გვ. 60-62, სურ. 414] ნარეკვავის ძვ.წ. XI – IX-სს-ის №14, 35 და ძვ.წ. VIII – VII სს-ით დათარიღებული (№19 სამარხი) [14, გვ. 45, 90, 58, ტაბ. XIV, XXVII, XVII] კომპლექსებიდან.

განსახილველი სამარხის ერთ-ერთი უადრესად საყურადღებო არტეფაქტია ბრინჯაოს გრავირებული და რკინით ინკრუსტირებული დაახლოებით 25 სმ-დე სიმაღლის აბზინდა. აბზინდებთან დაკავშირებით, კოლხეთის არქეოლოგიის მკვლევარი, თ. მიქელაძე შენიშნავს, რომ ზოგი მკვლევარი, მაგ. კრუპნოვი [29, გვ. 108] ბრინჯაოს აბზინდებს ყობანური კულტურის მკვეთრად გამოხატულ ატრიბუტად მიიხსენებს და იქვე დასძენს, რომ “ასეთი განსაზღვრა სამართლიანად შეგვეძლო მიგვეჩინა, ვიდრე ცნობილი იყო მარტოოდენ ყობანის აბზინდები და თითო-ორიოლა ამირკავკასიური ცალი. მაგრამ კოლხეთში აბზინდების აღმოჩენებმა, აბზინდების მრავალფეროვნებამ და სიმრავლემ, ყოველწლიურად მათი რიცხვის ზრდამ, შესაძლოა სხვა კუთხით დააყენოს მათი წარმომავლობის საკითხი” [13, გვ. 50]. ჩემის მხრივ დავუმატებ, რომ ასეთივე სურათი გვაქვს არა მარტო კოლხეთში, არამედ მომიჯნავე რაიონებში. ასე მაგალითად, მხოლოდ ნაცარგორის სამაროვანზე ამ უკანასკნელ წლებში ბრინჯაოს ხუთი შესანიშნავი აბზინდა აღმოჩნდა, 150-ზე მეტი აბზინდაა მოპოვებული თლიას სამაროვანზეც. აღსანიშნავია, რომ



თლიას მრავალრიცხოვანი აბზინდებიდან ერთიც კი არ არის ინკრუსტირებული, მაშინ როდესაც ისინი საკმაოდ ხშირია ჩრდილო კავკასიაში, შიდა ქართლსა და მესხეთ-ჯავახეთში. არსებობს შეხედულება, რომ ინკრუსტირებული დიდი აბზინდები უფრო ადრინდელია გრაფიკული დეკორით შემკულ პატარა აბზინდებთან შედარებით [18, გვ. 78]. ასევე ითვლება, რომ ამიერკავკასიაში აღმოჩენილ აბზინდებს შორის უძველესია უდეს განძის აბზინდები, რომელთა შორის არის ინკრუსტირებული მაღალი აბზინდებიც.

უდეს განძის ერთ-ერთი ინკრუსტირებული აბზინდის მსგავსი აბზინდა ბ. კუფტინს დაახლოებით ყობანის ეპოქის თანადროულად მიაჩნია [31, გვ. 9, ნახ. 3, ტაბ. I]. ასეთივე აბზინდასთან ერთად დვანის სამარხში (ქარელის რ-ნი), აღმოჩნდა ბრინჯაოს მთლიანდსხმული სატყვარი აქურული დაბალი ქუდით და მასრაგახსნილი გრავირებული შუბისპირი. ს. მაკალათიამ ეს კომპლექსი ძვ.წ. VIII-VII ს-ით დაათარიდა [33, გვ. 143]. უდეს განძი თავდაპირველად, როგორც ცნობილია, ძვ.წ. XI-IX სს-ით დათარიდა [38, გვ. 116-117]. შემდეგ განძის ზედა თარიღი ძვ.წ. X ს-ით განისაზღვრება [26, გვ. 60-61]. უდეს განძისა და ზემოხსენებული დვანის კომპლექსის თარიღი კიდევ უფრო დააძველა რ. აბრამიშვილმა, რომელმაც ისინი ძვ.წ. XIII-XII სს-ით დაათარიდა [2, გვ. 324, 325]. დაახლოებით ასეთივე შეხედულება გამოთქვა შემდეგ დ. ქორიძემაც [23, გვ. 109-111].

ბოლოს, ყურადღებას შევაჩერებ კიდევ ერთ არტეფაქტზე განსახილველი სამარხიდან. ეს არის ცალყურა ტოლჩა მეტნაკლებად გულამოღებული ძირითა და ტანზე სიგრძივი ზოლებით (518). ეს ჭურჭელი საკმაოდ გავრცელებულია შიდა ქართლის გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ძეგლებზე. ამ ტიპის ტოლჩები აღმოჩენილია დვანის [32, გვ. 238, ნახ. 11], ფლავისმანის [9, გვ. 227-233, ნახ. 15, 16], დმანისის [15, გვ. 51-57, სურ. 36], კასპის [4, გვ. 39-40, ტაბ. II], სამთავროს [31, ნახ. 67; 10, სურ. 267, 277, 913], ნარეკვავის [6, ტაბ. XX, XXVIII, XXXVI, 14, გვ. 76, 84, 108, ტაბ. XXI, XXV, XXXII, XXXIII], დოღლაურის [24, გვ. 154-157, ტაბ. I], თრელის [7, გვ. 138-140], რედკინ-ლაგერის [34, გვ. 200, ნახ. 78], წეროვანი II [12, სურ. 1063, 1064] და სხვ. ძეგლებზე. რ. აბრამიშვილის

შენიშვნით, ამ ტიპის ჭურჭელი, იშვიათი გამოხატვის გარდა, არ გვხვდება საქართველოს ფარგლებს გარეთ. საქართველოში კი იგი საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე არის ხმარებაში. კერძოდ, მისი არსებობის ხანა ძვ.წ. XIII-VII სს-ის მოიცავს [7, გვ. 139-140].

დაახლოებით ასეთია ნაცარგორის №223 სამარხის წამყვანი არტეფაქტების შესწავლის მდგომარეობა დღეისათვის. როგორც ვნახეთ, მათი ქრონოლოგიური არეალი მოიცავს საკმაოდ დიდ პერიოდს – ძვ.წ. XIII საუკუნიდან VII საუკუნის ნათვლით. ჩემი აზრით, ეს გამოხატავს გვიანი ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანის ძეგლებისა და არტეფაქტების შესწავლის ვითარებას თითქმის ნახევარი საუკუნის წინ. როგორც ცნობილია, ამ ორმოციოდე წლის წინ გამოხენილმა ქართველმა არქეოლოგმა რ. აბრამიშვილმა სამთავროს მასალებისა და იმ დროისათვის ცნობილი სხვა სინქრონული ძეგლების საფუძველზე, შექმნა ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ქრონოლოგიური ტაბულა, რომელიც დღესაც ემსახურება არა მარტო საქართველოს არქეოლოგიის შესწავლის საქმეს.

ამ ცოტა ხნის წინ, პირველი ქრონოლოგიური ტაბულის შემქმნიდან ზუსტად 40 წლის შემდეგ, გამოქვეყნდა რ. აბრამიშვილის ახალი ქრონოლოგიური ცხრილი. ყველანი ვართ მომსწრენი თუ როგორ ცდილობდა ბატონი როსტომ აბრამიშვილი უკვე შექმნილი ქრონოლოგიური ცხრილის დახვეწა-გაუმჯობესებას, პირველი ცხრილის გამოქვეყნების პირველივე დღიდან ახლად მოპოვებული მასალის კვლადაკვალ, მაგრამ რასაკვირველია არ ვიქნებოდით მართალი, რომ როსტომ აბრამიშვილის ახალი ქრონოლოგიური ცხრილი, მივიჩნიოთ დასრულებული მეცნიერული კვლევის შედეგად. ეს რომ ასე ყოფილიყო ავტორი მას თავიდანვე გამოაქვეყნებდა სათანადო ტექსტთან ერთად, ისევე როგორც მან ეს გააკეთა პირველი ცხრილის გამოქვეყნებისას. ჩემი აზრით, ეს ცხრილი წარმოადგენს ახალი ცხრილის სამუშაო ვარიანტს, 1957 წლის შემდეგ გამოვლენილი ძეგლებისა და არტეფაქტების გათვალისწინებისა და კვლევის საფუძველზე. 1957 წლის შემდეგ კი თუნდაც შიდა ქართლში გამოვლინდა არა ერთი დიდი მნიშვნელობის ძეგლი, რომელთაგან ერთი ნაწილის გამოქვეყნებას

თვით ბატონი როსტომი მოესწრო (თრე-ლიგორები, თლია, მადნისჭალა, კასპის სამაროვანი და სხვ.), ხოლო მეორე ნაწი-ლი მისი გარდაცვალების შემდეგ გამო-ქვეყნდა, ან დღესაც ელის გამოქვეყნებას (ნარეკვაი, ნატახტარი, მუხათგვერდი, ხა-შურის ნაცარგორა და თვით თრელის სამაროვნის დარჩენილი სამარხები და ნამოსახლარი). სავსებით ბუნებრივია, ახალმა ძეგლებმა ახალი მონაცემებით გაამდიდრა ჩვენი ცოდნა გვიანი ბრინ-ჯაოსა და ადრე რკინის ხანის შესახებ. ახალი მონაცემები თხოულობენ გარკვეუ-ლი კორექტივების შეტანას აქამდე არსე-ბულ შეხედულებებში. ამის ნათელ ილუს-ტრაციას წარმოადგენს თუნდაც წინამდე-ბარე პუბლიკაციაში მოტანილი სამარხე-ული კომპლექსი, რომელშიც, როგორც ვნახეთ, ერთად არის თავმოყრილი აქამდე არსებული შეხედულებებით ერთმანეთს 2-3 საუკუნით დაცილებული არტეფაქტები.

ასეთი შესავლის შემდეგ, ბუნებრივია, საკმაოდ ძნელი საქმე იქნება ისეთი რთუ-ლი კომპლექსისათვის როგორც ნაცარ-გორის №223 სამარხია შესაფერისი ქრო-ნოლოგიური ჩარჩოს გამოძებნა, რადგანაც ამჯერად არც მე და არც სხვა ვინმეს არა აქვს ასეთი სამუშაო ნატარებული. ამიტომ, ამჟამად შემოგთავაზებთ მხო-ლოდ წინასწარ თარიღს, ხოლო დეტა-ლურ ანალიზს კი გადავდებ იმ დროისა-თვის, როცა სრულად შევისწავლი, სხვა სინქრონული ძეგლების გათვალისწინე-ბით, ნაცარგორის სამაროვნზე გამოვლე-ნილი გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ძეგლებს.

დღეს ხელთარსებული მონაცემების სა-ფუძველზე, ბრინჯაოს მთლიანადსხმული თავდაფანჯრული სატევრების თარიღის (ძვ.წ. XIII-IX სს), ბრინჯაოს მაღალი გრავირებული და ინკრუსტირებული აბზინ-დების და ბრინჯაოსავე ორწილადი, მო-ღუნული, ბოლოებით დაკავშირებული, სა-ყბურშეურჩენელი ღაგმების თარიღის (ძვ.წ. IX-VIII სს) შეჯერებით, №223 სა-მარხის თარიღს წინასწარულად ძვ.წ. IX ს-ით განვსაზღვრავ.

A. Ramishvili

## BURIALS OF A "NOBLE WARRIOR" FROM V. NATSARGORA, KHASHURI DISTRICT

(Summary)

Burial 223 of the burial ground in v. Natsargora, Khashuri district attracts attention by the diversity of its grave goods. It yielded 9 clay vessels and fragments of a bronze vessel (pl. I), fragments of two iron items (pl. II<sub>540,542</sub>); sandstone finial of a mace (387); iron staff of bronze (538), as well as other bronze items: all-metal sword with a low openwork head and rounded end (521); hafted daggers (522, 523); spearheads with open plug (524, 525); small all-metal dagger (524); fragment of a spearhead or arrowhead (526); two-member bits (528, 529); belt buckle (532) and ring (530); 2 fibulae with spherical heads, with fine small bosses on the head (534); fragments of needles (538, 539) and a large ingot (536); chisel (527) and engraved buckle with iron inlay (535). Besides the above-listed items, up to 400 beads of sard and paste, 5 small beads with gold facing (560) were found.

It should be specially noted that the bronze sword and engraved buckle had been deliberately broken before interment.

On the basis of R. Abramishvili's chronological tables and numerous finds of artefacts – primarily analogous to the leading items of burial 223, I consider it feasible to date the burial in question tentatively to the 11<sup>th</sup> cent. B.C.

### ლიტერატურა

1. აბრამიშვილი, რ. სამთავროს სამა-როვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხა-ნის ძეგლების დათარიღებისათვის, სსმმ, XIX -A, XXI-B, 1957, გვ. 116-139.

2. აბრამიშვილი რ. რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსვლეთ საქართვე-ლოს ტერიტორიაზე, სსმმ XXII-B, 1961, გვ. 291-381.

3. აბრამიშვილი, რ. ამიერკავკასიის არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიუ-რი ჯგუფები, თამბ., №1, 1997.

4. აბრამიშვილი რ. თრელის ძვ. წ. XIII- XII სს. სამარხები, თბილისის არქეოლო-გიური ძეგლები, I, თბ., 1978, გვ. 86-158.

5. ბარამიძე მ. კასპის სამაროვანი, მსკა IV, 1955, გვ. 31-66.

6. ბარამიძე, მ. შიდა ქართლის მატერი-  
ალური კულტურის ისტორიიდან, მსკა VI,  
1974, გვ. 124-136.
7. დავლიანიძე რ., სადრაძე ვ. ნარე-  
კვავის ნამოსახლარი და სამაროვანი, თბ.,  
1993.
8. ლომთათიძე გ. ბრინჯაოს სატევრები  
და მახვილები სამთავროს უძველეს სა-  
მარხებში, თბ., 1974.
9. მაკალათია ს. ფლავისმანის უძველესი  
ნეკროპოლი, სსმმ V, 1930.
10. მცხეთა V, ა. აფაქიძის რედაქციით,  
თბ., 1981.
11. მცხეთა VI, ა. აფაქიძის რედაქციით,  
თბ., 1982.
12. მცხეთა IX, ა. აფაქიძის რედაქციით,  
თბ., 1989.
13. მიქელაძე თ. კოლხეთის ადრე რკინის  
ხანის სამაროვნები, თბ., 1985.
14. მცხეთა, ნარეკვავი I, თბ., 1999, ა.  
აფაქიძის რედაქციით
15. ნიორაძე გ. დმანისის ნეკროპოლის  
და მისი ზოგიერთი თავისებურება, სსმმ  
XIV-B, 1947, გვ. 1-66.
16. ოქროპირიძე ნ. ნარეკვავის სამარო-  
ვანი, ისტორიის ინსტიტუტის შრომები,  
VII, თბ., 1963, გვ. 183-220.
17. ოქროპირიძე ნ. მუხრანის ველის არ-  
ქეოლოგიური ძეგლები ძვ.წ. XVII-VII სს,  
მსკა VI, 1965, გვ. 15-30.
18. ფანცხავა ლ. კოლხური კულტურის  
მხატვრული ხელოსნობის ძეგლები, თბ.,  
1988.
19. ფიცხელაური კ. იორ-ალაზნის აუ-  
ზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა კულ-  
ტურა, თბ., 1965.
20. ფიგხელაური კ. აღმოსავლეთ სა-  
ქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი  
პრობლემები, თბ., 1973.
21. ქორიძე დ. გვიანი ბრინჯაოს ხანის  
არქეოლოგიური ძეგლები თბილისიდან  
(ნავთლედი), სსმმ XVIII-B, 1954, გვ. 5-89.
22. ქორიძე დ. თბილისის არქეოლო-  
გიური ძეგლების შესწავლისათვის, სსმმ  
XX-B, 1959, გვ. 39-54.
23. ქორიძე დ. კოლხური კულტურის  
ისტორიისათვის, თბ., 1965.
24. დამბაშიძე თ. გვიანი ბრინჯაოს  
ხანის ძეგლები სოფელ დოდლაურიდან,  
მსკა VI, 1974, გვ. 150-168.
25. ხიდაშელი მ. ცენტრალური ამიერ-  
კავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეუ-  
ლი რკინის ხანაში, თბ., 1982.
26. ჯავახიშვილი აღ., ჩუბინიშვილი გ.  
უდის განძი, საბჭოთა ხელოვნება, თბ.,  
1959, გვ. 59-64.
27. ჯაფარიძე თ. ცხინვალის განძი.  
სსმმ XVI-B, 1950, გვ. 99-107.
28. Иремашвили Н. Могильник познеброн-  
зовой эпохи из с. Рене, ПАИ в 1974 г. 1976. გვ.  
33.
29. Крупнов Е. Древняя история Северного  
Кавказа, М., 1960.
30. Куфтин Б. Археологические раскопки в  
Триалети, Тб., 1941.
31. Куфтин Б. Материалы к археологии  
Колхиды, II, Тб., 1950.
32. Макалатия С. Раскопки дванского мо-  
гильника, СА XI, М., 1949, გვ. 225-240.
33. Макалатия С. Погребение эпохи поз-  
ней бронзы из селения Двани, КСИИМК 69,  
1957, გვ. 139-143.
34. Мартиросян А. Армения в эпоху брон-  
зы и раннего железа, Ер., 1964. გვ. 34-44.
35. Рамишвили А. Раскопки в с. Нацаргора  
(Хашурский р-н) ПАИ в 1988, 1997.
36. Техов Б. Центральный Кавказ в XVI-X  
вв. до н.э. М., 1977.
37. Техов Б. Тлиский могильник, I Тб., 1980.
38. Чубинишвили Т. и др. Археологичес-  
кие разведки в южных районах Грузии, СА, 4,  
1957, გვ. 116-127.
39. Nioradze T. Der Uerwarkfund von Kvemo-  
Sasireti, ESA VII, Helsinki, 1932. გვ. 82-97.
40. Pruss A. Zur Chronologie des  
Groberfeldes von Tli, Teil 1, Georgica 16, 1993.
41. Pruss A. Zur Chronologie des  
Grobenfeldes von Tli, Teil 2 Georgica, 17, 1994.

#### ტაბულების განმარტება

ტაბ. I. ნაცარგორის №223 სამარხის  
თიხის ჭურჭელი.

ტაბ. II. ნაცარგორის №223 სამარხის  
ნივთები – ბრინჯაოს: მახვილი (521),  
სატევრები (522, 523), მინიატურული სატე-  
ვარი (524), შუბისპირები (525), ისრისა ღუ  
შუბისპირის ნატეხი (526), სატეხი (527),  
ლაგამი (528, 529), სათასმე რგოლი (530),  
სათასმე ბალთა (532), ბუნიკი (533), ნემსი  
(538, 539), ზოდის ნატეხები (536), საკინძი  
(534), რკინით ინკრუსტირებული აბზინდა  
(535). რკინის: ცალპირღესილი დანის  
ნატეხი (540), მრგვალი ღეროს ნატეხი  
(540), ქვის კვერთხისთავი (537). მძივები:  
ძვლის (541), მოოქროვილი (500), სარ-  
დიონის (545, 554, 555-559), პასტის (546-553).


## Description of the plates


Pl. I – Clay vessels of Natsargora burial 223

Pl. II – items of Natsargora burial 223; of bronze: sword (521), daggers (522, 523), miniature dagger (524), spearheads (525), fragment of arrow or spearhead (526), chisel (527), curb 9528, 429), strap ring (530), strap

buckle (532), finial (533), needle (538, 539), fragments of ingot (536), fibula (534), iron inlaid plaque (535); of iron: fragment of one-edged knife (542), fragment of a round rod (540). Iron finial of a mace (537), beads: bone (541), gilt (500), sord (545, 554, 55-559), paste (546-553).

ꣳꣳ I





სამთავროული კულტურის ძეგლები ღუშეთის რაიონიდან

ღუშეთის რაიონი გვიანბრინჯაო-ადრე-რკინის ხანაში წარმოადგენდა სასაზღვრო რეგიონს, სადაც ხდებოდა მნიშვნელოვანი არქეოლოგიური კულტურების შეხვედრა-შერწყმა. ჩრდილოეთით იგი მოიცავდა კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებს, მდ. არაგვის დიდ ნაწილს მისი შენაკადებითურთ, სამხრეთით ბაზალეთის ხეგანს, მის მიმდებარე მთისპირა ზოლს და მდ. ნარეკავის ხეობას.

მდ. არაგვის სათავესა და შუაწელთან გვიანბრინჯაო-ადრე-რკინის ხანის ძეგლები ნაკლებად არის აღმოჩენილი და შესწავლილი. აქ უმთავრესად შემთხვევითი მონაპოვრებია: ნაბარუნის განძი, განძი ფასანაურიდან, სამარხეული წარმოშობის ნივთები სოფ. ჭიკაანიდან. გამოკლისს წარმოადგენს უინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ სოფ. აბანოსხევის მახლობლად გათხრილი მრავალფენიანი სამაროვანი და უინვალის სამლოცველო.

სოფ. ჭიკაანიდან შემთხვევით მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ორი ჯგუფი მომდინარეობს. პირველში შედის ბრინჯაოს შემდეგი ნივთები: ფოთლისებური სატევარი, თავხვია საკინძი, მასიური თავშეუკრავი სამაჯური, მომცრო რგოლები და თიხის ჭურჭლის ყური.

სატევარი ადრეული ფორმისაა (ტაბ. 1). იგი წააგავს იმ სატევრებს, რომლებიც აღმოჩენილა სამთავროს უძველეს სამარხებში (სამთავრო, სამ. №№ 288, 238), ალგეთის ხეობაში - მადნიჭაღის №31 ორმოსამარხს და №30 ქვასამარხში. აღ. კალანდაძე [8, №№ 415, 418, 209], გ. ლომთათიძე [7, გვ. 49 ტაბ. II], ტ. ჩუბინიშვილი [12, გვ. 111], რ. აბრამიშვილი [1, გვ. 308], ნ. თუშიშვილი [5, გვ. 119] ამ იარაღს ძვ.წ. XIV-XIII სს ათარიღებენ, ხოლო კ. ფიცხელაური ძვ. XIII-XII სს მიაკუთვნებს [11, გვ. 160].

თავხვია საკინძი მრგვალდეროიანია, ბოლოსკენ შევიწროვებული (ტაბ. 15). მსგავსი საკინძები მრავლადაა აღმოჩენილი სამთავროს სამაროვანზე. მათი გავრცელების არეალი საკმაოდ დიდია: შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, სამცხე, ჩრდილო კავკასია (ყობანის კულტურის გავრცელების ტერიტორია). მათი სახესხვაობა გვხვდება დას. საქართველოში. სამთავროს სამაროვანზე ფოთლისებური სატევრებისა და თავხვია საკინძების თანაარსებობა და-

მახასიათებელია გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპის სამარხებისთვის [10, გვ. 29].

ამავე ჯგუფში შემაჯავლი ორი რგოლი, ერთმანეთზე გადასული თავებით, (ტაბ. 12,3) თითქოს ტიპურ სამაჯურებს წარმოადგენს, მაგრამ სამთავროს უძველეს ორმოსამარხებში ისინი მიცვალებულის წვივებთან არის აღმოჩენილი (სამთავრო, სამხ. უბანი, სამ. №№ 156, 162, 172. იგივე ვითარებაა მადნიჭაღის №19 სამარხში [5, გვ. 117-119], №20 სამარხში - იო დადასტურებულია როგორც ხელზე, ისე წვივებზე. ასეთი სამკაული ზოგადად გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული პერიოდისთვისაა დამახასიათებელი.

ჭიკაანის კოლექციის მესამე მცირედ თავგადასული რგოლი განსხვავებული ზომისაა, მასიურია და ბოლოებში შევიწროებული (ტაბ. V4). მსგავსი სამაჯურები ფართოდაა წარმოდგენილი სამთავროს სამაროვნის გვიანბრინჯაოს ხანის მასალებში.

ჭიკაანის მონაპოვართა მეორე ჯგუფში შედის ბრინჯაოს შემდეგი ნივთები: სატევრის პირი, თავხვია საკინძი, ხვია, ორი მშვილდსაკინძი, რგოლი, აბზინდა, კილიტი და სამაჯური (სსმ კოლ. 38-59, 1-9).

აღმომჩენის, ი. ჭიკაიძის, გადმოცემით, ერთ სამარხში იღო აბზინდა, თავხვია საკინძი, ორი ფიბულა; მეორეში - სატევარი, ხვია, ორი რგოლი, კილიტი.

ბრინჯაოს აბზინდა (ტაბ. 114) სწორკუთხა ფორმისაა, მთელ სიგრძეზე რვა სათასზე ნახვრეტით, შუაში კაუჭით, ორივე მხარეს ის ცხოველთა გამოსახულებებითაა შემკული. ასეთ ბაღთებს მრავლად ვხვდებით დასავლეთ საქართველოში, სამცხეში, ყოზანში. ჭიკაანის აბზინდა განსაკუთრებით წააგავს თლიას №168 სამარხში აღმოჩენილ აბზინდას [17, გვ. 617] და ყოზანში დადასტურებულ ანალოგიურ ნივთს [18, ტაბ. XVI-3]. ბ. ტეხოვი მათ ძვ.წ. X-IX სს ათარიღებს. აღნიშნული აბზინდების სახესხვაობას სამთავროს საროვნის №293 სამარხშიც ვხვდებით.

თავხვია საკინძი (ტაბ. 112) კვეთაში წახნაგოვანია. მრგვალდეროიან საკინძებთან ერთად ეს ნივთი გვხვდება სამთავროს ადრეულ სამარხებში, ხოლო კოლხურ-ყოზანური კულტურის წრეში ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში.

ჭიკაანში აღმოჩენილი მშვილდსაკინძები (ტაბ. I11.13) საშუალო ზომისაა. მიუხედავად იმისა, რომ მშვილდსაკინძს კოლხური კულტურის ნაყოფად თვლიან, ამ ნივთს ვხვდებით სამთავროს ძვ.წ. XI-X სს დათარიღებულ სამარხებში [2, გვ. 328-329] ე.ი. რკინის ფართო ათვისების პირველ საფეხურზე, ასევე დათარიღებული თლიასში აღმოჩენილი ანალოგიური მშვილდსაკინძების შემცველი სამარხები [17, გვ. 143].

ბრინჯაოს სატევარი (ტაბ. 16) ზემოაღწერილისაგან განსხვავებული ფორმისაა. ქედის ნაცვლად შუა ნაწილში იგი შესქელებულია, აქვს სამანჭველზე ორი ნახვრეტი, რომლებიც რკინის ქანგით იყო დაფარული. იგი მოგვაგონებს თლიასა და ყობანის სატევრებს. თლიას №114 სამარხში აღმოჩენილ ანალოგიურ სატევარს ბ. ტეხოვი ძვ.წ. XI-X სს ათარიღებს [17, გვ. 8, სურ. 56].

ხვიები (ტაბ. 17) რომლებიც თან ახლდა ამ ნივთებს სამთავროს სამაროვნისთვის დამახასიათებელი არ არის, თუმცა აღმოჩენილია №288 სამარხში [8, სურ. 251].

ამგვარად, ჭიკაანში შემთხვევით აღმოჩენილ მეორე ჯგუფის ნივთებში ჩანს კოლხური და სამთავრული კულტურის ელემენტების თანხვედრა, თუმცა ამ პერიოდში პირველი ჭარბობს.

ჩაბარუხის და ფასანაურის განძის ნივთთა ერთი ნაწილი - სატევრისპირები, შუბისპირები, ირმის ქანდაკებები, ბრინჯაოს ფურცლისგან დამზადებული სარტყლები, სამთავრულსა და აღმოსავლეთამიერკავკასიულ კულტურას მიეკუთვნება [1, გვ. 132-135].

ჩაბარუხის განძში შემავალი, ცხოველთა და ადამიანთა გამოსახულებებით შემკული, სარტყელები ემსგავსება სამთავროს №№168,121 და თლიას №161 სამარხში აღმოჩენილ სარტყელებს, ბ. ტეხოვი ეყრდნობა რ. აბრამიშვილს და მათ ძვ.წ. IX-VIII სს-ით ათარიღებს [17, გვ. 14-23].

მეორე სარტყელი ჩაბარუხის განძიდან, სადაც ორწყებად განლაგებული ცხოველები და ადამიანებია მოცემული, პარალელებს იძებნის თრიალეთის, მარალინდერესის, თლიას №76 სამარხის და თრელის №74 სამარხის სარტყლებთან. თრიალეთის სამარხი ვანის ეპოქით თარიღდება [15, გვ. 24-23], თრელის №74 კი ძვ.წ. IX-VIII სს მიეკუთვნება [4, გვ. 57]. როგორც ბ. ტეხოვი, ისე თრელის სარტყლის შემსწავლელი რ. აბრამიშვილი მათ ადგილობრივ ნაწარმად მიიჩნევს.

რაც შეეხება სატევრისპირებს, ისინი აღისებური ფორმისაა და სამთავროს სამაროვანზე ფოთლისებურ სატევრებთან თანადროულად არსებობს, მაგრამ დროთა განმავლობაში სახეს იცვლის, იზრდება ზომაში და ქედიც უმსხვილდება. გამოყოფილია ადრეული ბეშთაშენური, სამთავრული და ქვასათალის სატევრები, რომლებიც ძვ.წ. XIV-XIII საუკუნეებითაა დათარიღებული (რ. აბრამიშვილი, ტ. ჩუბინიშვილი, ო. ჯაფარიძე) და გვიანდელი - თლიას, ბრილისა და ჩრდ. კავკასიური, რომლებიც ძვ.წ. VII-VI სს მიეკუთვნება [16, გვ. 23-34].

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ განძებში სამთავრული კულტურისთვის დამახასიათებელ ინვენტარს ვხვდებით, მაინც მასალის უმეტესობა კოლხური კულტურის წრეს განეკუთვნება.

ამგვარად, დუშეთის რაიონის მთიან ნაწილში, არაგვის ხეობაში, არსებული მასალების მიხედვით, ადრერკინის ხანაში, აშკარად ჩანს კოლხური კულტურის უპირატესობა.

არაგვის ხეობის ზემო და შუა წელზე, ბრინჯაოს ხანის მხოლოდ ერთი სამაროვანია გათხრილი, ბულანაურში, ადგილ ხიმშიანთ მიწებზე. სადაც ბრინჯაოს ხანის სხვადასხვა პერიოდია წარმოდგენილი. აქედან 22 სამარხი გვიანბრინჯაოს ხანას განეკუთვნება. მოპოვებულ მასალაში ძირითადად ცენტრალურამიერკავკასიური კერამიკაა წარმოდგენილი, თუმცა არის სამთავრული კულტურის ელემენტებიც [14, გვ. 528].

დუშეთის რაიონის მთიანი ზოლისაგან განსხვავებით, ბაზალეთის პლატო და მისი მიმდებარე მთისპირა ნაწილი, მდ. ნარეკვავის ხეობა, მდიდარია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლებით. სოფ. მჭადიჯვარს, ღამოვანსა და შუახევს შორის სამი მრავალფენიანი გორანამოსახლარია დამოწმებული. გრემისხევში, ადგილ ნამზღვლეუში, რკინის ფართო ათვისების ხანის სამაროვანი გაითხარა, ხოლო სოფ. ვარსიმანთკარში და ბაზალეთში ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანების ვრცელი სამაროვნები.

ამ ტერიტორიაზე აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთებისა და ზოდების განძი, ცალკეული იარაღები, აღმოსავლეთამიერკავკასიური ტიპის ცულები (ბაზალეთი, კოდისწყარო, გრემისხევი), ბრტყელი ცული (კოდისწყარო), კახური ტიპის სატევარი (ფშავის არაგვის ხეობა) და სხვა.

მთისპირა ზოლს პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა არაგვის ხეობის, როგორც მთის, ისე ბარის მოსახლეობისათვის. ანტიკურ ხანაში საზღვარი "ზენა სოფლისა" (შემდეგში "შიდა ქართლისა") მდ. არაგვამდე აღწევდა.

მდ. ნარეკვავის მარჯვენა ნაპირზე, გრემისხევში, ადგილ ნამზღვლევეში, გაითხარა სამაროვანი [13, გვ. 59]. თითოეულ სამარხში აღმოჩნდა 2-5 ცალამდე თიხის ჭურჭელი. მამაკაცის სამარხებში იდო რკინის მასრაგახსნილი შუბისპირები, ბრინჯაოსა და ძვლის ბრტყელფირფიტოვანი, ქუსლამოდარული ისრიპირი; ქალების სამარხებში - ბრინჯაოს კონუსის ფორმის კილიტები, ხვიები, შეწყვილებულრკალიანი სამაჯურები, ნემსები, ილარი ჯაჭვითურთ, სახლის გამოსახულებით შემკული საკინძები, ბრინჯაოს, სარდიონისა და პასტის მძივები - მათ შორის დომინოსებური.

არათანაბრად გამომწვარი თიხის ჭურჭელი უპირატესად შავი ფერისაა. გრემისხევის №2 სამარხში აღმოჩენილ ქილას ზუსტი ანალოგი მოეძებნა სამთავროს ველის 1938წ. ნრ. უბანზე გათხრილ №9 სამარხში. რ. აბრამიშვილი ამ სამარხს რკინის ფართო ათვისების II საფეხურით, ძვ.წ. VIII-VII სს ათარიღებს [1, გვ. 136-137]. ანალოგიურ ჭურჭელს ვხვდებით მჭადიჯვრის №2 გორის ზედა ფენაში. გრემისხევში აღმოჩენილი სხვა ჭურჭელიც, მაგ. ცალეურა ქოთანი პარალელს სამთავროს №152 ორმოსამარხში იძებნის, ხოლო №2 სამარხში აღმოჩენილი კოჭობი - სამთავროს №8 ორმოსამარხში.

რ. აბრამიშვილის ნაშრომის მიხედვით თხელფირფიტოვანი ისრისპირები სამთავროს უძველეს ორმოსამარხებში ძვ.წ. XIII-XII სს იხენს თავს და ძვ.წ. VI საუკუნემდე აგრძელებს არსებობას. [2, გვ. 134].

გრძელმასრიანი შუბისპირები ცნობილია ქვემო ქართლში, თაქ-ქილისას, ძვ.წ. IX-VIII სს სამარხებში [15, გვ. 56-58]. გრემისხევის სამაროვანზე აღმოჩენილ სამკაულთაგან უნდა გამოვყოთ შეწყვილებულრკალიანი სამაჯური. ასეთი სამაჯურები გავრცელებული ყოფილა შიდა ქართლში (სამთავრო, ნარეკვავი), ქვემო ქართლში, სომხეთში (ღენინაკანი, გოლოვინო, რედკინ ლაგერი, ართიკი). ტ. ხაჩატრიანი მათ ძვ.წ. IX-VIII სს. შორის ათავსებს [19, გვ. 32, ტაბ. XII, 4]. ამავე პერიოდისაა დომინოს ფორმის მძივებიც.

საყურადღებოა, რომ გრემისხევში აღმოჩენილი სახლის გამოსახულებით შემკული საკინძები გვხვდება სამთავროული კულტურის გავრცელების რაიონში, სამთავროს №107 სამარხში (1939წ.). სათოვლე ნაბაღრებში [6, გვ. 64].

ამგვარად, გრემისხევში მოპოვებული მასალის უმეტესობა სამთავროს სამაროვანზე და სამთავროული კულტურის გვიანდელ ძეგლებში პოულობს შესატყვისებს და რ. აბრამიშვილის მიერ შემუშავებული ქრონოლოგიის მიხედვით ძვ. VIII-VII სს თარიღდება [1].

დაზვერვების შედეგად შუახევის, მჭადიჯვრის №1 გორაზე შეკრებილმა მასალამ სამთავროული ტიპის კერამიკა მოგვცა, ხოლო ჩვენს მიერ გათხრილ და შესწავლილ მჭადიჯვრის №2 გორაზე, გვიანბრინჯაოს ხანის ქვედა ფენამ განსხვავებული კერამიკა წარმოგვიდგინა. მისი მომდევნო პორიზონტები უკვე შეიცავდა სამთავროს სამაროვნისთვის დამახასიათებელ სხვადასხვა ზომისა და ფორმის შავად გამომწვარ და საგანგებოდ ნაპრიალებ ჭურჭელს (ხელაღები, დოქები, ჯამები, ღერგები, კოჭბები).

ძვ.წ. X-VIII საუკუნეების ფენებში შემორჩენილი იყო პურის საცხობი ღუმელის ნაშთები, ალიზის ნაგებობათა ქვის ფუნდამენტები, შენობათა ნანგრევები. კერამიკის დიდი ნაწილი ღია ან მუქი ნაცრისფერია და სარძნობლად განსხვავდება. როგორც კეციტ, ისე ფორმით და ორნამენტით ქვედა ფენის თიხის ნაწარმისაგან. ასეთი სახის კერამიკა საკმაოდაა ცნობილი სამთავროს მასალებში გვიანბრინჯაოს მესამე პერიოდში (აღ. კალნდაძის მიხედვით). რ. აბრამიშვილი ასეთ ჭურჭელს რკინის ფართო ათვისების ხანის პირველ საფეხურს მიაკუთვნებს და ძვ.წ. XI-X სს ათარიღებს, ხოლო მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი მასალებისთვის, სადაც უფრო გვიან შედის სიახლენი, მას ძვ.წ. X ს. I ნახევარი და IX ს. მოყავს. [2, გვ. 365].

ასე, რომ მჭადიჯვრის №2 გორაზე ჩვენ ვხედავთ სამთავროული კულტურის მატარებელი ტომების უწყვეტი ცხოვრების კვალს გვიანბრინჯაოს ხანიდან წინა ანტიკურ ხანამდე. ცხოვრება ამ გორაზე ანტიკურსა და ადრე შუასაუკუნეებშიც გრძელდებოდა.

მგვარად, მთისპირა ზოლში და მთაში შეიმჩნევა კოლხური კულტურის მძლავრი იმპულსები, ხოლო ბაზალეთის პლატოსა



და დაბალ საარაგვოში ჭარბობს სამთავროული კულტურის გავლენა.

L. Tzitlanadze

## MONUMENTS OF SAMTAVRO CULTURE FROM DUSHETI DISTRICT

(Summary)

Dusheti District was a meeting point of the Western and Eastern Georgian Late Bronze and Early iron Age archeological cultures.

In the maountain part of Dusheti district, along the river Aragvi, the Bronze-Early Iron Age sites are least found and accordingly less studied. The exceptions are the grave goods accidentally found in the village of Chikaani. One group of these goods belongs to the Samtavro culture (dagger, pin, rings) and dated to the 14<sup>th</sup>-13<sup>th</sup> cent. B.C. Other findis reveal a strong influence of Colchian culture, although certain eastern features are retraceable as well.

The foothills of Bazaleti district, Plateau, the Narekvavi river valley are characterized by rich archeological sites. Among them several multi-stratic sites of ancient settlements and burials should see. In the better studied lower hill of Chadijvari. After the late Bronze-Early Mom Age stratum was revealed several meters stratum with Samtavro type ceramics dated to the 13<sup>th</sup>-7<sup>th</sup> cent. B.C.

The burial of Greniskhevi dated to the 8<sup>th</sup>-7<sup>th</sup> cent. B.C. belongs to the late period of Samtavro culture.

In the highland of Dusheti district, in the Aragvi Valley strong impulses of the Colchian culture are visible. On the Bazaleti district plateau and Narekvavi valley preceded the influence Samtavro culture.

### ლიტერატურია

1. აბრამიშვილი რ. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის, სსმ XIX-A და XXI-B, 1957, გვ. 116-139.

2. აბრამიშვილი რ. რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ.წ. XIV-VI სს), სსმ XXII-B, 1961, გვ. 231-239.

3. აბრამიშვილი რ. ამიერკავკასიის არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიური ჯგუფები, თაგზ, №1, 1997.

4. აბრამიშვილი ნ. თრელის სამაროვანის ბრინჯაოს სარტყელი, ძმ, №39, 1975, გვ. 52-57.

5. თუშიშვილი ნ. მადნიჭაღის სამაროვანი, თბ., 1972.

6. ირემაშვილი შ. პირველად არქეოლოგიაში, ძმ, №39, 1975, გვ. 64-66.

7. ლომთათიძე გ. ბრინჯაოს სატყვრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში, თბ., 1974.

8. მცხეთა, IV, ა. აფაქიძის რედაქციით, თბ., 1980.

9. მცხეთა, VI, ა. აფაქიძის რედაქციით, თბ., 1982.

10. ოქროპირიძე ნ. ბრინჯაოს თავხვია საკინძები სამთავროს ორმოსამარხებიდან, მსკი, 29, 1951, გვ. 140-143.

11. ფიცხელაური კ. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები, (ძვ.წ. XV-VIII სს), თბ., 1973.

12. ჩუბინიშვილი ტ. მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1957.

13. წითლანაძე ლ. გრემისხევის სამაროვანი, ძმ, 4(78) 1987, გვ. 59-62.

14. Гогочурн Г. Л. Исследование в с. Абаносхеви, АО, 1977, 1985, გვ. 528-529.

15. Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941.

16. Панцхава Л. Н. Некоторые вопросы колхидской и кобанской культуры (по материалам чабарухского и пасанаурских кладов), Тб., 1986.

17. Техов Б. В. Центральный Кавказ в XVI-X вв. - до н.э. М., 1977.

18. Уварова П. С. Могильники Северного Кавказа, МАК, VIII, 1901

19. Хачатрян Т. С. Древняя культура Ширака, Ер., 1979.

### ტაბულის განმარტება

ტაბ. I. 1-5 - სოფელ ჭიკაანში შემთხვევით მოპოვებული ბრინჯაოს ნივთების პირველი ჯგუფი:


1. ფოთლისებური სატყვარი; 2, 3, 4 - რგოლები; 5 - თავხვია საკინძი. 6-14 შემთხვევით მოპოვებული ბრინჯაოს ნივთების მეორე ჯგუფი: 6- სატყვარი; 7-ხვიები; 8, 9, 10 - რგოლები. 11, 13 - მშვილდსაკინძი; 12 - თავხვია საკინძი; 14 - აბზინდა.

**Description of the plate**

Pl. I 1-5 – Group I of the bronze items found accidentally at Chikaani: 1. leaf-like dagger; 2, 3, 4 hoops; 5 – volute fibula

6-14 – group II of bronze items found by chance: 6 – dagger; 7– volutes; 8, 9, 10 – hoops; 11, 13 – bow-shaped fibula; 12 – volute fibula; 14 – buckle.

გამ. I



## ბესარიონ მაისურაძე, გივი ინანიშვილი

### შილდის სამლოცველოს ლითონის ინვენტარის ქიმიურ-ტექნოლოგიური ანალიზის შედეგები და მისი აღბილი ცენტრალური ამიერკავკასიის ბვინანბრინჯაოს ხანის ფერადლითონწარმოების სისტემაში

ფერადი ლითონის წარმოება განვითარების უმაღლეს საფეხურს გვიანბრინჯაოს ხანაში აღწევს. ამ პერიოდში შეიმჩნევა მეურნეობის საერთო აღმავლობა, ტომთა შორის კავშირების გაცხოველება, რაც გამოხატულებას პოულობს ცენტრალური ამიერკავკასიის ცალკეული რეგიონების ბრინჯაოს საწარმოო მახვევებლების და პროდუქციის რაოდენობის ზრდაში; ცენტრალური ამიერკავკასიის ბრინჯაოს მეტალურგიული ცენტრები ფართოდ იყენებენ კალიანი, ანთიმონიანი და დარიშხნიანი ბრინჯაოს შენადნობებს; რთული, მრავალკომპონენტიანი ლიგატურით მზადდება ბრინჯაოს იარაღ-საჭურველი, სამეურნეო ხასიათის ინვენტარი, სამკაული.

ცენტრალური ამიერკავკასიის ბრინჯაოს მეტალურგიისა და ლითონდამუშავების ისტორიის გათვალისწინებით, მეორადი დამუშავების ერთ-ერთი ცენტრის არსებობა სავარაუდოა კახეთის ტერიტორიაზე. გვიანბრინჯაოს ხანის მთისა და ბარის რეგიონის მჭიდრო ეკონომიკურმა ურთიერთობებმა განაპირობეს მთისწინა ზოლში და ბარში ბრინჯაოს წარმოების ძლიერი მეორადი ცენტრების შექმნის აუცილებლობა. ასეთი ცენტრების ფუნქციონირებასთან უნდა იყოს დაკავშირებული, ამ პერიოდის ფერადი ლითონის შენადნობთა ბაზაზე მიღებული ნივთების სერიული წარმოება, რაც კარგად აისახა დიდი რაოდენობით ერთტიპური ინვენტარის გავრცელებაში – ცულები, სატევრები, მახვილები, შუბისპირები და სხვ.

გვიანბრინჯაოს ხანის ცენტრალური ამიერკავკასიის ფერადლითონდამუშავებაში მომხდარი საწარმოო ორგანიზაციისა და ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა-განვითარების მაღალი დონის განმსაზღვრელად უნდა მივიჩნიოთ შილდის სამლოცველოზე დიდი რაოდენობით მოპოვებული ლითონის ინვენტარი. აქ აღმოჩენილი სპილენძ-ბრინჯაოს მასალა დაკავშირებული ჩანს კახეთის რეგიონში ფუნქციონირებად,

ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების ადგილობრივ ცენტრებთან.

ამ მხრივ, შილდის სამლოცველოზე აღმოჩენილი ფერადლითონწარმოების ნიმუშების ქიმიურ-ტექნოლოგიური შესწავლის მიმართ ინტერესი განსაკუთრებულია.

შილდის სამლოცველოს ბრინჯაოს მასალის სპექტრული ანალიზის შედეგების შესაბამისად, შენადნობთა ძირითადი ელემენტების განაწილებით და მათი წამყვანი წყვილების კორელაციური დამოკიდებულების გრაფიკული მონაცემებით, შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე მეტალურგიული ჯგუფი.

ნივთების ძირითადი ნაწილი დამზადებულია კალიანი და მრავალკომპონენტიანი ლიგატურის მქონე ბრინჯაოსაგან. წამყვანი მალეგირებელი ელემენტია კალა, რომელიც ლიგატურაში გვხვდება ანთიმონთან, ტყვიასთან და თუთიასთან ერთად. გარდა ამისა, კალა ფიქსირდება მრავალკომპონენტიან ბრინჯაოს მასალაშიც.

შილდის სამლოცველოზე მოპოვებულ ბრინჯაოს ინვენტარში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ანთიმონის მაღალი პროცენტული შემცველობის მქონე ნივთებს, ლოკალურად არის გამოყოფილი ანთიმონის როგორც მალეგირებელი ელემენტის დანიშნულება ბრინჯაოს მასალაში. ანთიმონი შენადნობში გვხვდება კალასთან, თუთიასთან ერთად და წარმოადგენს მრავალკომპონენტიანი ლიგატურის ბრინჯაოს ერთ-ერთ წამყვან ელემენტს.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ შილდის სამლოცველოზე აღმოჩენილი წარმოების ნარჩენების, წიდის და ნაღვენთების, ფრაგმენტები მაღალი პროცენტული რაოდენობით შეიცავენ კალას, რაც ლითონური კალის დამატებით, ბრინჯაოს მეორადი დნობის ამსახველი უნდა იყოს. წარმოების ნაშთებში კალასთან ერთად გვხვდება დარიშხანი, ანთიმონი და ტყვია. ზემოაღნიშნული ტექნოლოგიური მონაცემები კარგად ადასტურებს, რომ შილდის სამლოცველო-

ზე აღმოჩენილი ინვენტარი მზადდებოდა ადგილობრივი სპილენძის მადნეულის ბაზაზე მიღებული ბრინჯაოს მასალით.

სამლოცველოზე მოპოვებული ბრინჯაოს ინვენტარის ქიმიურ-ტექნოლოგიური შესწავლის შედეგები, მათი ტიპოლოგიური კლასიფიკაცია განსაზღვრავს აღნიშნული ძეგლის ადგილს ცენტრალური ამიერკავკასიის გვიანბრინჯაოს ხანის კულტურათა სისტემაში.

თუ გავითვალისწინებთ ცენტრალური ამიერკავკასიის გეოგრაფიულ მდებარეობას ადგილობრივი სპილენძის გამადნებათა სისტემების მიმართ (ცენტრალური კავკასიონის უკიდურესი აღმოსავლეთი ზონა, მცირე კავკასიონისა და ალავერდ-ქედაბეკის სისტემები), შეიძლება ითქვას, რომ შილდის სამლოცველოს ბრინჯაოს ინვენტარის, დამამზადებელი მეორადი ლითონდამუშავების კერები ფუნქციონირებდა არა მხოლოდ ზემოაღნიშნული სპილენძის მადნეულის ბაზაზე. ადგილობრივი ბრინჯაოს მეორადი შენადნობების მიღების საწარმო პროცესში, სავარაუდოა რაჭის მთიანეთის ზონაში გადამუშავებული ლითონური ანთიმონისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიიდან იმპორტირებული კალის გამოყენება. ყოველივე ეს უნდა მიუთითებდეს, ცენტრალური ამიერკავკასიის ბრინჯაოს წარმოების დიდ მასშტაბებსა და შესაძლო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე, დასავლეთ საქართველოს კულტურის წრეში შემავალ მეტალურგიულ წარმოებასთან და წინა აზიის კალით მდიდარ მეტალოგენურ პროვინციებთან.

ამდენად, სავარაუდოა, რომ კახეთის რეგიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ძვ.წ. II ათასწ. მეორე ნახევარში ფუნქციონირებდა ბრინჯაოს მეორადი ლითონდამუშავების ლოკალური კერა. შილდის სამლოცველოს ბრინჯაოს ინვენტარი დაკავშირებული უნდა იყოს აღნიშნულ საწარმოო უბანთან. ძვ.წ. XIV-X სს-ში ეს რეგიონი ჩართულია ცენტრალური ამიერკავკასიის და ზოგადად კავკასიის გვიანბრინჯაოს ხანის მეტალურგიული წარმოების ერთიან სისტემაში.

**B. Maisuradze and G. Inanishvili**

**THE FINDINGS OF A CHEMICAL-TECHNOLOGICAL ANALYSIS OF THE METAL INVENTORY OF THE SHILDA MEETING-HOUSE AND ITS PLACE IN THE LATE BRONZE AGE SYSTEM OF NON-FERROUS METAL MANUFACTURE OF CENTRAL SOUTH CAUCASIA.**

(Summary)

The bronze items found at the Shilda meeting house have been studied. Three metallurgical groups have been identified on the basis of chemical-metallurgical analysis. The items are made of tinned bronze, antimony bronze and a multicomponent alloy.

An assumption is made to the effect that the metal inventory of the Shilda meeting-house is related to the local seat of manufacturing non-ferrous metals that functioned in the north-eastern part of Kakheti region in the second half of the 2<sup>nd</sup> millennium B.C.

სკვითური პრობლემატიკა როსტომ აბრამიშვილის ნაშრომებში

კონკრეტული სკვითური ინვენტარი (სკვითური არქეოლოგიური კულტურის სპეციფიკის განმსაზღვრელი), კლასიფიცირებული მკაცრი ტიპოლოგიური მეთოდით, როგორც ერთ-ერთი ძირითადი საყრდენი დათარიღებისა, პირველმა ბატონმა როსტომ აბრამიშვილმა დაუდო საფუძვლად ერთი ქრონოლოგიური მონაკვეთის გამოყოფას აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიაში. მისი ეს საექტავო ნაშრომი მისაბადი მაგალითი იყო და ასეთად დარჩება არქეოლოგთა თაობებისათვის [1]

სამთავროს სამაროვნის ორმოსამარხებს შორის ქრონოლოგიური ხარვეზის უქონლობამ და იმ გარემოებამ, რომ იარაღი ტიპოლოგიური ცვალებადობის სწრაფ სურათს იძლევა, მკვლევარს შეადგენინა ქრონოლოგიური შკალა, რომლის ამოსავალი წერტილი გახდა ის სამარხეული კომპლექსები, რომლებიც სკვითური ტიპის მასაღას შეიცავენ. იმ დროისათვის არქაული სკვითური კომპლექსისათვის მიღებული ქრონოლოგიის შესაბამისად ეს სამარხები მკვლევარმა ზოგადად ძვ.წ. VII ს. მეორე ნახევრითა და ძვ.წ. VI ს-ით დაათარიღა; აქედან ადრეული ისრისპირების შემცველი კომპლექსები ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. VII-VI სს. მიჯნით [1, გვ. 127-130], ხოლო აკინაკებიანი სამარხები ძვ.წ. VII ს. დასასრულითა და ძვ.წ. VI ს-ს პირველი ნახევრით განსაზღვრა [1, გვ. 131], ძვლის ნივთებიანი № 106 სამარხი კი მთლიანად ძვ.წ. VI ს-ის ფარგლებში მოაქცია [1, გვ. 131].

ბოლოდროინდელ გამოკვლევებში, როგორც ცნობილია, არქაული სკვითური კომპლექსის დაძველების ტენდენცია განჩნდა [6, გვ. 87-89; 15; 16, გვ. 43,75], თუმცა ამ მიმართულებას თავისი ოპონენტებიც ჰყავს [8, გვ. 85-86; 9, გვ. 79-87]; ამ პროცესში ჩართულია საქართველოს სკვითურინვენტარიანი სამარხებიც და ეს სამთავროს № 106 სამარხსაც შეეხო, რომელიც ადრესკვითური კულტურის უადრეს ეტაპს მიეკუთვნა – ძვ.წ. VIII ს მეორე ნახევარი ძვ.წ. VII ს დასაწყისი [16, გვ. 43, 75; 6, გვ. 87]. ამ კომპლექსს, როგორც ითქვა, ძვლის ინვენტარის გათვალისწინებით როსტომ აბრამიშვილი ძვ.წ. VI ს-ით ათარიღებდა. ძვლის ინვენტარის დიდი მსგავსების გამო რეპიახოვატაია მოგიღასა (ეს სამარხი ადრესკვითური ეტაპის გადათარიღების ეტალონურ ძეგლად იქცა მასში მიღებული ამფორის არსებობის

გამო, რომელიც არასწორად ძვ.წ. VII ს-ს. მიაკუთვნეს ნაცვლად ძვ.წ. VI ს-სა – 5, გვ. 31-63; 14, გვ. 170) და მისი რიგის კომპლექსების ანალოგიურ ნივთებთან, და ასევე ამ სამარხში ძვლის სამწახნავა ისრისპირის აღმოჩენის გათვალისწინებით, რომელიც ძვ.წ. VII ს-ში არ ჩანს არც ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში და არც წინა აზიის ისრისპირთა შორის [13, გვ. 189, სურ.1], არამედ ძვ.წ. VI-V სს. კომპლექსებისთვისაა დამახასიათებელი [7, ტაბ. 75.6], როსტომ აბრამიშვილის თარიღი ძალაში უნდა დარჩეს.

არქაული სკვითური კომპლექსის დაძველების ტენდენციას ნაწილობრივ ბიძგი მისცა წერილობითი ცნობების მატერიალურ კულტურასთან მისადაგების სურვილმა. ირანულენოვანი ნომადების გამოჩენა ასპარეზზე უდიდესი მოვლენა იყო ძველი სამყაროს ისტორიაში. მას შემდეგ, რაც XIX ს-ში მოხდა ძველადმოსავლური ტექსტების „გიმირ-გამირის“ ბერძნული წყაროების კიმერიელებთან, ხოლო „იშკუზას“ სკვითებთან გაიგივება, დაიწყო მათი კვალის ძიება არქეოლოგიურ კულტურათა შორის. დღეისათვის არსებული თეორიების გათვალისწინებით შეგვიძლია სკვითური კულტურის (ტერმინის ფართო გაგებით) განვითარების ფაზების ზოგადი მონახაზი წარმოვადგინოთ: პირველ საფეხურზე სკვითები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ან ცენტრალურ აზიაში არიან, მეორეზე მათ ხედავენ ცენტრალურ ამიერკავკასიაში; მესამე ფაზაა წინააზიური და მეთხე ეტაპზე ისინი უკან ბრუნდებიან ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში [3; 4, გვ. 290-292; 12; 10, გვ. 131-132]; იმ ეტაპზე, როცა ირანულენოვანი ნომადები ამიერკავკასიის სიახლოვეს ჩანან, არ იძებნებოდა შესაბამისი ხანის (ძვ.წ. VIII ს. დასასრული – ძვ.წ. VII ს. პირველი ნახევარი) მასაღა. და აი, თავისი მოღვაწეობის ახალ ეტაპზე, თრელიგორებზე ახლადაღმოჩენილი მასაღიდან გამომდინარე, როსტომ აბრამიშვილი სვამს საკითხს აქ, ამ ტერიტორიაზე ნომადური ტომების ეფემერული გაერთიანების პერიფერიის არსებობის შესახებ [11]. საქმე ისაა, რომ როსტომ აბრამიშვილის ხელმძღვანელობით გათხრილი თრელის სამაროვნის სამარხთა ერთი ჯგუფი (ე.წ. თრელი II) – ორი დასაკრძალავდარბაზიანი, ხის ძელებით ნაგები და შემდეგ საგანგებოდ დამწვარი ყორღანული სამარხი და ოცდაექვსი მიმდებარე

სამარხი — მკვეთრად განსხვავდება ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი სინქრონული სამარხებისაგან. სახელდობრ, სამთავრული კულტურის თანადროულ სამარხებს შორის არ არის ძეგლებით ნაგები დასაკრძალავდარბაზიანი სამარხი ნაგებობები, მიცვალებულთა დაწვის ჩვეულება, ეტლში შებმული ცხენების ამსახველი აკაზმულობა. როსტომ აბრამიშვილმა ეს სამარხები ძვ.წ. VIII ს-ის დასასრულითა და ძვ.წ. VII ს-ის პირველი ნახევრით დაათარიდა და ყორღანის ტიპისა და ინვენტარის ერთი ნაწილის მიხედვით მათ უახლოესი პარალელები მოუძებნა ჩრდილოდასავლეთ ირანისა და აზერბაიჯანის, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, ე.წ. სკვითური სამყაროს (ტერმინის ფართო მნიშვნელობით, რაც გულისხმობს ირანულენოვან ნომადურ სამყაროს) თანადროულ ძეგლებს შორის. მისი აზრით, ეს უნდა ყოფილიყო კვალი ე.წ. თრაკო-კიმერიული და სკვითურ-სავრომატული ტომებისა, რომლებიც აღნიშნულ ხანაში შემოიჭრნენ ამ ტერიტორიაზე და აქ გაერთიანება, ე.წ. სკვითური სამეფო შექმნეს, რომლის შემადგენლობაში შევიდა აღმოსავლეთი ამიერკავკასია აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილის ჩათვლით [11]. აქვე უნდა განვმარტოთ, რომ ტერმინი „სკვითური“ ნაშრომში მისი ფართო მნიშვნელობით არის ნახმარი და არ გულისხმობს სკვითურ არქეოლოგიურ კულტურას. ეს არის წინარესკვითური ხანა არქეოლოგიური თვალსაზრისით, რომელსაც ზემოხსენებული ე.წ. ამიერკავკასიური ეტაპი შეესაბამება; ხანა, რომელსაც ეკუთვნის თრელი II-ის სამარხები და მათი სინქრონული დიდი დარბაზი თრელის ნამოსახლარზე. სწორედ ამ ხანის ძეგლებს შორისაა საძებნი მეორე ეტაპის მოვლენების ანარეკლი, და არა იმ მასალაში, რომელიც მოაქვთ ხოლმე წინააზიურ-ამიერკავკასიურ მოვლენათა საილუსტრაციოდ — ე.წ. სკვითური ტრიადის კომპლექსი, რომელიც ძვ.წ. VII ს-ს მეორე ნახევრისათვის ყალიბდება. ამ ხანიდან ჩნდება ამიერკავკასიაში ის ნივთები, რომლებიც სკვითური არქეოლოგიური კულტურის სპეციფიკას განსაზღვრავენ (ესაა ძირითადად საომარ ყოფასთან დაკავშირებული საგნები), და რომლებიც საფუძვლად დაედო როსტომ აბრამიშვილის ქრონოლოგიურ შკალას.

მაშასადამე, როსტომ აბრამიშვილის ვარაუდით, თრელი II-ის მონაცემებით ეს ტერიტორია წარმოადგენდა ჩრდილოეთ პერიფერიას იმ ეფემერული პოლიტიკური გაერთიანებისა, რომელიც შეიძლება შეესაბამებოდეს ბიბლიურ „სკვითურ სამეფოს“ — თემა, რომელიც დღემდე დიდ ინტერესს იწვევს. ძნელია ეჭვის შეტანა როსტომ აბრამიშვილის ტიპოლოგიურ ატრიბუციიაში, მის მიერ მოძიებულ მრავალრიცხოვან პარალელებში. მკვლევართა ეჭვს იწვევს ინტერპრეტაცია, მაგრამ მაშინ უნდა აიხსნას, რას ნიშნავს ეს მკვეთრი სხვაობა სამარხის ტიპში, მის კონსტრუქციაში, რომელიც სრულიად უცხოა ადგილობრივი კულტურისათვის, და, რაც მთავარია, დაკრძალვის რიტუალში. როდესაც, ჩვენ, საქართველოს სკვითურინვენტარიანი სამარხების შესწავლისას, დაკრძალვის წესის ადგილობრივ ხასიათს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, თრელის მაგალითზე დაფიქრება გვმართებს. როსტომ აბრამიშვილის მოწაფემ, ნინო ახვლედიანი, რომელიც სავსებით იზიარებს თრელი II-ის კულტურის როსტომ აბრამიშვილისეულ განსაზღვრას, თრელიგორები ნომადების ფორპოსტად მიიჩნია მათი წინააზიური დაშქრობების დროს ძვ.წ. VII ს-ში [2]. არქეოლოგიურად ამ ეტაპის დაფიქსირება მნიშვნელოვანია, რადგან თრელის მონაპოვრითა და მისი შესაბამისი ატრიბუციით იხსნება შესაძლებლობა ირანული მოდგმის ნომადების წინააზიურ-ამიერკავკასიური ეტაპის კვალის ძიებისა და ამით ივსება ერთგვარი ლაკუნა, ქრონოლოგიური შეუსაბამობა წყაროებში მომთაბარეთა ხსენების თარიღსა და კონკრეტულ სკვითური ტიპის ინვენტარს შორის.

M. Pirskhalava

## SCYTHIAN PROBLEMS IN ROSTOM ABRAMISHVILI STUDIES

(Summary)

Rostom Abramishvili was the first to put in order Scythian grave goods (determining the specificity of Scythian archaeological culture) on Georgian scale conformably to the typological standards accepted in his day, using it as the basis for the identification of one chronological segment in East-Georgian archaeology. This material served as the starting point of Abramishvili's chronological scale covering almost a millennium. He assigned the burials of the Samtavro burial ground with Scythian grave goods to the second half of the 7<sup>th</sup> cent. B.C. and the 6<sup>th</sup> cent. B.C.

As is known, in recent studies a tendency has arisen to shift back the archaic Scythian complex in time. However, this view has its opponents too. Burials from Georgia with Scythian inventory are also involved in this process, affecting burial 106 of Samtavro as well, which was assigned to the

earliest stage of the early Scythian culture (second half of the 8<sup>th</sup> - beginning of the 7<sup>th</sup> cent. B.C.). With account of the bone inventory, Abramishvili dated this complex to the 6<sup>th</sup> cent. B.C. Because of the complete identicalness of the bone inventory with analogous items of Repyakhovataya Mogila, which has turned into a standard site for re-dating the early Scythian complex due to the presence in it of Greek import (which should be dated to the 6<sup>th</sup> cent. B.C. in place of the altered 7<sup>th</sup> cent. (Cook, Dupont), and taking into account the discovery in this burial of a three-faceted arrowhead which is not to be found in the 7<sup>th</sup> cent. B.C. either in the Northern Black Sea Region area (in Melyukova's tables) or among Western Asian Scythian arrowheads (according to Cleuziou), but is characteristic of 6<sup>th</sup>-5<sup>th</sup> cent. B.C. complexes, Abramishvili's date should remain in force.

The tendency to shift back in time the archaic Scythian complex was partly prompted by the desire to adjust written evidence to material culture. At this stage, when Iranian-speaking nomads are seen near South Caucasia, Material of the corresponding period (end of the 8<sup>th</sup> cent. B.C. - first half of the 7<sup>th</sup> cent. B.C.) was not discovered. And, proceeding from the newly-discovered material at Treligorebi, at a new stage of his research, Abramishvili posed the question of the existence here - on this territory - of a periphery of an ephemeral union of nomadic tribes. The point is that one group of burials of the Trelis burial ground, excavated under Abramishvilis direction: two barrow burials with burial chambers, built of wooden beams and then deliberately burnt down, and 26 adjoining burials differ drastically from synchronous burials characteristic of this region. Thus, among synchronous burials of the Samtavro culture structures with burial chambers built of beams are not in evidence, nor is the custom of burning the dead, harness reflective of horses harnessed to a barrow. Bearing in mind that latest analogies of the Trelis burials and inventory are found in north-western Iran and Azerbaijan, on the one hand, and in the so-called Scythian world (in the broad meaning of the term, implying the Iranian-speaking nomadic world), on the other, Abramishvili conjectured the invasion of the so-called Thraco-Cimmerian and Scythian-Sauromatian tribes in north-western Iran and eastern South Caucasia (including part of Eastern Georgia) at the end of the 8<sup>th</sup> and first third of the 7<sup>th</sup> cent. B.C., creating an ephemeral political union on this territory in the 670s. B.C. Recording this stage archaeologically is important, for the Treligorebi finds and its respective attribution open up the way to tracing the Asia Minor and South Caucasian stage of nomads of Iranian stock, thereby filling the sort of lacuna or chronological

discrepancy in the sources between the date of reference to nomads and specific Scythian-type inventory.

### ლიტერატურა

1. აბრამიშვილი რ. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის.-სსმმ, ტ. XIX-A და XXI- B, 1957, გვ. 115-140.
2. ახვლედიანი ნ. რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლები თბილისიდან. ავტორეფერატი ისტ. მეცნ. კანდ. სამეცნ. ხარისხის მოხაპოვებლად. თბ., 1999.
3. Грязнов М. П. Аржан – царский курган раннескифского времени. Л. 1980.
4. Дьяконов И. М. История Мидии. М.-Л. 1956.
5. Ильинская В. А., Мозолевский Б. Н., Тереножкин А. И. Курганы VI в. до н.э. у с. Матусов. – Скифия и Кавказ. М., 1980. გვ. 31-63.
6. Медведская И. Н. Периодизация скифской архаики и Древний Восток. – РА, № 3, 1992, გვ. 86-107.
7. Мелюкова А. И. Вооружение скифов. – САИ, Д1-4. 1964.
8. Погребова М. Н. О принципах датировки скифской архаики. – РА, №2, 1993, გვ. 84-88.
9. Раевский Д. С. О логике построения раннескифской хронологии. – РА, №2, 1993, გვ. 79-81. P
10. Тереножкин А. И. Киммерийцы. Киев, 1976.
11. Abramishvili R. NEUE ANGABEN ÜBER DIE EXISTENZ DES THRAKO-KIMMERISCHEN ETHNISCHEN ELEMENTS UND DES SOG. SKYTHISCHEN REICHES IM OSTEN TRANSKAUKASIENS. AA, 1995, გვ. 23-39.
12. Barnett R.D. Median Art. – IA, II, 1962.
13. Cleuziou S., Les pointes de flèches "scythique" au Proche et Moyen Orient. – Colloques Internationaux du C.N.R.S.n.567: Le Plateau Iranien et l'Asie Centrale des origines à la conquête Islamique, Paris, 1997, p. 187-198.
14. Cook R.M., Dupont P. East Greek Pottery. London, New York, 1998.
15. Kossack G. Tli Grab 85. –BAVA. Bd. 5, 1983, S.89-182.
16. Kossack G. Von den anfängen des scytho-iranischen Tierstils. – Skythika. München, 1987, S.24-86.

როსტომ აბრამიშვილის მოსაბონარი

აღბათ ყველას აზრს გამოვხატავ, თუ ვიტყვი, რომ ბატონი როსტომი არაორდინალური პიროვნება იყო. ღრმად განსწავლული არქეოლოგი, დიდი მეხსიერების პატრონი, სრუპულთხური მკვლევარი, მომთხოვნი საკუთარი თავისადმი და მომთხოვნი სხვების მიმართაც. ამ თვისებებმა განაპირობა კიდევაც მისი ნაშრომების მეცნიერული სიღრმე და სამწუხაროდ, შეიძლება სიმცირეც. ვერ იტანდა ზერელობას მეცნიერებაში და მკაცრი კრიტიკოსი იყო. წლის ბოლოს დაძაბული ველოდით ჩვენი შრომის მიხედვით შეფასებას და ყურადღებით ვიწერდით მის შენიშვნებს. გულწრფელად ებმებოდა საკითხის გარჩევაში, თითქოს დიდი აუდიტორიის წინაშე იყო. ის რჩევა-შენიშვნებს ერთგვარი ლექციური ხასიათი ჰქონდა, რაც ჩვენ ძალიან გვიზიდავდა.

უადრესად მორწმუნე და ღვთისმოსავი პიროვნება იყო. ტრანსპორტში თუ ფეხით სიარულისას, როგორც კი თვალს მოკრავდა ეკლესია, აუცილებლად პირჯვარს იწერდა. იცოდა მოფერებაც და გაჯავრებაც, მაგრამ თუ მიხედებოდა, რომ მისი გაჯავრება არამართებული და იმპულსური იყო ბოდის მოხდაც და მოფერებაც კაცურად შეეძლო. ამის დასტურად შემიძლია ერთი ამბავი გავიხსენო: ერთხელ განყოფილებაში სრულიად ყოფით პრობლემაზე შევეკამათით, საქმე იქამდე მივიდა, რომ მე ძალიან ავღელდი, ავცრემლდი და სახლში წავედი. მივედი სახლში და ჯერ კიდევ აღელვებული ვყვებოდი ამ ამბავს, რომ ამ დროს ზარი დაირეკა. გავადე კარი. კარებთან იდგა მომღიშარი ცისანა ჩიკოიძე და არ შემოდით. იქვე გამოჩნდა ბატონი როსტომი, რომელმაც მითხრა – ცისანა იმიტომ მოვიყვანე, რომ კარებს არ გამიღებდი ისეთი აღელვებული გამოვლინებით. გულზე მომეშვა, რა თქმა უნდა, სახლში შემოვიპატიე და ის სადამო მისთვის ჩვეული იუმორით გაგვატარებინა.

უფიქრობ, რომ მისმა სამთავროს სამაროვნის მასალებზე შექმნილმა არქეოლოგიურმა შკალამ, გარკვეული ეტაპი შექმნა ქრონოლოგიური კვლევის საქმეში. ასზედ ბევრი არქეოლოგი გაიზარდა და ბევრს მისცა საფუძველი შემდგომი

ქრონოლოგიური კვლევისა და შკალების შექმნისათვის.

ბატონმა როსტომმა იცოდა უანგარო დახმარება. იყო უშურველი თავისი გათხრილი მასალის შემოთავაზებაში. მახსოვს მჭირდებოდა მუზეუმში დაცული გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანის მასალები, მან სამუშაოს გაადვილების მიზნით შემომთავაზა თავისი ჩახატული და შედგენილი ბარათები. ასევე ერთ-ერთი წლიური თემისათვის შემომთავაზა პალეონოლოგიის კერამიკა. კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთობის თემა ბატონმა როსტომმა მიკარნახა.

ჩვეულებრივ ადამიანურ ყოფაში შეეძლო საოცრად სასიამოვნო ყოფილიყო და თუ გაჯავრდა ცოტა დაუნდობელიც.

და ბოლოს მინდა ვთქვა, რომ მის სამეგობროში მოხვედრა დიდი სიამოვნება იყო. მე ვგულისხმობ ოთარ დამბაშიძეს, გული მიქელაძეს, დათუნა მუსხელიშვილს, ოთარ ლორთქიფანიძეს და სხვებს, რომლებთანაც მოლხენა იყო მაღალი ინტელექტისა და იუმორის ფეიერვერტი.

ღმერთმა დღეგრძელოს ცოცხლები, ხოლო მიცვალებულები ნათელში ამყოფოს.



1992 წლის დეკემბრის პირველი კვირა ბატონ როსტომთან ერთად გავატარე ბერლინში. გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტში გამართულ ქოლოქვიუმზე, ჩემს უფროს კოლეგებთან და მასწავლებლებთან – ბატონებთან ოთარ ღლორთქიფანიძესთან, გული მიქელაძესთან, ვოვი ცქიციშვილთან და ჩემი თაობის მეგობარ არქეოლოგებთან – დარეჯან კაჭარავასა და გურამ კვიციანიასთან ერთად. ჩაბნელებული და ჩამსხვრეული თბილისიდან აღმოვჩნდი გაკაშკაშებულ სამყაროში, რომელიც ქრისტეშობის დღის დადგომას ხეიმობდა.

მუხეუმებში ორდღიანი ვიზიტების შემდეგ, ტროას განძეულობითა და განსაკუთრებით ფაიუმის პორტრეტებით სრულიად აღტაცებულმა ბატონმა როსტომმა საღამოს ჩაიხე გაგვანდო – ველი და ფონდები მომენატრაო. ძალიან თბილი და ალერსიანი იყო, ქოლოქვიუმზე ჩემი გამოსვლის წინ მამხნელებდა – მე კი ახალგაზრდობაში ისე ველავდი ჩემი ნაწერების წარდგენისას მის წინაშე.

ქოლოქვიუმზე ჩემმა უფროსმა კოლეგებმა ნამდვილი ცეცხლი დაანთეს. ვუსმენდი და ვფიქრობდი, როგორი სიძნედეების გადალახვით მოუხდათ მათ ამ ცოდნისა და გამოცდილების შექმნა – აქ უცხოეთში, ყველაფერი გაიოლებულია. როგორც დაბურულ ჯაგნარში, ისე მიიკვლევდნენ გზას მეცნიერებისაკენ, არქეოლოგიის ნამდვილი ქურუმები და როგორები გამოჩნდნენ ამ თავყრილობაზე. მათ უნდა მშვიდად ეცხოვრად და ეშრომათ, მაგრამ გარემოებათა ტყვეობაში იცხოვრეს და მიუხედავად ამისა, მათი გამოსვლები სრულიად განსაკუთრებული იყო. ბატონი როსტომის გამოსვლამ დისკუსიაზე ქოლოქვიუმის დინამიკა შეცვალა. ისეთი გრძობა მქონდა, რომ გარეთა სიკაშკაშეს ჩვენი ჩაბნელებული ყოფიდან სულ სხვა სიკაშკაშე დაუპირისპირდა.

უკანა გზაზე, უკვე თვითფრინავში, ბატონმა როსტომმა იხუმრა: ისე როგორ მოვკვდები, ამ ქვეყანაში კიდევ არ ჩამოვიდეო. ბატონმა გულში არ დააყოვნა შენიშვნა: ე.ი. სიკვდილის წინ ჯერ აქ გამოვიღი? რას ვიფიქრებდით მაშინ, თუ მართლაც კიდევ ერთხელ გაივლევდა ბატონი როსტომის ხმა გერმანიაში და მერე, ძალიან ძალე...

მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ მოხდა ისე, რომ მეგობრებთან სტუმრობისას აივანზე განვმარტოვდი არაჩვეულებრივ ზაირა არსენიშვილთან ერთად. ვსაუბრობდით ბატონ როსტომზე. ზაირა მეგობრობდა ბატონი როსტომის დასთან, ასევე არაჩვეულებრივ ელისოსთან და ყველაფერი აინტერესებდა მის შესახებ. ვუყვებოდი იმ „ცოტას“, რაც მასზე შემეძლო მეთქვა, მის დამოკიდებულებაზე საყვარელი საქმის მიმართ, იმაზე, თუ როგორ გაიბრწყინა „უცხოეთში“. საღამო იყო უჩვეულო, იდუმალი, ბოლო სართულის აივნიდან ჩანდა შორეული მთები, ქვემოთ კი განრთხმული იყო თბილისი, ბატონი როსტომის თბილისი, მისი ვერა, რომელზეც ხშირად ვხვდებოდი მეგობრების გარემოცვაში მოსიარულეს, ირგვლივ იყო ზაფხულის ვერის ხმები და სურნელი, სახურავები... ჩვენ ვსაუბრობდით გამორჩეულ პიროვნებაზე, ღირსეულ თბილისელზე და უცებ დამეუფლა შეგრძნება, რომ ბატონი როსტომი თბილისის კუთვნილებაა და იქნება მანამ, სანამ იარსებებს უკანასკნელი სახურავი ვერაზე.

## შემოკლებათა განმარტება ABBREVIATIONS

- თამბ – თბილისის არქეოლოგიური მუზეუმის ბიულეტენი. თბილისი.
- კაქშ – კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. თბილისი.
- მსკა – მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი.
- მსკი – მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი.
- სსმმ – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.
- სსხმნ – საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები. თბილისი.
- სხ – საბჭოთა ხელოვნება. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ყოველთვიური ჟურნალი. თბილისი.
- ძიებანი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი. თბილისი.
- ძმ – ძეგლის მეგობარი. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება. თბილისი.
- АО – Археологические открытия. Институт археологии. Москва
- ВГМГ – Вестник Государственного музея Грузии им. С. Джанашия. Тбилиси.
- ИФЖ – Историко-филологический журнал. Ереван.
- КСИА – Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях Института археологии. Москва.
- КСИИМК – Краткие сообщения Института материальной культуры. Москва.
- МАД – Материалы по археологии Дагестана. Махачкала.
- МАК – Материалы по археологии Кавказа. Тифлис.
- МИА – Материалы и исследования по археологии СССР. Москва.
- ПАИ – Полевые археологические исследования. Центр археологических исследований. Тбилиси.
- РА – Российская археология. Институт археологии. Москва.
- СА – Советская археология. Институт археологии. Москва.
- САИ – Свод археологических источников. Москва.
- ТКАЭ – Труды Кахетской археологической экспедиции. Центр археологических исследований. Тбилиси.
- AA – Archäologischer Anzeiger.
- AE – Archaeology in Eurasian.
- AJA – American Journal of Archaeology.
- BAVA – Beitragezur Allgmeinum und vergteichenden Archäologie.München.
- EA – Eurasia Antiqua.
- ESA – Eurasia Septentrionalis Antiqua. Helsinki.
- IA – Iranica Antiqua. Leiden.
- გსმ – გორის სამხარეთმცოდნეო მუზეუმი.
- დსმ – დუშეთის სამხარეთმცოდნეო მუზეუმი.
- თამ – თბილისის არქეოლოგიური მუზეუმი.
- მსმ – მცხეთის სამხარეთმცოდნეო მუზეუმი.
- მაი – მცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტი.
- სსმ – საქართველოს სახ. მუზეუმი.
- სსხმ – საქართველოს სახ. ხელოვნების მუზეუმი.

აიწყო და დაკაბადონდა  
არქეოლოგიური კვლევის ცენტრში

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი  
თბილისი 380002  
დ. უზნაძის ქ. № 14  
ტელ: 995-32 952-920  
ფაქსი: +995-32 966-768

Academy of Sciences of Georgia  
Centre for Archaeological Studies  
14, D. Uznadze str.  
Tbilisi 380102  
Tel.: 995-32 952-920  
Fax: +995-32 966-768